# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 11 სექტემბერი 1999 №174 (947) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოვუგოთ დანიას და...

## საქართველოს ეროვნული გუნდი პირველად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფი. პირველი მატჩი.

**საქართველო — დანია**

11 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18.30 საათი



გუშინ სპორტის სასახლეში. დანიელებთან თამაშის წინა დღეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელებსა და მოთამაშეებს სასაუბროც ბევრი ჰქონდათ

*დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საპლეიოფო რაუნდის პირველ, საშინაო მატჩში საქართველოს ნაკრები დანიისას მასპინძლობს. ამ რაუნდის მომგები გადის ფინალურ ეტაპზე და მიდის ხორვატიაში, სადაც გაისად კონტინენტის ჩემპიონის ტიტულისთვის მებრძოლნი შეიკრიბებიან.*

*რად უნდა ახსნა, რაოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელი შეხვედრა. ესაა ქართული ხელბურთის არცთუ უსახელო ისტორიაში უგამორჩეულესი მატჩი. იმის თქმაც შეიძლება, რომ ასეთი დონის თამაში თბილისში ჯერ არ ჩატარებულა. ეს ერთი, დანიური ბარიერიც და... თუ ჩვენმა ხელბურთელებმა ივარგეს, საქართველოს ეროვნული გუნდი პირველად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.*

იხილეთ მეცამეტე გვერდი

**2**

## ქინქლაძე ლიდსს მოუნდა

„ლიდსის“ მენეჯერი დევიდ ოლირი მზადაა, „აიაქსს“ 2 მილიონი გირვანქა გადაუხადოს

**2**

## ალაზანი თოფაძის ფავორიტია

კვირას დასაწყებ რეგიონალურ ლიგაში „ყაზბეგი კასტელის“ დაფინანსებული გურჯაანის „ალაზანი“ ითამაშებს

**10**

## ვიდრე სლოვანში ვარ, ქართველებს არ გაუჭირდებათ



ამბობს სლოვენიური კლუბის დირექტორი იანეს რაიგერი

**11**

## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



## ოთარ ქორქია

**12**

## ბებრები ნახევარფინალში

US OPEN

წლევანდელი „ოუპენის“ კაცებში გამოცდილება ფასობს

# ცეცხლი მინდორს!

*მესამე ტურიდან მეოთხემდე ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ ორ კვირაში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ორი წარუმატებელი მატჩი გამართა. ქუთაისში კი სტადიონი დაიწვა და ადამიანის სიცოცხლეც იმსხვერპლა. აწი ხანძრისგან ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ მაინცდამაინც ცეცხლია, სჯობს, ისევ მინდორზე დაანთონ ფეხბურთელებმა*

ტურის ანონსი იხილეთ მესამე გვერდზე

საქართველოს 11 ჩემპიონატი

## 4 ტური

| «ა» ზონა | «ბ» ზონა |
|---|---|
| 11 სექტემბერი, შაბათი | 11 სექტემბერი, შაბათი |
| ვიტ ჯორჯია — დინამო | ტორპედო — მერანი |
| სამგურალი — სიონი | კოლხეთი — იბერია |
| ლოკომოტივი — ბათუმი | გორდა — დილა |
| 12 სექტემბერი, კვირა | 12 სექტემბერი, კვირა |
| არსენალი — თბილისი | ხობი — თსუ |



გიორგი ქინქლაძე

# ლიდს იუნაიტედი ქინქლაძეში 2 000 000 გირვანქას იხდის

## დევიდ ოლირის წინადადებამ ევერტონის, მანჩესტერ სიტისა და პორტსმუთის მონდომება დაჩრდილა



დევიდ ოლირი

გუშინ პრემიერლიგელი „ლიდს იუნაიტედის“ მენეჯერმა დევიდ ოლირმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მზად არის, 2 მილიონი გირვანქა შესთავაზოს ამსტერდამულ გრანდს — „აიაქსს“ 26 წლის ქართველ ნახევარმცველ გიორგი ქინქლაძეში.

ინგლისში ოლირის ეს გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ იორკშირელთა საუკეთესო კლუბმა ვერა და ვერ მოახერხა ჰოლანდიის მეორე გრანდის, „ეინდჰოვენის“ რიგებიდან რუდ ვან ნისტელროის გადმობირება. „ეინდჰოვენმა“ 40 მილიონ გირვანქას კაპიკი არ დააკლო და „ლიდსის“ ვაჭრობით თავმობეზრებულმა საქმე ბობი რობსონის „ნიუკასლთან“ დაიჭირა.

ჯერჯერობით უცნობია „აიაქსის“ ოფიციალური რეაქცია „ლიდსის“ მენეჯერის წინადადებაზე. „აიაქსმა“ ქინქლაძე „მანჩესტერ სიტისგან“ 5 მილიონ გირვანქად შეიძინა, თუმცა წლის დასაწყისში თანახმა იყო, ქართველში 2,5-3 მილიონი გირვანქა აეღო.

დევიდ ოლირის წინადადებამ დაჩრდილა ქინქლაძის მსურველი კიდევ სამი ინგლისური კლუბის — „ევერტონის“, „მანჩესტერ სიტისა“ და „პორტსმუთის“ მონდომება. „ევერტონი“ „აიაქსს“ 1,8 მილიონ გირვანქას და ერთ ინგლისელ ნახევარმცველს სთავაზობდა, „მანჩესტერ სიტი“ და „პორტსმუთი“ კი 2-2,5 მილიონის გადახდაზეც თანახმანი იყვნენ, თუმცა ამ გუნდებში წასვლა თავად ქინქლაძეს არ სურდა.

ასე რომ, „ლიდსის“ მენეჯერის წინადადება დღესდღეობით ყველაზე რეალურია, როგორც „აიაქსისთვის“, რომელსაც 5 მილიონ გირვანქად ნაყიდი ფეხბურთელი რეზერვში ჰყავს გამწესებული 34-იანი მაისურით, ისე ქინქლაძისთვისაც, რომელმაც მორტენ ოლსენისა და იან ვოუტერსის ტაქტიკურ სქემებს ვერაფერი გაუგო და, ფაქტობრივად, უბურთოდ და უმოედნოდაა დარჩენილი.

„ლიდს იუნაიტედის“ — ინგლისის ყველაზე ახალგაზრდული და პერსპექტიული გუნდის ქინქლაძით დაინტერესება ქართველის დანიელი ფიფას აგენტის, ივან ბენეშის დამსახურება არ არის. ისევე, როგორც ეროვნული ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე, ქინქლაძეც ძველებურად როდი ათვითცნობიერებს ამ კაცს თავის საქმეებში. ჩვენი ინფორმაციით, ქინქლაძეს ამჯერად კონტრაქტი აკავშირებს რამდენიმე მეტად ცნობილ ინგლისელ აგენტთან, რომლებმაც ქართველს 3 თვეში ახალი კლუბი უნდა მოუძებნონ.

40 000-იან „ელანდ როუდზე“ ქინქლაძის გამოსაჩენად „აიაქსის“ მესვეურების თანხმობაღაა საჭირო.

**სიმონ მენაბდე**

# საჩუქარი თბილისელებს

## «აიეტი TV» და «ირაო» მინიფეხბურთის ტურნირის ჩატარებას აპირებენ

„მერწმუნეთ, მინიფეხბურთი ქართველების სპორტია. მას ჩვენში დიდი ტრადიციები აქვს, თუმცა ახლა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. გვინდა, ის ძველი ტრადიციები აღვადგინოთ. საამისოდ ყველაფერს გავიღებთ“ — გვითხრა ორიოდე დღის წინ ერთობლივი საწარმო „აიეტი TV“-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ბატონმა თემურ ფიჩხაიამ.

„აიეტი TV“-ის თბილისელები კარგად იცნობენ. სწორედ ამ ქართულ-ამერიკულმა ერთობლივმა საწარმომ მისცა დედაქალაქელებს უცხოური ტელეკომპანიების პირველად ხილვის საშუალება. „აიეტი TV“-ის სხვა სასიკეთო საქმეებიც გაუკეთებია და სამომავლოდაც იმავეს აპირებს. ახლაც ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ირაოსთან“ ერთად ახალი ტურნირის ჩატარება განუზრახავს.

ტურნირი 18 სექტემბერს დაიწყება. სავარაუდოდ ორ კვირას გასტანს და გია ხომასურიძის სახელობის თასის გათამაშების 25 წლისთავს მიეძღვნება.

თემურ ფიჩხაია: „1974 წელს ვერის (ყოფილი კიროვის) პარკში ტრაგიკულად დაღუპული ექიმის, გია ხომასურიძის სახელობის თასი გათამაშდა. იმ ტურნირმა საქართველოში მინიფეხბურთის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ არა მარტო მოყვარულები, არამედ ისეთი ფეხბურთელებიც, როგორებიც იყვნენ ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, ანზორ ჯინჭარაძე და სხვები. 1986 წლამდე ვერის პარკში უკვე რეგულარულად ტარდებოდა არაოფიციალური შეჯიბრებები, რომელშიც მე და ჩემი მეგობრებიც ვთამაშობდით, 1986 წელს კი პირველი ოფიციალური ჩემპიონატიც გაიმართა. იგი თბილისობის დღესასწაულს მიეძღვნა და ვაკის გუნდის გამარჯვებით დასრულდა, რომელშიც მეც გამოვდიოდი“.

ბოლო ანალოგიური ტურნირი 1996 წლის დეკემბერში მოეწყო და მის ორგანიზატორადაც „აიეტი TV“ მოგვევლინა. მასში უბნების გარდა რამოდენიმე პროფესიული კლუბიც გამოდიოდა და საბოლოოდ თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა.

ვანო მახარობლიძე („აიეტი TV“-ის ერთ-ერთი დირექტორი): „1996 წელს დაწყებული საქმის გაგრძელების იდეა „ირაოს“ ხელმძღვანელებს — ნიკოლოზ დოლიძეს, გრიგოლ ცაავას და ჩვენ, თემურ ფიჩხაიასა და მე გვეკუთვნის. გვინდა, ძველი დრო გავიხსენოთ და მინიფეხბურთის სიყვარული კვლავ გავაღვივოთ. ვეცდებით, ტურნირზე თბილისის საუკეთესო გუნდები მოვიწვიოთ.

1996 წელს 48 გუნდმა გამოთქვა ტურნირში მონაწილეობის სურვილი, სულ კი 24 გუნდი უნდა აგვერჩია. ჩვენ ამ საქმეში ჩახედული ხალხი ვართ. ბოლო 25 წელიწადია, მინიფეხბურთში ვტრიალებთ, ვიცით ყველას შესაძლებლობები და სიძლიერის მიხედვით შევარჩიეთ მონაწილეები. ახლაც ასევე მოვიქცევით. ჩვენი მხრიდან შეცდომა გამორიცხულია“.

წლეულს 16 გუნდი ითამაშებს. გადაწყვეტილია, რომ ცალ-ცალკე გუნდები ეყოლებათ „აიეტი TV“-სა და „ირაოს“. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, მოხსნილია ყველანაირი ცენზი. ტურნირში თამაში შეუძლია ნებისმიერ მსურველს, მათ შორის პროფესიონალებსაც.

თემურ ფიჩხაია: „ბევრი ცნობილი ფეხბურთელი ითამაშებს — დავით სოლოღაშვილი, ბუბა ტყავაძე, მამუკა აფციაური, გრიგოლ ცაავა, ოთარ კორღალიძე. ისინი მინიფეხბურთში გამობრძმედილი ბიჭები არიან. ამათ დაუმატეთ მინიფეხბურთის ერთ-ერთი პიონერი და თაოსანი საქართველოში ზურაბ ანიკაშვილი, ასევე გია ომიაძე, ირაკლი ქავთარაძე, გელა გელაშვილი და სხვები. ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო და ლამაზი სანახაობა გველის. დიდი იმედი გვაქვს, რომ ახალი ვარსკვლავებიც გამოჩნდებიან, რომლებიც შემდგომ საქართველოს მინიფეხბურთელთა ნაკრებს გამოადგებიან“.

ცნობისათვის, მატჩები ორი ოც-ოც წუთიანი ტაიმებისაგან შედგება. თითოეულ გუნდს განაცხადში 12 ფეხბურთელის შეყვანა შეეძლება, მოედანზე კი ერთდროულად 6 კაცის (მეკარე და ხუთი მინდვრის მოთამაშე) ყოლის უფლება ექნება.

ორგანიზატორებს, ბუნებრივია, არც პრიზების დაწესება დავიწყებიათ. გამარჯვებული გუნდი, „აიეტი TV“-ის გარდამავალ თასთან ერთად, ფულადი პრემიის სახით 2000 ლარს მიიღებს. სამახსოვრო საჩუქრები გადაეცემათ აგრეთვე საუკეთესო მეკარეს, მცველს, თავდამსხმელს, ბომბარდირს, ასევე ყველაზე ტექნიკურ და ყველაზე ხანდაზმულ მოთამაშეს, რომლებსაც სპეციალური ჟიური დაასახელებს.

**ვანო ოქროპირიძე**



გოგი თოფაძე

# ყაზბეგმა ალაზანი აირჩია

## გოგი თოფაძემ კახეთში ფეხბურთის აღორძინება ჩაიფიქრა

ლუდის ცნობილი ქართული გიგანტი „ყაზბეგი კასტელი“ საქართველოს რეგიონალური ლიგის ბინადარის — გურჯაანის „ალაზანის“ ოფიციალური სპონსორი გახდა. „ყაზბეგთან“ მოლაპარაკებებს სპონსორობის თაობაზე თბილისის „დინამო“ და ეროვნული ნაკრებიც აწარმოებდა, თუმცა გოგი ფოთაძემ ერთ დროს უძლიერესი კახური გუნდის თანადგომა გადაწყვიტა.

როგორც საარჩევნო ბლოკ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ოფისში შევიტყვეთ, „ყაზბეგი“ ყოველთვიურად დაეხმარება ფინანსურად გურჯაანის „ალაზანს“. ერთ დროს საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორს ახლა მიხეილ ფურცელაძე წვრთნის, მაშინდელი „ალაზანის“ პრეზიდენტი და ამღორძინებელი. თოფაძის დახმარებით „ალაზანს“ ჩრდილოეთ კავკასიის ორ ქალაქში — პიატიგორსკსა და გელენჯიკში შეკრებაც გაუვლია.

ფურცელაძეს იქვე აუყვანია სამი რუსი ლეგიონერი, რომლებიც „ალაზანს“ საქართველოს რეგიონლიგაში დაეხმარებიან. „ყაზბეგი კასტელთან“ კონტრაქტის სხვა დეტალები უცნობია. ახალი ფეხბურთელების სელექცია კი ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ახტალადან“ მოხდება, რომელიც „ალაზნიდან“ წასვლის შემდეგ მიხეილ ფურცელაძემ დააარსა.

**სიმონ მენაბდე**

საფეხბურთო კლუბი, თბილისის „ლოკომოტივი“ თანაუგრძნობს გუნდის მწვრთნელს სოსო ჭედიას დედის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

სარბიელელები თანავუგრძნობთ თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელს სოსო ჭედიას დედის გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელს სოსო ჭედიას დედის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს




ძალიან ხშირად ხდება რომ ჩვენს ტურფა მხარეში მთავარ საზიზღრობად, მთავარ მტრად, მთავარ თაღლითად აქ ჩამოსულ და მოღვაწე უცხოელებს თვლიან. ეგენი არიან ჩვენი ძირის გამომთხრელები, ჩვენი წესები და რამეები არად ანაღვლებთ და სიყვარულიც, ჩვენთვის საკეთებელი საქმისა არ გააჩნიათო.

ჩვენს ფეხბურთში ამგვარი კაცი იოლად მოიძებნება — იოჰან ბოსკამპი.

თურმე ეს იოჰან ბოსკამპი ყოფილა უცოდინარი, უვიცი, უზრდელი, ხეპრე, ტლუ, უდარდელი, უნამუსო კაცი, რომელიც ერთი მის მიერვე ნაპოვნი ქართველი „ვარსკვლავის“ მოწმობით მხოლოდ მოხარშულ კვერცხებს აჭმევდა „დინამოს“ ფეხბურთელებს (ერთ-ერთი უარყოფითი თვისება).

ეს ბოსკამპი რო არ მოეყვანათ, ყველაფერი კარგად იქნებოდა (ანუ უფრო კარგად), ყოფილი ქართველი ვარსკვლავის აზრით, საქართველოში იმდენი კარგი მწვრთნელია, რომ ბოსკამპის მოყვანა სირცხვილიც კი იყო.

ბოსკამპი რა ხვითიცაა, ამას დაკვირვებული და ფიქრიანი კაცი თავიდანვე შეამჩნევდა. მაგრამ არა მგონია ის ცუდი და უვარგისი იყოს. უბრალოდ, როცა ავსტრიელი ერნსტ ჰაპელი უდგება სათავეში ჰოლანდიის ნაკრებს, ეს პრობლემა არ არის, ხოლო როცა ჰოლანდიელი ხელმძღვანელობს საქართველოს ნაკრებს ეს დიდი პრობლემაა. ფეხბურთი ხომ „ეიეს თელასი“ არ არის, რომ იყიდო?

პრობლემა ჩვენს ფეხბურთშია და არა ბოსკამპში.

ბოსკამპი წავა და სხვაგან იღვირებს.

ნიგერიიდან გარბიან სწრაფ-სწრაფად ჰოლანდიელი მწვრთნელები, მაგრამ გაქცევამდე მაინც ასწრებენ რაღაცას იმ სრულიად შეშლილ ქვეყანაში, სადაც შავი რასიზმი მეფობს და ფეხბურთს ბოლო დრომდე გენერლები თავკაცობდნენ. ახლა არ მითხრათ, რომ კლემენს ვესტერჰოფი და ჯო ბონფრერი ნიგერიაში მისვლამდე ტიტულს ტიტულზე იგებდნენ დიდ ევროპულ კლუბებთან ერთადო. ჩანს, ბოსკამპიც დაეძებდა თავის ნიგერიას, ქვეყანას, საიდანაც დიდ ტელეეკრანზე მოხვდებოდა.

იპოვა და არ გამოუვიდა.

საქართველო ხომ ნიგერია არ არის?

ჩვენთან უცბად ირკვევა ყველაფერი. კონტრაქტებიც ძირითადად ჩემპიონთა ლიგაში შესვლამდე იდება. ყველაზე დიდი საიდუმლო კი ის არის, თუ რა ნიშნის მიხედვით უნდა მოხვდეს ქართული გუნდი ჩემპიონთა ლიგაში. რახან „ჰიკი“ და „მარიბორი“ ხვდებიან იქ? სუსტი პასუხია.

ქართული ფეხბურთი არ არის ბოსკამპის პრობლემა.

ბოსკამპის პრობლემა აქ გუნდის გაკეთება იყო და ეს ზღაპარი თვენახევარში დასრულდა, რაც მისი უვიცობის ბრალი არ არის. დარჩებაო, თუ წავაო? წესით წავა. ზღვისგაღმელებს ომები არ უყვართ, ცხვარიც არ მიჰყავთ „ბერიკონის“ გვერდით რომ დიდი ეკლესიაა (ერთ-ერთი ფეხბურთელის ტოპონიმიკური აღწერის მიხედვით) და ასე შემდეგ.

ქართული ფეხბურთის პრობლემა კი ის არის, რომ მას არავის ერიდება, პირველ რიგში კი საკუთარი ხალხისა. ბოსკამპის მოურიდებლობა და ჭიხვინი რა მოსატანია, მთელი ამხელა თემის მოურიდებლობასთან და უდარდელობასთან?

ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ საგაზეთო ჟიხური და ღვინის ეტიკეტი იცვლება იოლად და ნუ დავაბრალებთ ყველაფერს ბოსკამპს.

საქართველოს 11 ჩემპიონატი — 4 ტური

# ცეცხლი მინდორს!

ბადრი ვადაჭკორიას ფოტო



დღეს გიორგი ჭანკოტაძის (მარცხნივ) „ვიტ ჯორჯია“ ლიდერობის განმტკიცებას შეეცდება, არჩილ სახვაძის „დინამო“ — პრესტიჟის აღდგენას

ბოსკამპანიის მიწურულსა და შემოდგომის დასაწყისს საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატი მეოთხე ტურით ხვდება. შინაური მღვდლის ამბავი ხომ გაგიგონიათ — სანამ ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა, ყურადღებასაც არავინ აქცევდა, მაგრამ ნაკრების თამაშებმა როგორც კი ცოტა არია ორად გაყოფილი მეთერთმეტის კალენდარი, ყველანი მივხვდით, მოგვენატრებია ეროვნული.

მოგვენატრებია თავისი დაბალი ტემპით (დონითაცო), ინტრიგებით, ჩხუბით და დავიდარაბით, ერთი სიტყვით, ყოველივე იმით, რასაც შინაური ფეხბურთი გვიქვია. ბოლოს და ბოლოს, ეროვნული ჩემპიონატი ხომ ის ფეხებია, რომელზეც სრულიად ქართული ფეხბურთი დგას.

სრულიად ქართულ ფეხბურთს კი მეოთხე ტურში ერთი უცენტრალურესი შეხვედრა ელის. საუბარია „ლოკომოტივი“ — „ბათუმის“ მატჩზე. ვწერთ „უცენტრალურესს“ და მკითხველისთვის ალბათ გასაგებია, რატომაც.

პირველი — „ლოკომოტივიც“ და „ბათუმიც“ ქართული ფეხბურთის თანამედროვე ფლაგმანებია.

მეორე — მეთერთმეტე ეროვნულის „ა“ ჯგუფში მეორე-მესამე ადგილი სწორედ ამ გუნდებს უკავიათ.

მესამე — „ბათუმს“ „ლოკომოტივისგან“ შარშანდელი წყენა ახსოვს და ჯერაც ვერ მოუნელებია თასის მეოთხედფინალიდან გამოვარდნა.

მეოთხე — „ლოკომოტივის“ ხურცილავა და „ბათუმის“ კარნეველე პირველი სეზონია გუნდებს წვრთნიან და ამდენად, ამ სეზონშივე აქვთ უამრავი რამ დასამტკიცებელი.

რა შეიძლება ითქვას ამ მატჩის შედეგზე? დამჯდარი გონების კაცი უფრო ფრეს იწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ „პირველ-მეორე-მესამე-მეოთხეს“ რა ვუყოთ? ერთი სიტყვით, დიდი ჯახია მოსალოდნელი დიდუბეში, „ეროვნულზე“. მახარაძის ხელში რკინიგზელები კონტრშეტევას უხდიდნენ ხარკს, ამისთვის კი „პაიჭაძე“ ზედგამოჭრილია (გრძელია და ფართო), მაგრამ ხურცილავა ბურთის ხანგრძლივ გორებას და შემტევ ფეხბურთს ათამაშებს შეგირდებს და ამდენად სტადიონის ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი. მით უმეტეს, „ეროვნული“ არც „ბათუმისთვისაა“ უცხო.

წინა ტურში „სიონთან“ მარცხმა „ლოკომოტივს“ მოგებისკენ სწრაფვა უნდა გაუძლიეროს და გამარჯვების სასწორსაც მის მხარეს დავაჭერთ თითს, თუმცა... უფრო ლოგიკური მაინც ფრე იქნება.

გვერდის არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე შეხვედრაც — მცხეთაში „ვიტ ჯორჯია“ მარად ჩემპიონს უმასპინძლებს. ინტრიგით და კულისური რალაცებით ეს თამაში წინას სჯობია კიდეც. „ვიტ ჯორჯია“ თავისი ჯგუფის ლიდერია და თუ რამის დამტკიცება უნდა, სწორედ „დინამოსთან“ უნდა დაამტკიცოს. თავად „დინამოსთვის“ კი მოსკოვის ან სევასტოპოლის დამცველებისა არ იყოს (სამამულო ომში, რა თქმა უნდა), უკანდასახევი გზა მოჭრილია. ორი მარცხი, ერთი გამარჯვება (არ გამახსენოთ!) და შედეგად ჯგუფში ბოლოდან მესამე ადგილი სწორედ რომ ცუდ სტარტად ეთვლებათ დინამოელებს და მოტივაციაც უკეთესი რა უნდათ — ჯგუფის ლიდერს უნდა მოუგონ.

მოგება და წაგება კი ძმებია, მაგრამ როცა მცხეთურ შეხვედრაზეა საუბარი, მაინც მოზომილი სიტყვაა საჭირო, „ლოკომოტივი“ — „ბათუმის“ მატჩივით აქაც რთულია გამარჯვებულის გამოცნობა, მაგრამ წინა წყვილთან შედარებით, ფრე არც „დინამოს“ დააკმაყოფილებს, არც „ვიტ ჯორჯიას“. პირველზე უკვე გითხარით, ისედაც საკმაოდ დაკარგა ქულები, მეორეს კი ნებისმიერი ფრე ან მარცხი შეიძლება ლიდერობის დაკარგვად დაუჯდეს.

პროგნოზი ძნელი (და არასერიოზულიც) საქმე კია, მაგრამ მაინც „დინამოზე“ ვდგებით. ეგებ ჩვეულების გამო, მაგრამ გვგონია, „დინამო“ ქულებს ადრინდელივით აღარ გაფანტავს.

რაც შეეხებათ სოლიდურ და სიმპათიურ ვეტერინარებს, ზურგში მცხეთურ ქარს და ლიდერობის კიდევ ერთი ტურით შენარჩუნებას ვუსურვებთ.

გატორპედოებული „გივი კილაძე“ ხანძრის მერე პირველად თბილისის „მერანს“ უმასპინძლებს. არა გვგონია, „ტორპედოზე“ ტორპედომ რამე დაუთმოს თემურ ჩხაიძის გუნდს. თუმცა რუსი მოჭადრაკე კრამნიკის არ იყოს, „მერანი“ ფრეების დიდოსტატად იქცა და ეგებ ქუთაისშიც გაუვარდეთ. მაგრამ ამის მეტად მცირე შანსია. გორის „დილასთან“ ფრე ვერ აპატია ქომაგმა დღემდე „ტორპედოს“ და ახლა ცეცხლზე ნავთი უნდათ ყიფიანს და მის ბიჭებს?!

ისევ ცეცხლი ვახსენეთ და ამიერიდან ღმერთმა დაგვიფაროს ქუთაისის მსგავსი ხანძრებიდან. ვთხოვოთ ხანძარსაწინააღმდეგო ღვთაებას დაგვიფაროს ყველანაირი ხანძრიდან და თუ მაინცდამაინც უცეცხლოდ არ შეიძლება, ისევ მინდორზე დაანთონ ფეხბურთელებმა.

მაშ ასე — ცეცხლი მინდორს და ლაზათი ფეხბურთს, ეს ყველაფერს სჯობს.

11 სექტემბერს კიდევ ორი მატჩი გაიმართება. ამათგან პირველი იმერეთში, მეორე რუსთავში. იმერული ნიავივით წყალტუბოში დავუბეროთ და „სამგურალი“ — „სიონის“ შეხვედრაზე გამოვთქვათ ვარაუდები. „სიონი“ მოძლიერდა, „სიონი“ გამდიდრდა, „სიონს“ „კოკა-კოლამ“ გადააფარა თავისი შავ-წითელი კალთა და თუ ასე გაგრძელდა, „კოკა-კოლას“ არა და შამპანურის შუშხუნით ეგებ ოთხეულში გასვლაც აღნიშნოს „სიონმა“. თუმცა სეზონის წინ მიუღწეველი კი ეგონათ ბოლნისელებს მსგავსი რამ. წინა ტურში „არსენალის“ მომგებ „სამგურალს“ კი დასაკარგი მართლაც არაფერი აქვს — მწვრთნელი შეცვალა, ბოლო ადგილს ერთი ტურია დააღწია თავი და მისი მატერიალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, შინ თუ დააგროვებს ქულებს, თორემ სტუმრად ვინ რას გამოატანს.

„ფოლადი“ და „გორდა“ გორის „დილას“ უმასპინძლებენ. მართალია, სეზონის წინ „გორს დაუბრუნდა გორელი“ და მაგრადაც გაძლიერდა „დილა“, მაგრამ არც „გორდაა“ ჯაბანი — ვარლამ კილასონია ხომ დაიბრუნა, ახლა ჯერი მის ძმა გიაზე და სანდრო ბურნაძეზეა. თუ რუსთაველებმა ამათ ტრანსფერს თავი მოაბეს, ფეხბურთი მერე ნახეთ... საკუთარი მინდვრის უპირატესობას „გორდას“ გორელთა დაბალანსებული შემადგენლობა გაუბათილებს და აქაც რა მოხდება, ერთმა ღმერთმა უწყის.

ჩვენი პროგნოზი რომ გამართლდეს და დე სოუზასავით ხალხის დასაცინი არ გავხდეთ, ამ შეხვედრის შედეგის მხოლოდ სამი ვარიანტი ვიწინასწარმეტყველოთ (მხოლოდ სამი, — „გორდამ“ შეიძლება მოიგოს, ასეთივე შანსი აქვს წაგებისა, მაგრამ შეიძლება მატჩი ფრედაც დასრულდეს, ანუ სამი ვარიანტია).

სხვისი არ ვიცი და, ვფიქრობ, რომ „არსენალი“ — „თბილისის“ შეხვედრამ მეოთხე ტურის აუტსაიდერი უნდა შეცვალოს. „თბილისი“ ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ მეტად პერსპექტული ბიჭებით სავსე და ისინიც „დინამოსთან“ გამამწარებელი მარცხის ჯავრს „არსენალთან“ ამოიყრიან ალბათ...

ახალგაზრდა თბილისელებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ დაცვას, გოლების გატანა კი ნამდვილად არ უჭირთ — „თბილისი“ თავისი ჯგუფის ყველაზე მეტი გოლის გამტანი გუნდია.

რაც შეეხება „არსენალს“, მისი შედეგი ხშირადაა დამოკიდებული მეკარე ჩლაიძის გარჯაზე. ალბათ, ამჯერადაც ასე იქნება.

დაბოლოს, ორი დასავლური მატჩი. ეს თამაშები იმდენად ახლოს გაიმართება ერთმანეთთან, შეიძლება ერთ სტადიონზე ვინმეს დააცემინოს და ჯანმრთელობა მეორიდან უსურვონ. „ხობი“ — თსუ-ს შეხვედება, „კოლხეთი“ ფოთში აუტსაიდერ „იბერიას“ უმასპინძელბს და თუ უჩვეულო რამ არ მოხდა, ორივეგან მასპინძლებმა უნდა გაიმარჯვონ.

შეხვედრები, როგორც სექტემბერს სჩვევია, საღამოს ხუთ საათზე დაიწყება. შემოდგომის მზე ძველებურად ველარ დააცხუნებს, თუმცა სიცხე და ცეცხლი მინდორს ნამდვილად არ მოაკლდება. ამას მეთერთმეტე ჩემპიონატის მეოთხე ტურის წყვილები განაპირობებენ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## «ა» ზონა

მცხეთა. „არმაზი“. 11 სექტემბერი. 17 საათი

### ვიტ ჯორჯია — დინამო

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ჯ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); გ. ასკაროღლი (ქარელი); სფფ-ის დელეგატი: მ. მიმინოშვილი

თბილისი. „ეროვნული“. 11 სექტემბერი. 17 საათი

### ლოკომოტივი — ბათუმი

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. ხუციშვილი (დმანისი); სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

წყალტუბო. „26 მაისი“ 11 სექტემბერი. 17 საათი

### სამგურალი — სიონი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); თ. გიორგაძე (სამტრედია); სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი. „ისანი“. 12 სექტემბერი. 17 საათი

### არსენალი — თბილისი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

## «ბ» ზონა

ქუთაისი. „ტორპედო“. 11 სექტემბერი. 17 საათი

### ტორპედო — მერანი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ლ. ფანიაშვილი, ზ. დოლიძე (ყველა თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

ფოთი. „ფაზისი“. 11 სექტემბერი. 17 საათი

### კოლხეთი — იბერია

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი); სფფ-ის დელეგატი: მ. ლაცაბიძე

რუსთავი. „ფოლადი“. 11 სექტემბერი. 17 საათი

### გორდა — დილა

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ზ. მენთეშაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

ხობი. „კოლხეთი“. 12 სექტემბერი. 17 საათი

### ხობი — თსუ

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 4 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 2 | ბათუმი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 3 | არსენალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 4 | ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 5 | სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 6 | დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 7 | სამგურალი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 8 | თბილისი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 1 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 |
| 2 | დილა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 3 | ხობი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | -2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | -2 | 3 |
| 4 | თსუ | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 5 | მერანი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 6 | კოლხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 7 | გორდა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 8 | იბერია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | -3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |

# რეგიონალური ლიგა
# პირველი წრის კალენდარი

## ფედერაცია უმცროსებს პატიობს

9 სექტემბერს რეგიონალურ ლიგაში რეგისტრაცია გაიარა 46-მა გუნდმა. (აღმოსავლეთ მხარეში — 22, დასავლეთში — 24.) ამათგან 25-მა კლუბმა სრულად გადაიხადა საწევრო შემოსატანი, დანარჩენებმა — ნაწილობრივ. სფფ-მ განიხილა ამ უკანასკნელთა თხოვნა დარჩენილი თანხის დაფარვის გადავადების შესახებ და საწევროს გადახდის ვადა 1 ოქტომბრამდე გააგრძელა. ამ საკითხს სფფ ასე განმარტავს:

ა.წ. 12 აგვისტოს №130 ბრძანების თანახმად რეგიონალურ ლიგაში ერთ მატჩზე მსაჯთა ბრიგადის ანაზღაურება 530 ლარს შეადგენს. გუნდების მძიმე ფინანსური მდგომარეობის და იმის გათვალისწინებით, რომ მათ საწევროს ნაწილი შემოიტანეს, სფფ-მ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

1. გუნდები, რომელთაც სრულად გადახადეს საწევრო (5 000 ლარი), თავისუფლდებიან მსაჯთა ბრიგადის ანაზღაურებისგან სეზონის ბოლომდე.

2. მასპინძელმა გუნდებმა, რომელთაც საწევრო ნაწილობრივ გადაიხადეს, მატჩების დაწყებამდე 24 საათით ადრე სფფ-ს სალაროში უნდა შეიტანონ 530 ლარი, სანამ საწევრო დავალიანებას სრულად არ დაფარავენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მსაჯთა ბრიგადა თამაშზე არ გამოცხადდება, მასპინძელ გუნდს ჩაეთვლება მატჩზე არგამოცხადება და სფფ-ს სადისციპლინო კოდექსის პირველი მუხლის მეოთხე პარაგრაფის თანახმად გუნდი მოიხსნება გათამაშებიდან.

3. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონის გუნდები (გაგრის „დინამო", სოხუმის „ცხუმი", ოჩამჩირის „ამირანი" და „ცხინვალი") ამა წლის 8 სექტემბრის №151 ბრძანების თანახმად განთავისუფლებულნი არიან საწევრო გადასახადისგან.

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია*

### ვინ სად

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| ამირანი | „სინათლის" სტადიონზე |
| აკადემია<br>ცხუმი<br>მრეტები | მაუდკომბინატ „ივერიის" სტადიონზე |
| თბილისი 2 | დიღომში „დინამოს" ბაზაზე |
| ენერგეტიკოსი | გარდაბნის სტადიონზე |
| ს.ა. იბერია | ჟინვალის ცენტრალურ სტადიონზე |
| ლოკომოტივი 2 | დიღომში „ლოკომოტივის" ბაზაზე |
| საუ | სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე |
| ხალიბი | „ფოლადის" სტადიონზე |
| **დასავლეთი** | |
| ბათუმი 2 | „დინამოს" სტადიონზე |
| მეგრი<br>დინამო<br>ლაზიკა | ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე |
| ინტერი | სალორიის ბაზაზე |
| მარგვეთი | თერჯოლის სტადიონზე |
| იბერია 2<br>ოკეანე | დიდი ჯიხაიშის ბაზაზე |
| ფაზისი | მალანიას სახელობის სტადიონზე |
| რწმენა<br>დინამო | გუმბრინში „სამგურალის" ბაზაზე |

## აღმოსავლეთი

### «ა» ზონა

I ტური
12 სექტემბერი, კვირა
ცხინვალი — არაგვი
*ცხინვალი დუშეთი*
ივერია — ვარძია
*ხაშური ასპინძა*
თორი — მესხეთი
*ბორჯომი ახალციხე*
13 სექტემბერი, ორშაბათი
ცხუმი — ს.ა. იბერია
*სოხუმი თბილისი*
საუ — განთიადი
*თბილისი კასპი*

II ტური
18 სექტემბერი, შაბათი
ვარძია — ცხუმი
19 სექტემბერი, კვირა
მესხეთი — საუ
იბერია — თორი
არაგვი — ივერია
მრეტები — ცხინვალი

III ტური
25 სექტემბერი, შაბათი
ცხუმი — არაგვი
საუ — იბერია
26 სექტემბერი, კვირა
ივერია — მრეტები
თორი — ვარძია
განთიადი — მესხეთი

IV ტური
2 ოქტომბერი, შაბათი
იბერია — განთიადი
3 ოქტომბერი, კვირა
ვარძია — საუ
არაგვი — თორი
მრეტები — ცხუმი
ცხინვალი — ივერია

V ტური
10 ოქტომბერი, კვირა
ცხუმი — ცხინვალი
თორი — მრეტები
საუ — არაგვი
განთიადი — ვარძია
მესხეთი — იბერია

VI ტური
16 ოქტომბერი, შაბათი
ვარძია — მესხეთი
17 ოქტომბერი, კვირა
მრეტები — საუ
ცხინვალი — თორი
ივერია — ცხუმი
18 ოქტომბერი, ორშაბათი
არაგვი — განთიადი

VII ტური
23 ოქტომბერი, შაბათი
საუ — ცხინვალი
მესხეთი — არაგვი
24 ოქტომბერი, კვირა
თორი — ივერია
განთიადი — მრეტები
იბერია — ვარძია

VIII ტური
30 ოქტომბერი, შაბათი
ცხინვალი — განთიადი
31 ოქტომბერი, კვირა
არაგვი — იბერია
ივერია — საუ
ცხუმი — თორი
1 ნოემბერი, ორშაბათი
მრეტები — მესხეთი

IX ტური
6 ნოემბერი, შაბათი
საუ — ცხუმი
იბერია — მრეტები
7 ნოემბერი, კვირა
განთიადი — ივერია
მესხეთი — ცხინვალი
ვარძია — არაგვი

X ტური
13 ნოემბერი, შაბათი
ივერია — მესხეთი
14 ნოემბერი, კვირა
ცხინვალი — იბერია
ცხუმი — განთიადი
თორი — საუ
15 ნოემბერი, ორშაბათი
მრეტები — ვარძია

XI ტური
19 ნოემბერი, პარასკევი
განთიადი — თორი
მესხეთი — ცხუმი
იბერია — ივერია
ვარძია — ცხინვალი
არაგვი — მრეტები

### «ბ» ზონა

I ტური
12 სექტემბერი, კვირა
ლოკომოტივი 2 - ამირანი
*თბილისი ოჩამჩირე*
ხალიბი 97 - ზოოვეტი
*რუსთავი თბილისი*
13 სექტემბერი, ორშაბათი
ჭაბუკიანი - არსენალი 2
*ჭაბუკიანი თბილისი*
ყვარელი - თბილისი 2
*ყვარელი თბილისი*
14 სექტემბერი, სამშაბათი
ენერგეტიკოსი - აკადემია
*გარდაბანი თბილისი*

II ტური
18 სექტემბერი, შაბათი
ზოოვეტი - ენერგეტიკოსი
19 სექტემბერი, კვირა
არსენალი 2 - ყვარელი
ამირანი - ჭაბუკიანი
20 სექტემბერი, ორშაბათი
თბილისი 2 - ხალიბი
ალაზანი - ლოკომოტივი 2

III ტური
25 სექტემბერი, შაბათი
ჭაბუკიანი - ალაზანი
26 სექტემბერი, კვირა
ყვარელი - ამირანი
ხალიბი - არსენალი 2
27 სექტემბერი, ორშაბათი
ენერგეტიკოსი - თბილისი 2
აკადემია - ზოოვეტი

IV ტური
2 ოქტომბერი, შაბათი
ალაზანი - ყვარელი
3 ოქტომბერი, კვირა
არსენალი 2 - ენერგეტიკოსი
ამირანი - ხალიბი
4 ოქტომბერი, ორშაბათი
თბილისი 2 - აკადემია
ლოკომოტივი 2 - ჭაბუკიანი

V ტური
9 ოქტომბერი, შაბათი
აკადემია - არსენალი 2
ხალიბი - ალაზანი
10 ოქტომბერი, კვირა
ყვარელი - ლოკომოტივი 2
ენერგეტიკოსი - ამირანი
ზოოვეტი - თბილისი 2

VI ტური
16 ოქტომბერი, შაბათი
ალაზანი - ენერგეტიკოსი
ჭაბუკიანი - ყვარელი
17 ოქტომბერი, კვირა
ამირანი - აკადემია
18 ოქტომბერი, ორშაბათი
არსენალი 2 - ზოოვეტი
ლოკომოტივი 2 - ხალიბი

VII ტური
24 ოქტომბერი, კვირა
ენერგეტიკოსი - ლოკომოტივი 2
აკადემია - ალაზანი
ზოოვეტი - ამირანი
თბილისი 2 - არსენალი 2
25 ოქტომბერი, ორშაბათი
ხალიბი - ჭაბუკიანი

VIII ტური
30 ოქტომბერი, შაბათი
ალაზანი - ზოოვეტი
ჭაბუკიანი - ენერგეტიკოსი
31 ოქტომბერი, კვირა
ლოკომოტივი 2 - აკადემია
ყვარელი - ხალიბი
1 ნოემბერი, ორშაბათი
ამირანი - ლოკომოტივი 2

IX ტური
6 ნოემბერი, შაბათი
ენერგეტიკოსი - ყვარელი
აკადემია - ჭაბუკიანი
8 ნოემბერი, ორშაბათი
არსენალი - ამირანი
ზოოვეტი - ლოკომოტივი 2
თბილისი 2 - ალაზანი

X ტური
14 ნოემბერი, კვირა
ალაზანი - არსენალი 2
ლოკომოტივი 2 - თბილისი 2
ჭაბუკიანი - ზოოვეტი
ყვარელი - აკადემია
ხალიბი - ენერგეტიკოსი

XI ტური
20 ნოემბერი, შაბათი
ზოოვეტი - ყვარელი
21 ნოემბერი, კვირა
აკადემია - ხალიბი
თბილისი 2 - ჭაბუკიანი
არსენალი 2 - ლოკომოტივი 2
ამირანი - ალაზანი

## დასავლეთი

### «ა» ზონა

I ტური
12 სექტემბერი, კვირა
გურია — რწმენა
*ლანჩხუთი ქუთაისი*
ოკეანე — მაღაროელი
*სამტრედია ჭიათურა*
დინამო — ინტერი
*გაგრა ქუთაისი*
13 სექტემბერი, ორშაბათი
სულორი — მეტალურგი
*ვანი ზესტაფონი*
მარგვეთი — იბერია 2
*ზესტაფონი სამტრედია*
მეშახტე — რაჭა
*ტყიბული ამბროლაური*

II ტური
18 სექტემბერი
მაღაროელი — გაგრა
გურია — სულორი
19 სექტემბერი, კვირა
რწმენა — რაჭა
ინტერი — მეშახტე
იბერია 2 — ოკეანე
მეტალურგი — მარგვეთი

III ტური
25 სექტემბერი, შაბათი
მარგვეთი — გურია
ოკეანე — მეტალურგი
სულორი — რწმენა
26 სექტემბერი, კვირა
მეშახტე — მაღაროელი
რაჭა — ინტერი
27 სექტემბერი, ორშაბათი
გაგრა — იბერია

IV ტური
2 ოქტომბერი, შაბათი
მაღაროელი — რაჭა
სულორო — მარგვეთი
3 ოქტომბერი, კვირა
იბერია 2 — მეშახტე
მეტალურგი — გაგრა
გურია — ოკეანე
4 ოქტომბერი, ორშაბათი
რწმენა — ინტერი

V ტური
9 ოქტომბერი, შაბათი
მარგვეთი — რწმენა
ოკეანე — ვანი
მეშახტე — მეტალურგი
19 ოქტომბერი, კვირა
გაგრა — გურია
რაჭა — იბერია 2
ინტერი — მაღაროელი

VI ტური
16 ოქტომბერი, შაბათი
მეტალურგი — რაჭა
სულორი — გაგრა
17 ოქტომბერი, კვირა
რწმენა — მაღაროელი
გურია — მეშახტე
იბერია 2 — ინტერი
მარგვეთი — ოკეანე

VII ტური
23 ოქტომბერი, კვირა
ოკეანე — რწმენა
რაჭა — გურია
24 ოქტომბერი, კვირა
გაგრა — მარგვეთი
მეშახტე — სულორი
25 ოქტომბერი, ორშაბათი
ინტერი — მეტალურგი
მაღაროელი — იბერია 2

VIII ტური
30 ოქტომბერი, შაბათი
მეტალურგი — მაღაროელი
მარგვეთი — მეშახტე
31 ოქტომბერი, კვირა
გურია — ინტერი
ოკეანე — გაგრა
სულორი — რაჭა
1 ნოემბერი, ორშაბათი
რწმენა — იბერია 2

IX ტური
6 ნოემბერი, შაბათი
რაჭა — მარგვეთი
მაღაროელი — გურია
7 ნოემბერი, კვირა
იბერია 2 — მეტალურგი
გაგრა — რწმენა
მეშახტე — ოკეანე
8 ნოემბერი, ორშაბათი
ინტერი — სულორი

X ტური
13 ნოემბერი, შაბათი
სულორი — მაღაროელი
ოკეანე — რაჭა
14 ნოემბერი, კვირა
გაგრა — მეშახტე
მარგვეთი — ინტერი
15 ნოემბერი, ორშაბათი
გურია — იბერია 2
რწმენა — მეტალურგი

XI ტური
19 ნოემბერი, პარასკევი
მეშახტე — რწმენა
რაჭა — გაგრა
მაღაროელი — მარგვეთი
20 ნოემბერი, შაბათი
მეტალურგი — გურია
21 ნოემბერი, კვირა
იბერია 2 — სულორი
ინტერი — ოკეანე

### «ბ» ზონა

I ტური
12 სექტემბერი, კვირა
დინამო — სქური
*ზუგდიდი წალენჯიხა*
მერცხალი — მეგრი
*ოზურგეთი ზუგდიდი*
შუქურა — ჩელა
*ქობულეთი დარჩელი*
13 სექტემბერი, ორშაბათი
დინამო 2 — კოლხეთი
*ბათუმი 2 ფოთი*
ფაზისი — სამეგრელო
*ფოთი ჩხოროწყუ*
ლაზიკა — ბახმარო
*ზუგდიდი ჩოხატაური*

II ტური
18 სექტემბერი, შაბათი
ჩელა — ფაზისი
მერცხალი — ზუგდიდი
19 სექტემბერი, კვირა
მეგრი — ბახმარო
სამეგრელო — ლაზიკა
სქური — ბათუმი 2
კოლხეთი 2 — შუქურა

III ტური
25 სექტემბერი, შაბათი
შუქურა — სქური
ზუგდიდი — მეგრი
26 სექტემბერი, კვირა
ლაზიკა — ჩელა
ბახმარო — სამეგრელო
ბათუმი 2 — მერცხალი
27 სექტემბერი, ორშაბათი
ფაზისი — კოლხეთი 2

IV ტური
2 ოქტომბერი, შაბათი
მეგრი — სამეგრელო
სქური — ფაზისი
3 ოქტომბერი, კვირა
მერცხალი — შუქურა
ზუგდიდი — ბათუმი 2
ჩელა — ბახმარო
4 ოქტომბერი, ორშაბათი
კოლხეთი 2 — ლაზიკა

V ტური
9 ოქტომბერი, შაბათი
ფაზისი — მერცხალი
სამეგრელო — ჩელა
ლაზიკა — სქური
ბათუმი 2 — მეგრი
10 ოქტომბერი, კვირა
შუქურა — ზუგდიდი
ბახმარო — კოლხეთი 2

VI ტური
16 ოქტომბერი, შაბათი
სქური — ბახმარო
ზუგდიდი — ფაზისი
17 ოქტომბერი, კვირა
მეგრი — ჩელა
ბათუმი 2 — შუქურა
კოლხეთი 2 — სამეგრელო
მერცხალი — ლაზიკა

VII ტური
23 ოქტომბერი, შაბათი
შუქურა — მეგრი
ლაზიკა — ზუგდიდი
ფაზისი — ბათუმი 2
24 ოქტომბერი, კვირა
ბახმარო — მერცხალი
სამეგრელო — სქური
ჩელა — კოლხეთი 2

VIII ტური
30 ოქტომბერი, შაბათი
მერცხალი — სამეგრელო
შუქურა — ფაზისი
ზუგდიდი — ბახმარო
31 ოქტომბერი, კვირა
მეგრი — კოლხეთი 2
ბათუმი 2 — ლაზიკა
სქური — ჩელა

IX ტური
6 ნოემბერი, შაბათი
ბახმარო — ბათუმი 2
ჩელა — მერცხალი
7 ნოემბერი, კვირა
ფაზისი — მეგრი
ლაზიკა — შუქურა
კოლხეთი 2 — სქური
სამეგრელო — ზუგდიდი

X ტური
13 ნოემბერი, შაბათი
ზუგდიდი — ჩელა
შუქურა — ბახმარო
14 ნოემბერი, კვირა
ბათუმი 2 — სამეგრელო
ფაზისი — ლაზიკა
მეგრი — სქური
მერცხალი — კოლხეთი 2

XI ტური
19 ნოემბერი, პარასკევი
ლაზიკა — მეგრი
ბახმარო — ფაზისი
სამეგრელო — შუქურა
სქური — მერცხალი
ჩელა — ბათუმი 2
20 ნოემბერი, შაბათი
კოლხეთი 2 — ზუგდიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიერი დაშავებულია, მაგრამ რომაელებს მაინც დაუპირისპირდება

## იტალია

II ტური

იტალიის ჩემპიონატის მეორე ტურის ცენტრალური მატჩი რომში გაიმართება. იქაური „რომა“ მილანის „ინტერს“ უმასპინძლებს. მილანელებს კრისტიან ვიერის დიდი იმედი აქვთ, რომელმაც ორი კვირის წინ მილანური დებიუტი ჰეთ თრიქით აღნიშნა. თუმც გასულ ოთხშაბათს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დანიასთან მცირე ტრავმა მიიღო და მინდვრის დატოვება მოუხდა. მას ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. გუშინ „ინტერის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ საშიში არაფერია, ვიერი საკვირაო მატჩისთვის მომჯობინდება და რომის ოლიმპიურ სტადიონზე რონალდოსთან ერთად „ინტერის“ თავდასხმაში ითამაშებს.

გამოჯანსაღებულა ჩილელი მეგოლე ივან სამორანოც. ხოლო რაც შეეხება ინტერელთა დანაკლისს, ტრავმების გამო მინდორზე ვერ გავლენ რობერტო ბაჯო და ვლადიმირ იუგოვიჩი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მატჩს „რომას“ ახალი მწვრთნელისთვის, ფაბიო კაპელოსთვის აქვს. ეს ხომ ახალ სეზონში ჩემპიონობის მაძიებელი გუნდების პირველი შეხვედრაა, თანაც „რომა“ შინ თამაშობს და ქომაგები მისგან გმირობას ელიან. ასე რომ, კაპელოსთვის საკვირაო ბრძოლა პირველი სერიოზული გამოცდა იქნება რომში. უეჭველია, სტადიონზე ერთი თავისუფალი ადგილიც არ დარჩება.

„მილანი“ შინ „პერუჯას“ მიიღებს. აქ ერთი წვრილმანი უნდა გავიხსენოთ. ეს გუნდები გასული ჩემპიონატის ბოლო ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ „მილანმა“ იმარჯვა და სწორედ ამ მოგებით გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ალბათ, კვლავ ვერ ითამაშებს „მილანის“ კაპიტანი პაოლო მალდინი. სამი კვირის წინ მან ფეხის თითი მოიტეხა და ჯერ ვერ მომჯობინებულა. არადა, უკაპიტნოდ „მილანს“ ერთობ უჭირს. ამის მაგალითია სეზონისწინა მატჩები და სერია A-ს პირველ ტურში „ლეჩესთან“ ნათამაშები ფრე (2:2). ამ შეხვედრებში ჩემპიონის დაცვა უამრავ შეცდომას უშვებდა: „რას ვიზამთ, გამოდის, უფრო მეტი უნდა გავიტანოთ, ვიდრე ვუშვებთ — ამბობს მალდინი — მაგრამ ასეთი თამაში ჯერ არ გამოგვდის“.

„პერუჯასთან“ მატჩი „მილანისთვის“ ევროსეზონის წინ ბოლო რეპეტიცია იქნება. ოთხშაბათს „შავ-წითლები“ ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში ლონდონის „ჩელსის“ ესტუმრებიან.

ტურინის „იუვენტუსი“ „კალიარისთან“ ჩავა. ხუთშაბათს იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ტურინელთა ჰოლანდიელ ლეგიონერს, ედგარ დავიდსს ნება დართო, კლუბის ექიმის მიერ გამოწერილი თვალში ჩასაწვეთებელი წამლით ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ მასში აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინეს და დავიდსი მთელი თვე ელოდებოდა ამ გადაწყვეტილებას. გასულ კვრას მან ჰოლანდიის ნაკრებში ბელგიელების წინააღმდეგ ითამაშა (5:5) და ორი გოლიც გაიტანა. როტერდამის სტადიონზე დავიდსი საგანგებო სათვალით გავიდა. შეტევაში „იუვე“ ალესანდრო დელ პიეროს და ფილიპო ინძაგის ათამაშებს. პირველი იტალიის ნაკრების მწვრთნელმა დინო ძოფმა დანიელებთან მატჩზე (2:3) არ გამოიძახა, ხოლო მეორემ სერია A კარგად დაიწყო, თუმცა ნაკრებში ვერ ბრწყინავს.

შაბათს „ფიორენტინა“ „რეჯინას“ ესტუმრება, სამშაბათს კი ჩემპიონთა ლიგის მატჩში ლონდონის „არსენალს“ დაუპირისპირდება. ევროპის სუპერთასის მფლობელი რომის „ლაციო“ კი „ბარის“ ეწვევა.



მარჩელო ლიპი



კრისტიან ვიერი კვლავ „ინტერის“ მთავარი იმედია

# ისინი 70-იანებიდან მოდიან

ოთხმოცდაათიანი წლების ორი ყველაზე წარმატებული იტალიელი მწვრთნელი, ფაბიო კაპელო და მარჩელო ლიპი, კვლავ ერთმანეთის პირისპირ უნდა წარსდგნენ. 1992-98 წლებში ეს ორი ადამიანი — ხან ერთი, ხანაც მეორე — სერია A-ს მწვერვალზე არავის აჭაჭანებდნენ. ჯერ იყო და კაპელომ ხუთ სეზონში ოთხჯერ მოაგებინა „მილანს“ სკუდეტო, მერე კი ლიპიმ „იუვენტუსი“ ოთხ წელიწადში სამჯერ გახადა ქვეყნის პირველი გუნდი.

ამას დაამატეთ ჩემპიონთა თასი, რომელიც ორივემ მოიპოვა, რასაც კაპელომ მადრიდის „რეალის“ მწვრთნელობის დროს ზედაც ერთი ესპანური ტიტული დაურთო.

მაგრამ კვირა საღამოს, რომის ოლიმპიურ სტადიონზე ისინი ტიტულების დასაჯამებლად როდი გაიყვანენ გუნდებს. „რომა“ და „ინტერი“ უშელავათო ბრძოლას გამართავენ სამი ქულისთვის, რომელიც სეზონის ბოლოს შეიძლება ძალიან ბევრს ნიშნავდეს.

ლიპი „ინტერის“ თავკაცია, მილანელებს კი ჩემპიონის ტიტული 10 წელიწადია, არ მოუპოვებიათ. არადა, ამ ხნის განმავლობაში, კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ მილიარდობით ლირა არ დაიშურა. „ინტერს“ 17 სეზონია, არც იტალიის თასი მოუგია, ხოლო ჩემპიონთა თასზე 34 წლის წინ გაიმარჯვა, როდესაც კლუბს ხსენებული მასიმო მორატის მამა ანჯელო მორატი პრეზიდენტობდა. მაშინ „ინტერს“ დიდ გუნდს უწოდებდნენ და მეხსიერებას დღემდე ასე შემორჩა — „ილ გრანდე ინტერ“.

რაც შეეხება კაპელოს გუნდს, „რომას“, 90-იან წლებში მისი ერთადერთი წარმატება 1991-ში იტალიის თასის მოპოვება გახლდათ.

1983 წელი და რომაელთა სკუდეტო კი მოგონებაა. იგი გაყვითლებულ პლაკატებზეღაა შემორჩენილი, საიდანაც მაშინდელი კერპები, ბრუნო კონტი და ბრაზილიელი ფალკაო იცქირებიან. ეს პლაკატები აქა-იქ, ბარებსა და პიცერიებში თუ შეგხვდებათ.

„მილანელებს ის იდეები შევთავაზე, რომელიც გამარჯვების შემძლე გუნდს ახლავე ჩამოგვაყალიბებინებს“ — განუცხადა ერთი ხნის წინ ლიპიმ მილანურ გაზეთ „გაძეტა დელო სპორტს“ — „ჩვენ სტრატეგიული გეგმების დასახვას ვერ გადავყვებით. დაუშვებელია იმის თქმა, რომ ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად სამი წელიწადი გვჭირდება“.

ვრცელ ინტერვიუში კი, რომელიც „სარბიელმა“ აგვისტოში გადმოაქართულა, ლიპი ყველაზე ლამაზ გუნდად 80-იანი წლების, არიგო საკის დროინდელ „მილანს“ ასახელებდა, რომელშიც მარკო ვან ბასტენი და რუუდ გულიტი თამაშობდნენ.

არ არის გამორიცხული, რომ კაპელოს, ამასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება ჰქონდეს. სწორედ კაპელო იდგა იმ „მილანის“ სათავეში, რომელმაც 1994 წელს იოჰან კრუიფის „ბარსელონას“ თავისი ხრისტო სტოიჩკოვითა და რომარიოთი შთამბეჭდავი 4:0 მოუგო, ხოლო სერია A-ში რეკორდი დაამყარა — 58 შეხვედრაში არ წააგო.

დღეს, „რომას“ სათავეში მისულ კაპელოს კვლავ ამბიციური გეგმები აქვს.

„ჩვენ ისეთივე გუნდი გვყავს, როგორებიც სხვა, ძლიერნი ამა ქვეყნისანი არიან“ — უთხრა მან იმავე „გაძეტა დელო სპორტს“ — „მიზნად ჩემპიონობას ვისახავთ, თუ არა და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი უნდა მოვიპოვოთ. უარეს შემთხვევაში უეფასკენ უნდა გავიკვალოთ გზა. მოკლედ, მიზნებში ახალი არაფერია“.

როგორც ლიპი, ასევე კაპელო სერიოზული, ცხადად მოლაპარაკე ადამიანის რეპუტაციით სარგებლობს. ლიპი იშვიათად იღიმება. შეხვედრების დროს ფეხზე დგას და სიგარას აბოლებს, კაპელო კი უფრო ემოციურია და თუ მისი გუნდი ცუდად თამაშობს, დათვივით იბღვირება და ღრიალებს.

ახლა ისტორიის სახელმძღვანელოს ის თავი გადავშალოთ, ამ ორი პიროვნების ახალგაზრდობას რომ ეხება: ფეხბურთელობისას ლიპი და კაპელო 15-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს მოედანზე. ეს 70-იანი წლების სერია A-ში ხდებოდა, როდესაც ლიპი „სამპდორიას“ მცველი გახლდათ, ხოლო კაპელო „იუვენტუსისა“ და „მილანის“ თავდამსხმელი.

მწვრთნელებად კი მათი დაპირისპირება 10-ჯერაა აღრიცხული და დახეთ, სურათი თითქმის, თანაბარია: ლიპიმ ოთხი მოიგო, კაპელომ — სამი, ხოლო კიდევ სამი შეხვედრა, ბუნებრივია, ფრედ დამთავრდა.

**მიხეილ სურგულაძე**



ფაბიო კაპელო

# დღეს, ლივერპულში...

## ინგლისი

VII ტური

პრემიერლიგაში ამ უქმეებზე მთავარი თამაში ლივერპულის „ენფილდ როუდზეა“. „ლივერპული“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობს. ალექს ფერგიუსონის გუნდისთვის ეს კარგი შემოწმება იქნება ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩის წინ „კროაციას“ წინააღმდეგ.

„მანიუმ“ პრემიერლიგაში ექვსიდან ხუთი თამაში მოიგო და სამი ქულით უსწრებს მეორე ადგილზე დამკვიდრებულ „ასტონ ვილას“. სავარაუდოა, რომ შაბათის უმძიმეს მატჩში ფერგიუსონს ფრეც დააკმაყოფილებს. საქმე ისაა, რომ „მანჩესტერის“ ბევრმა მოთამაშემ ბოლო ხუთ დღეში ევროპის ჩემპიონატის ორ-ორი შესარჩევი შეხვედრა ჩაატარა საკუთარი ქვეყნის ნაკრებში, შესაძლოა, ზოგიერთი მწვრთნელმა დაასვენოს კიდეც.

ნაღდად ვერ ითამაშებენ „მანიუს“ კაპიტანი როი კინი და დენის ირვინი. ორივემ ირლანდიის ნაკრებში გამოსვლისას, იუგოსლავიელებთან შეხვედრაში ტრავმები მიიღეს. იმავე მიზეზით არ იქნება მარჯვენა მცველი გარი ნევილი. ის გასულ ოთხშაბათს პოლონეთი-ინგლისის მატჩისას დაშავდა. „ჩვენი გუნდი ნამდვილ ლაზარეთს დაემსგავსა — ამბობს ალექს ფერგიუსონი — მაგრამ ვერაფერს გააწყობ. ასეთები ხდება ხოლმე. მოთამაშეები თავისი ნაკრებების სახელით ბოლომდე დაიხარჯნენ და ეს ნორმალურია“.

საეჭვოა აგრეთვე „ენფილდ როუდზე“ დევიდ ბექემის გამოჩენაც. მან ლუქსემბურგთან შეხვედრაში მცირე ტრავმა მიიღო და მართალია, მერე პოლონელებთან მაინც ითამაშა, მაგრამ ეტყობა, ფეხი აწუხებს.

სხვა საქმეა შემტევთა დუეტი დუაიტ იორკი და ენდი კოული. ორივემ ერთად წლევანდელ პრემიერლიგაში უკვე 9 ბურთი გაიტანა. მათ სანაკრებო ციებ-ცხელება არ შეხებიათ, ამიტომ, სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობაში ვიხილავთ.

კარში კი ჩემპიონებს რამდენიმე დღის წინ „ვენეციიდან“ ნაყიდი მასიმო ტაიბი ეყოლებათ. „მანჩესტერის“ ძირითადი მეკარე მარკ ბოსნიჩი დაშავებულია. ბოლო დღეებში კი მისი „ესპანიოლში“ შესაძლო გადასვლის ინფორმაციამაც გამოჟონა.

„ლივერპული“ ჩემპიონს შვიდი ქულით ჩამორჩება, მაგრამ ახლა შესანიშნავ ფორმაშია. ბოლო ორ მატჩში მერსისაიდელებმა „ლიდსს“ და „არსენალს“ მოუგეს. მათი მწვრთნელი უერარ არჩევანის წინაშე დგას. რობი ფაულერი და მაიკლ ოუენი, რომლებიც პოლონეთთან შესარჩევ მატჩში მეორე ტაიმში გამოჩნდნენ მინდორზე, ალაბთ, სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან. გამორიცხული არაა, თავიდანვე დაიწყოს გვინეელმა ფორვარდმა აბუბაქარ ტიტი კამარამაც, რომელმაც წლევანდელ სეზონში ჩინებულად წარმოაჩინა თავი.

ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბობი რობსონი დღეს ლონდონში „ჩელსის“ წინააღმდეგ ნიუკასლურ ნათლობას მიიღებს. ჯანლუკა ვიალის გუნდს ახალ სეზონში ჯერ თამაში არ წაუგია, ოთხი მატჩიდან სამი მოიგო და 10 ქულით მესამე ადგილზეა. „ნიუკასლმა“ კი ექვს ტურში მხოლოდ ქულა მოიპოვა და სატურნირო ცხრილის ფსკერზეა. ალბათ, ჯორდებისგან სასწაულს არ უნდა ველოდეთ, რობსონს ხომ საქმეში თავისი ბიჭები ჯერ არც უნახავს. „ჩელსი“ კი ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის პირველ თამაშში „მილანს“ უმასპინძლებს.

ლონდონში მეორე შეხვედრაც საინტერესო იქნება. „ჰაიბერიზე“ „არსენალი“ მეორეადგილოსან „ასტონ ვილას“ მიიღებს. არსენ ვენგერის ფეხბურთელებმა ბოლო ორი თამაში წააგეს. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და „ლივერპულთან“, ამიტომ „ვილასთან“ წაგება ვენგერს შესაძლოა აღარ აპატიონ. ფრანგმა ხომ სეზონის წინ საქვეყნოდ გამოაცხადა, გუნდმა, რომელსაც ჩემპიონობის პრეტენზია აქვს, სეზონში ოთხ მატჩზე მეტი არ უნდა წააგოსო. სამ დღეში „მეთოფეებს“ ჩემპიონთა ლიგის გამხსნელი თამაში ელით იტალიურ „ფიორენტინასთან“.




აბუბაქარ ტიტი კამარა (მარცხნივ) და რობი ფაულერი „მანჩესტერის“ დამარცხებას შეეცდებიან

# ბერძნებმა ჩემპიონატის დასაწყისი გადადეს

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები ამ შაბათ-კვირის ნაცვლად ერთი კვირის შემდეგ გაიმართება. მიზეზი მიწისძვრაა, რომელმაც 95 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ათასობით მცხოვრები უსახლკაროდ დატოვა.

„ახლა ფეხბურთის დრო არ არის, ხალხი ჯერ ნანგრევებიდან არ გამოუყვანიათ“ — აცხადებს საბერძნეთის სპორტის მინისტრი. რიხტერის შკალით 5,9 სიმძლავრის მიწისძვრამ ათენის აეკ-ის სტადიონი ძლიერ დააზიანა და მის ადგილას ახლის აშენებას აპირებენ.

გასულ ოთხშაბათს გასამართი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საბერძნეთსა და ალბანეთს შორის სტიქიის გამო 6 ოქტომბრისთვის გადაიდო.

# ცუდი ტენდენცია

ბრიუგეს მერმა თავისი გაიტანა — ბელგიის ჩემპიონატის ლიდერების, „ბრიუგესა“ და „ანდერლეხტის“ შეხვედრა გადაიდო.

გავიხსენოთ წინაისტორია: გასულ სეზონში, იმავე გუნდების მატჩის დროს, ბრიუგეს სტადიონი ერთობ დაზარალდა: „ანდერლეხტის“ გულშემატკივრებმა დებოში მოაწყვეს, ტრიბუნიდან პლასტიკატის სკამები ააძვრეს და მოედანზე გადაყარეს, გასულ ივლისში კი ქალაქის მერმა, პატრიკ მოენარტმა ქვეყნის ჩემპიონატის კალენდრის გაცნობის შემდეგ განაცხადა, 12 სექტემბერს „ანდერლეხტის“ ფანებისთვის ჩვენს სარბიელზე ბილეთებს არ გავყიდითო.

მერის ამ განცხადებას მძაფრად გამოეხმაურა ბელგიის ფეხბურთის ფედერაცია, რომელმაც იგრძნო, რომ თუ ბრიუსელელი ფანები მატჩზე დასასწრებ ბილეთებს ვერ იშოვნიდნენ, სტადიონს გარეთ შესაძლოა დიდი ჩხუბი ამტყდარიყო. ფედერაციის მოხელეები იჟინებდნენ, რომ შეხვედრა ჩვეულებრივ უნდა გამართულიყო. საბოლოოდ, როგორც გითხარით, თამაში გადაიდო.

ბრიუგეს მერის მაგალითი გადამდები გამოდგა: ბევერნის მერმა თავისი ქალაქის გუნდისა და „ვესტერლოს“ შეხვედრა ჩაშალა. მატჩი, რომელიც დღეს უნდა ჩატარებულიყო, იმავე მიზეზის გამო არ შედგება.

აღსანიშნავია, რომ გადადებულ შეხვედრათა ახალი თარიღი არ დაუსახელებიათ.

მოგეხსენებათ, ბელგია, ჰოლანდიასთან ერთად, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატს უმასპინძლებს და ბუნებრივია, დიდი შეჯიბრების წინ საფეხბურთო ხულიგნობის აღზევება ქვეყნის ხელისუფლებას არაფრად აწყობს. ამიტომაც გამოეხმაურა მიმდინარე მოვლენებს შინაგან საქმეთა მინისტრი ანტონ დეკესნი.

„მოძალადე გულშემატკივრები მკაცრად უნდა დავსაჯოთ, პასუხისმგებელ პირთაგან კი სისუსტე გამოირიცხება“ — განაცხადა მინისტრმა და ქვეყანაში ეგრეთწოდებული „საფეხბურთო კანონები“ შემოიღო.

ამ კანონების თანახმად სტადიონებზე სტიუარდთა დამატებითი რაოდენობის მიწვევაა საჭირო, სარბიელები უნდა აღიჭურვოს უსაფრთხოების ტექნოლოგიით, უნდა დაიხვეწოს ბილეთების გაყიდვის მეთოდი, დამონტაჟდეს ფარული კამერები და შედგეს ცნობილ ხულიგანთა სიები.

შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით, ქალაქები, უფრო ზუსტად კი სტადიონები, რომლებიც თამაშების დროს წესრიგს ვერ უზრუნველჰყოფენ, 52 520 დოლარით დაისჯებიან, რაც ბელგიურ ფრანკებში ორი მილიონის ტოლფასია.

უსაფრთხოების სისტემის სრულყოფის თემას გამოეხმაურა ევრო 2000-ის თანამასპინძელი ქვეყნის, ჰოლანდიის ხელისუფლებაც, რომელმაც ჩემპიონატის მოწყობის ბიუჯეტი 14 მილიონ გულდენამდე ანუ 6,73 მილიონ დოლარამდე გაზარდა.

მომდევნო კვირაში ბელგიის და ჰოლანდიის შინაგან საქმეთა მინისტრები ფინეთში, ევროკავშირელ კოლეგათა თათბირზე შეიკრიბებიან და როგორც დეკესნი ამბობს, ერთ-ერთი თემა სწორედ საფეხბურთო ხულიგნობა და ევრო 2000-ის უსაფრთხოება იქნება.

### ფეხბურთის რუკასთან



ფრანგული პსჟ-ს განცხადებით, ერთი წლით მათ ინგლისურ „ბრედფორდ სიტის“ გერმანელი ფორვარდი ბრუნო როდრიგესი ათხოვეს. როდრიგესი პსჟ-ში ცხრა თვის წინ „მეციდან“ გადავიდა.

**შვეიცარიელმა ფორვარდმა მარკო გრასიმ ხუთშაბათს „ლიონი“ დატოვა და საფრანგეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ნიცას“ შეუერთდა. ტრანსფერი 807000 დოლარი დაჯდა.**

ფრანგი ნიკოლა ანელკა ხუთშაბათს მადრიდში დაბრუნდა. იგი „რეალის“ ხელმძღვანელობამ გასულ კვირას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ჩასატარებლად გაუშვა. გავრცელდა ხმები, თითქოს ცუდი თამაშის გამო ანელკა ფეხბურთიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ ნიკოლამ მადრიდის აეროპორტში ეს ჭორები კატეგორიულად უარყო. მისი განცხადებით, წარმოდგენა არა აქვს, საიდან მოიპოვა პრესამ ასეთი სენსაციური მასალები. მას ძალიან სიამოვნებს „რეალში“ თამაში და ერთი სული აქვს, როდის გაიტანს პირველ გოლს.

**ბრაზილიურმა ტელევიზიამ ფიფასთან გააფორმა 61-მილიონიანი (შვეიცარიული ფრანკი) კონტრაქტი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ტრანსლაციის უფლებაზე, რომელიც ბრაზილიაში 4-დან 15 იანვრამდე ჩატარდება. რვა გუნდიდან ხუთმა — ბრაზილიურმა „კორინთიანსმა“, „ვასკუ და გამამ“, საუდის არაბეთის — „ალ ნარსმა“, ინგლისურმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და ესპანურმა „რეალმა“ უკვე ოფიციალურად დაადასტურეს მონაწილეობის სურვილი. დანარჩენი სამი მონაწილის ვინაობა ჩრდილო და ცენტრალური ამერიკიდან, აგრეთვე ავსტრალია-ოკეანიიდან ოქტომბერში გაირკვევა. გუნდები ორ ქვეჯგუფად დაიყოფიან, კენჭისყრა კი 14 ოქტომბერს რიო დე ჟანეიროში გაიმართება.**

სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტანი ლუკას რედებე და ფორვარდი ფილ მასინგა ტრადიციული აზიააფრიკის თასის ორმატჩიან ტურნირში სათამაშოდ მიიწვიეს. აფრიკისა და აზიის ჩემპიონთა პირველი შეხვედრა საუდის არაბეთში, კეიპთაუნში ჩატარდება, მაგრამ სავარაუდოა, რომ ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ შეძლებს თავისიანთა დახმარებას. სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელმა გუნდში ჰელმან მაკელელს უხმო, რომელიც თურქეთში ასპარეზობს. ევროპაში მოთამაშე რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს კი შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის ტურმა სანაკრებო მატჩები გამოატოვებინოს.

**ფრანგმა მეკარემ, პასკალ ოლმეტამ, რომელიც 1991 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში მარსელის „ოლიმპიკის“ ღირსებას იცავდა, ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. გასულ სეზონში იგი საფრანგეთის მესამე დივიზიონის გუნდ „აჟარიოში“ თამაშობდა, მანამდე კი „ბასტიას“, „ტულონის“, პარიზის „რასინგის“, „ოლიმპიკის“, „ლიონისა“ და ესპანური „ესპანიოლის“ შემადგენლობებში ხუთასამდე მატჩი აქვს ჩატარებული.**

რუსეთის ნაკრების ფორვარდმა ალექსანდრ შირკომ ტრავმა მიიღო და ჩემპიონთა ლიგის ქვეჯგუფის პირველ სამ მატჩს გამოტოვებს. შირკო ოთხშაბათს რუსეთისა და ანდორის ნაკრებებს შორის გამართულ შეხვედრაში დაშავდა. ორი კვირის წინ „სპარტაკს“ „პარტიზანთან“ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ მატჩში სწორედ შირკოს დუბლმა მოაგებინა.

**ჩილელი მცველი ხავიერ მარგასი ამბობს, რომ სირთულეები გადალახა და მზადაა „ვესტ ჰემში“ ახალი ცხოვრება დაიწყოს. გასულ სეზონში კოჭის ტრავმამ მარგასს მხოლოდ სამ თამაშში მონაწილეობის საშუალება მისცა, ხოლო მისმა ოჯახის წევრებმა ალბიონზე ცხოვრებას გემო ვერ გაუგეს. მიუხედავად ამისა ჩილელმა გასულ ზაფხულს უკვე შეძლო „კოპა ამერიკაზე“ თამაში, ახლა კი ბრიტანელ ბიუროკრატებთან შრომის უფლების საკითხებიც მოუგვარებია.**

# საათების შეჯერება

უეფამ დაადგინა: ევრო 2000-ის შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრები, თუ გუნდებს ფინალში გასვლის შანსები თანაბრად აქვთ შენარჩუნებული, ერთსა და იმავე დროს დაიწყება.

ბოლო ტურის შეხვედრები 9 და 10 ოქტომბერს გაიმართება.

უეფას განცხადებაში წერია, რომ სპორტული პრინციპებისა და სულისკვეთების შესანარჩუნებლად მონაწილე ქვეყნების ფეხბურთის ასოციაციებმა უნდა მოილაპარაკონ შეხვედრათა დაწყების დროზე, ხოლო თუ საერთო ენას ვერ გამონახავენ, მაშინ საათს თავად დაუდგენს.

გადაწყდა, რომ პლეი ოფში გასული გუნდების დამაწყვილებელი კენჭისყრა 13 ოქტომბერს გერმანიის ქალაქ ახენში ჩატარდება.

**პლეი ოფის პირველი შეხვედრები 13-14 ნოემბერს გაიმართება, საპასუხო — 14 ნოემბერს.**

შეგახსენებთ მატჩებს, რომლებიც ერთსა და იმავე დროს დაიწყება:

| | | | |
|---|---|---|---|
| IV ჯგუფი | 9 ოქტომბერი | საფრანგეთი — ისლანდია | რუსეთი — უკრაინა |
| VI ჯგუფი | 10 ოქტომბერი | ავსტრია — კვიპროსი | ესპანეთი — ისრაელი |
| VIII ჯგუფი | 10 ოქტომბერი | მაკედონია — ირლანდია | ხორვატია — იუგოსლავია |
| IX ჯგუფი | 9 ოქტომბერი | ესტონეთი — ბოსნია | შოტლანდია — ლიტვა |



REUTERS

სომხეთი — საფრანგეთი 2:3. კარაპეტ მიქაელიანმა (№11) ფაბიენ ბარტეზს პირველი გოლი გაუტანა

# მას გაბრაზების საბაბი ჰქონდა

სომხეთთან უფერულად და რის ვაივაგლახით 3:2 გამარჯვებამ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი, როჟე ლემერი ისე შეურაცხყო, რომ დაიმუქრა, შესარჩევი ციკლის ბოლო შეხვედრაში, ისლანდიასთან რამდენიმე მსოფლიოს ჩემპიონს გუნდში არ შევიყვანო.

ლემერი მოთამაშეებს ფრანგული ფეხბურთის იმიჯის შელახვაში ადანაშაულებს.

მოხვდება თუ არა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონი ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე, ახლა, 9 ოქტომბრის შედეგებზეა დამოკიდებული. უდავოა, რომ საამისოდ ფრანგებმა ისლანდიას უნდა სძლიონ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რა მოხდება იმავე დღეს მოსკოვში, სადაც რუსები უკრაინელებს უმასპინძლებენ. თუ პოსტსაბჭოური დერბი ფრედ დამთავრდება, ფრანგები პირველ ადგილზე გავლენ და პლეი-ოფს ასცდებიან, ხოლო ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ბელგია-ჰოლანდიაში წასასვლელად მათ რომელიმე სხვა ჯგუფის მეორეადგილოსანთან მოუწევს საქმის დაჭერა.

„პირველი ადგილის დაბევება ვერ შევძელით და მეორეზე გასვლის შანსიღა გვრჩება“ — ბუზღუნებდა თანამემამულე ჟურნალისტებთან პარიზში დაბრუნებული ლემერი, რომელიც ყველაზე მეტად ერევანში ჩატარებული თამაშის ბოლო 12 წუთს აღუშფოთებია.

გავიხსენოთ: საფრანგეთი 3:1-ს იგებდა, როდესაც სომხები გააქტიურდნენ, რის შედეგადაც ფრედერიკ დეუ მოედნიდან გააძევეს, ფაბიენ ბარტეზმა გათამაშებაში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო — ისლანდიასთან მატჩს ორივენი გამოტოვებენ — და ზედაც სტუმრებმა გოლი გაუშვეს.

„ეს 12 წუთი ჩემთვის ჯოჯოხეთური გახლდათ. ამ თორმეტმა წუთმა ბარტეზი და დეუ წაგვართვა, რაც მაღიზიანებს, ნაცვლად იმისა, რომ სიმტკიცე გამოგვეჩინა, პირიქით მოხდა, თამაში ჩავაგდეთ. სანამ მდგომარეობა დრამატული გამხდარა, ზოგმა ფეხბურთელმა უნდა შეიგნოს საფრანგეთის ნაკრებში ყოფნის მნიშვნელობა. ჩვენ ცუდი სახელი დავტოვეთ. დღეს მსოფლიოს ჩემპიონთა საკადრისი პატივი ხელყოფილია. არის საკითხები, რომელთაც ვხედავ, მაგრამ არის ისეთებიც, რომელთაც ვგრძნობ“ — დასძინა ლემერმა.

ფრანგების მწვრთნელმა ქების სიტყვა უძღვნა ზინედინ ზიდანს, იგი როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ შეუდარებელი იყოო.

ლემერის თქმით, ისლანდიასთან შეხვედრაში შესაძლოა ბარტეზის მაგივრად ეროვნული გუნდის კარი ბერნარ ლამამ დაიცვას, ხოლო შეტევაში დავიდ ტრეზეგემ და სტეფან გივარშმა ითამაშონ.

თუ ფრანგები ისლანდიასთან ფრედ ითამაშებენ, მაშინ პლეი ოფში მოსახვედრად ფორტუნას უკრაინელთა მიერ რუსების ძლევა უნდა შესთხოვონ.

# სამხრეთ აფრიკა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას მოითხოვს

სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაცია შეეცდება, დაარწმუნოს ფიფა და ევროპის ქვეყნები, რომ იგი მზადაა, უმასპინძლოს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს. შავი კონტინენტის წარმომადგენლის ძირითადი მეტოქეები ინგლისი და გერმანია არიან.

„ჩვენ მოვაწყობთ ვიზიტებს სხვადასხვა ქვეყანაში. შევეცდებით, ყველა დავარწმუნოთ ჩვენი მოთხოვნის სამართლიანობაში. ფეხბურთის გლობალიზაციისთვის ნამდვილად აჯობებს, რომ ჩემპიონატი აფრიკაში ჩატარდეს. ინგლისში და გერმანიაში ახლა მართლაც საფეხბურთო ბუმია, მაგრამ მარტო ეს ხომ არ არის მთავარი. თუ ფიფას სურს, რომ ნომერ პირველმა სპორტმა ფესვები ახალ კონტინენტზეც გაიდგას, მაშინ აუცილებლად მხარი უნდა დაგვიჭიროს“ — აცხადებენ ჩემპიონატის ჩატარების ორგანიზატორები.

აფრიკას სხვა კანდიდატიც ჰყავს — მაროკო, ხოლო სამხრეთ ამერიკიდან პრეტენზიას ბრაზილია აცხადებს. კენჭისყრა ფიფაში ამ საკითხთან დაკავშირებით 2000 წლის ივლისში გაიმართება. ლონდონელ ბუქმეიკერებს მეტი რა უნდოდათ და ახლა იმაზე, თუ რომელი ქვეყანა მოიპოვებს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას, საგანგებო ფსონებიც კი შემოიღეს.

ნიკა შუბლაძე

ვთავაზობთ სამსახურს კომპიუტერზე კვალიფიციურად მბეჭდავ ახალგაზრდა ქალს

დარეკეთ 93 16 08
12-დან 15 საათამდე

# ასე შეცვალა კოჭმა ცხოვრება

*ხომ გქონიათ შემთხვევა, როდესაც დიდი ხნის ჩაუცმელი, ძველი პიჯაკი აგიღიათ და მის ჯიბეში ჩარჩენილი ფული გიპოვნიათ? დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას დიდი ჰოლანდიელი ფორვარდის მარკო ვან ბასტენის ინტერვიუზე, რომელიც ჟურნალ „დე ტელეგრაფის" კორესპონდენტმა იაპ დე გროტმა 1996 წელს აიღო, ჩვენ კი ორიოდ დღის წინ გადავაწყდით.*

*წაიკითხავთ ინტერვიუს და თავად დარწმუნდებით: მასში ევროპის სამგზის საუკეთესო ფეხბურთელი ისეთ საკითხებს ეხება, თითქმის ოთხი წლის მერეც რომ არ მოძველებულა. ამიტომაც გადავწყვიტეთ ექსპერიმენტის ჩატარება და მკითხველისთვის ამ ოდინდელი საუბრის გაცნობა.*



მარკო ვან ბასტენი

**— ძნელი იყო მსოფლიოს უდიდესი სპორტსმენობის შემდეგ იმ ფაქტთან შეგუება, რომ კოჭლი, ინვალიდი ხართ?**

— მართალი გითხრათ, არც ისე ძნელი გამოდგა, როგორც თავიდან ჩანდა. სამი წლის მანძილზე ტკივილი მაწუხებდა და ბოლოს, როგორც იქნა, ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდი. წარმოიდგინეთ, რომ ყოველდღე, ყოველწუთს, სხეულის რომელიმე ნაწილი გტკიოდეთ. კოჭიდან ტკივილი მთელს სხეულს გადაეცემოდა. სანამ იმედი მქონდა, რომ განსალება შესაძლებელი იყო, ბედს ვებრძოდი, მაგრამ მას მერე, რაც უამრავმა მკურნალობამ და სამედიცინო ექსპერიმენტმა შედეგი ვერ გამოიღო, მივხვდი, რომ გამალებული მივრბოდი ჩიხისკენ.

**— ყურადღების ცენტრში ყოფნასაც გადაეჩვიეთ?**

— და ერთი ხანი ასევე ვაპირებ დარჩენას. ჯერ მომავალზე უნდა დავფიქრდე. არაა გამორიცხული, რომ ძალიან მნიშვნელოვანი, უმთავრესი გადაწყვეტილების მიღება დამჭირდეს. როგორც იქნა, ცხოვრებაში პირველად დამიდგა დღე, როდესაც ჩემს ცხოვრებას ფეხბურთი არ განაპირობებს. იმის მისახვედრად, თუ რა მინდა მომავალში, ძველი სამყაროსგან აბსოლუტური ჩამოშორება მჭირდება.

**— ალბათ, იტალიაც ამიტომ დატოვეთ.**

— დიახ, იტალიიდანაც ამიტომ წავედი, არც ჰოლანდიაში დავბრუნდი და მონაკოში დავიდე ბინა. ჩემს გონებას დასვენება სჭირდება, მით უფრო, რომ ტრავმამ დამანახა: თურმე ამქვეყნად გაცილებით მეტი რამ ხდება, ვიდრე მეგონა. თითქოს ყოველდღიურ საქმიანობის, წვრთნისა და თამაშების გარეშე თავი ცუდად უნდა მეგრძნო, მაგრამ პირიქით მოხდა, უამრავი ჩინებული რამ აღმოვაჩინე. მოკლედ, მივხვდი, რომ ცხოვრება სინამდვილეში ძალიან მრავალმხრივია.

**— კარიერის განმავლობაში ფეხბურთელებისა და მწვრთნელების კლასს საგანგებო ალღოთი გრძნობდით. ასეთი ინტუიციითა და ავტორიტეტით დაჯილდოებული ადამიანი, ალბათ, კარგად შეძლებდით მწვრთნელობას.**

— გეთანხმებით, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მწვრთნელთა ცხოვრება და უკიდურესად ძნელი საქმიანობა საკუთარი თვალით მაქვს ნანახი. ამ ხალხის ცხოვრებას მათი პროფესია მბრძანებლობს, მე კი დღეს ფინანსურად დამოუკიდებელი ადამიანი გახლავართ, რასაც მინდა, იმას ვაკეთებ და სერიოზულად ვფიქრობ, ღირს თუ არა ამ საქმესთან შეჭიდება.

**— თქვენ საუკეთესო მწვრთნელებთან გიმუშავიათ. რა შეხედულება ჩამოგიყალიბდათ ამ ხალხზე ზოგადად?**

— აღმოვაჩინე, რომ ეგრეთწოდებული უმაღლესი კლასის ათი მწვრთნელიდან გუნდის მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ერთს თუ შეუძლია. ათიდან ექვსი ახერხებს, რომ არაფერი გააფუჭოს, ხოლო სამი აფუჭებს. სწორედ ამიტომ ვცემ დიდ პატივს იოჰან კრუიფსა და არიგო საკის. ამ ხალხს გამჭრიახი ხედვა აქვს და გუნდის გაუმჯობესება შეუძლია. დიდი მწვრთნელების კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ რაიმე გადაწყვეტილებას შიშით იღებენ. იოჰან კრუიფის ნაირი ხალხი სათადარიგოთა სკამზე უშიშრად ზის. ასეთივეა ლუის ვან გაალი, რომელსაც ზუსტად იგივე იდეები აქვს და გამარჯვების ჟინით არის შეპყრობილი.

**— კი მაგრამ, თავადაც ესეთი არ ხართ? ძლიან მკაფიო შეხედულებები გაქვთ, გიყვართ შეტევა და გამარჯვება.**

— პლუს საშუალო რაღაცეების კეთებას ვერ ვიტან, თუ ვაკეთებ, მხოლოდ უმაღლეს დონეზე. მაგრამ მწვერვალზე ყოფნა სტაბილურობას ითხოვს. სტაბილურობის შექმნა კი ძნელია, წარმატების შემდეგ ყველა ჩამოგდებას გიპირებს. ამიტომაც არ მინდა ფეხბურთში დაბრუნება, თუმც გული შიგადაშიგ გამიწევს ხოლმე. მწვრთნელობა საოცარ ენერგიას ითხოვს, რათა საქმე სწორად წარმართო. ყველაფერი მხოლოდ ტექნიკაზე და ტაქტიკაზე როდია დამოკიდებული, მწვრთნელი გუნდის სულს ალიან ღრმად უნდა ჩაწვდეს.

**— როგორც ჩანს, ყველაზე მეტად დამოუკიდებლობის დაკარგვისა გეშინიათ.**

— ამბობენ, ადამიანს რაც უფრო მეტი ფული აქვს მით მეტი უნდებაო, მე კი სხვანაირად მომდის, რაც მეტი მაქვს ფული მით უფრო მიქრება ინტერესი. ჩემთვის განცხრომა რაც მსურს იმის კეთებაა, მინდა პაწაწინა ინში გავათენებ ღამეს, მინდა ხუთვარსკვლავიან სასტუმროში. ორივე კარგია, თუ შენი არჩეულია და არავინ გაიძულებს. მიყვარს საკუთარი თავის განვითარება და ნურავინ იფიქრებს, რომ ფეხბურთის გარდა ვერაფერზე ვფიქრობ. ამიტომ მჭირდება დრო.

**— თქვენ რამდენიმე სენსაციური განცხადებაც გააკეთეთ. კერძოდ, მსოფლიოს კალათბურთივით, ხუთი პერსონალურის მიმღები მოთამაშის გაგდება შესთავაზეთ.**

— გულწრფელად გეუბნებით, მხოლოდ წითელი და ყვითელი ბარათებით ფონს ვერ გავალთ. დღევანდელი მცველები გაუხეშდნენ და უამრავჯერ ჯარიმდებიან.

ისეთი მოთამაშეები, პიეტრო ვერხოვოდი და იურგენ კოლერი რომ არიან, ხშირად ერთ შეხვედრაში თხუთმეტჯერ მიდებდნენ სარმას. იქნებ მსაჯს თხუთმეტივეჯერ დაესტვინა კიდეც, მაგრამ ჩემი შეტევა თხუთმეტჯერ წყდებოდა და გულშემატკივარს თხუთმეტი ლამაზი მომენტი აკლდებოდა. ამიტომაც ვამბობ, რომ კალათბურთის წესია შემოსაღები. თან, როდესაც რომელიმე გუნდის სამი წევრი მიიღებს ხუთ პერსონალურს, გუნდი მოედანზე ათი კაცით უნდა რჩებოდეს. ეს, მე თუ მკითხავთ, ძალიან ეფექტური ნაბიჯი იქნება.

**— თქვენი სურვილი, ფეხბურთი უფრო წმინდა გახდეს, ფეხბურთელ ვან ბასტენს ეკუთვნის თუ მსხვერპლ ვან ბასტენს.**

— ეს იმ ფეხბურთელის იდეაა, რომელსაც შეტევა და გოლების გატანა უყვარდა. მსხვერპლი არ გახლავართ, მაგალითი ვარ იმისა, როგორ შეიძლება მოისპოს ჯადოსნური კარიერა. იცით, კიდევ, ჩემთვის რა არის ყველაზე გამაოგნებელი? არა ის, როგორ დავიზიანე კოჭი, არამედ ის, როგორ მომეპყრო ზოგი ექიმი. მე კარიერა უხეშმა ფეხბურთელმა კი არა, ქირურგმა დამამთავრებინა...

„დე ტელეგრაფიდან"
თარგმნა
ბაბუნა ბედიამ



ვან ბასტენმა „ოქროს ბურთი" სამჯერ აღმართა



1988 წლის ევროპის ჩემპიონატი. ვან ბასტენი ინგლისელთა კარში გატანილ გოლს ზეიმობს

## საჭირბოროტო
## კითხვა • პასუხი

***— ახლა რაღას იტყვი?***

— რა უნდა ვთქვა, ყველამ თავის აძურას მიხედოს.

***— ეგ არ არის მნიშვნელოვანი, იტალიას არ სჭირდებოდა.***

— ისე არ სჭირდებოდა, რომ სახლში წაავგო?

***— დანია გუნდია.***

— და ინგლისი არა, ხომ?

***— ინგლისი რაც არის, გამოჩნდა.***

— აბა, კარგად მითხარი, რა გამოჩნდა?

***— ის, რომ ინგლისის ნაკრებს თავის ქვეყანაში სჯობია ხუთი-ექვსი გუნდი.***

— და იტალიისას?

***— იტალიამ თავისი საქმე იცის.***

— და ინგლისმა არა, ხომ?

***— თუ იცის და იჯდეს ახლა ფოსტაში და შვედებს უგზავნოს დეპეშები, მიშველეთო...***

— ეს კიგანმა უნდა გააკეთოს?

***— სხვა რა დარჩენია?***

— და ძოფმა რაღა უნდა გააკეთოს?

***— ძოფი გასულია, ძმაო.***

— ეგ მალე გაღმა გავა, ისეთი პირი უჩანს.

***— შენ სხვის ფანჯარაში ნუ იყურები, შენსას მიხედე.***

— კერძოდ?

***— ეს შირერი როგორ შემოგაცვდათ ხელში?***

— რკინა ცვდება და ჟანგდება და ახლა ერთი შირერი...

***— ერთი ესეც მითხარი, პირსი უმუშევარია და ძველი ძმაკაცობით ფული იშოვნეს, თუ...***

— პირსისთანა გყავდეს ერთი, არ გინდა?

***— პირსის წვალებას, ბარემ თვითონ გამოსულიყო.***

— ძოფის პატრონი ასაკს აწვება? პირსი თმას მაინც არ იღებავს.

***— და ის სავალდებულოა, რო ბეტიმ ყველა თამაშში ფეხი მოტეხოს ვილაცას?***

— იტალიის ბალეშჩიკს ფეხის მოტეხვა უკვირს.

***— არა, მე მიკვირს, რომ ბეტი სავალდებულოა.***

— ჯენტილე, კლაუდიო ჯენტილე...

***— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. ეს ოუენიც არაფერი ყოფილა.***

— ჰა, ბიჭს თავი დაანებე. ბიჭმა იცის.

***— რა იცის? გეგონება, სხვა ბიჭიაო.***

— გვაცალეთ, ბატონო, გვაცალეთ. ბავშვს ოთხი თვე არ უთამაშია. აი, დღეს უყურე „მანჩესტერთან"...

***— ზღაპარია.***

— წელს გვნახეთ ლიგაში, ძიაკაცო. წელს გვნახეთ...

***— ლიგა რა შუაშია, მე ვარშავაში გნახეთ.***

— ხალხი გვაკლდა, თორემ...

***— ხალხიო...***

— დიახაც. კემპბელი, ლე სო, მისტერ სიმენი, მთელი ჯიგრობა...

***— და გაზა?***

— ეჰ, მყესის ამბავში დაგვალალატა.

***— შერჩა, რო მყესები?***

— კოსტაკურტას ეყოფა.

***— პირჯვარი დაიწერე, არა მოგელანდოს რა...***

— მე? ჯერ ბიჭმა გამოილვიძოს.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. IV ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 011 | ჰამბურგი — ჰერტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 014 | უნტერჰახინგი — შტუტგარტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 016 | ლევერკუზენი — შალკე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 017 | დორტმუნდი — ფრაიბურგი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,4 |
| 019 | დუისბურგი — ბაიერნი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 012 | ვერდერი — კაიზერსლაუტერნი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 018 | მიუნხენი — აინტრახტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. IV ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 021 | მიონხენგლადბახი — ალემანია | 2,0 | 2,9 | 3,4 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 023 | ფორტუნა — ხემნიცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 026 | კიკერსი — ობერჰაუზენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 027 | ფიურტი — კოტბუსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 028 | მაინცი — ნიურნბერგი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

13 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 024 | ბოხუმი — კიოლნი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. VII ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 029 | არსენალი — ასტონ ვილა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 031 | ჩელსი — ნიუკასლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 032 | ქოვენთრი — ლიდსი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 033 | ლივერპული — მანჩესტერი (15$^{30}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 034 | მიდლსბრო — საუთჰემპტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 035 | უენსდი — ევერტონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 036 | სანდერლენდი — ლესტერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 037 | ვესტ ჰემი — უოტფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 038 | უიმბლდონი — დერბი | 2,1 | 2,8 | 3,3 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 030 | ბრედფორდი — ტოტენჰემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. VII ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 040 | ბირმინგემი — ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 041 | ბლექბერნი — ტრანმერი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 042 | ჩარლტონი — ბოლტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 043 | გრიმსბი — უოლსოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 044 | მანჩესტერ სიტი — კრ. პალასი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 045 | ნორვიჩი — ქრიუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 046 | პორტ ვეილი — ფულემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 047 | პორტსმუთი — იფსვიჩი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 048 | ქუინზ პარკი — შეფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 049 | სუინდონი — ნოტინგემი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 050 | ვულვზი — ჰადერსფილდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. VII ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 051 | ბორნმუთი — რედინგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 052 | ბრისტოლი — მილუოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 053 | კემბრიჯი — ბრენტფორდი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 054 | ჩესტერფილდი — სტოკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 055 | კოლჩესტერი — სკანთორპი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 056 | ლუტონი — რექსემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 057 | ნოტსი — ბლეკპული | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 058 | ოლდემი — ბერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 059 | ოქსფორდი — ჯილინგემი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 060 | ბრისტოლი — ბარნლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 061 | უიგანი — როვერსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 062 | უიკომბი — კარდიფი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. VII ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 063 | კარლაისლი — ლინკოლნი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 064 | ჩესტერი — ექსეტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 065 | ჰალიფაქსი — ბრაიტონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 066 | მაკლსფილდი — საუთენდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 067 | მენსფილდი — ლეიტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 068 | ნორთჰემპტონი — ჰარტლპული | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 069 | პლიმუთი — როტერჰემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 070 | როჩდეილი — დარლინგტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 071 | სუონსი — ბარნეტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 072 | ტორკი — ჰალი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 073 | იორკი — პიტერბრო | 2,8 | 2,9 | 2,3 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 074 | ჩელტენემი — შრიუსბერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. VI ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 075 | მეცი — სტრასბური | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 076 | ლიონი — ოსერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 077 | სტ. ეტიენი — ლე ავრი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 078 | ლანსი — სედანი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 079 | ბასტია — ნანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 080 | მონპელიე — მარსელი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 081 | ტრუა — ნანტი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 082 | რენი — მონაკო | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 083 | პსჟ — ბორდო | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. IX ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 084 | ნიორი — ლილი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 085 | ლე მანი — სოშო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 086 | კაენი — გენიონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 087 | კანი — ლორიანი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 088 | აიაჩო — ნიცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 089 | შატორუ — ნიმი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 090 | ლუანი— ლავალი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 091 | ტულუზი — გენგამი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 092 | ვასკეალი — ამიენი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 093 | კრეტეი — ვალანსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### იტალია. სერია A. II ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 094 | ბარი — ლაციო | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 098 | რეჯინა — ფიორენტინა | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 101 | უდინეზე — პიაჩენცა | 1,6 | 2,9 | 6,0 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 095 | კალიარი — იუვენტუსი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 096 | მილანი — პერუჯა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 097 | პარმა — ბოლონია | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 099 | რომა — ინტერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 100 | ტორინო — ვენეცია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 102 | ვერონა — ლეჩე | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### იტალია. სერია B. III ტური

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 103 | ალძანო — კიევო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 104 | ბრეშა — სალერნიტანა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 105 | კოზენცა — მონცა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 106 | ემპოლი — სამპდორია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 107 | ჯენოა — პესკარა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 108 | ნაპოლი — ფერმანა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 109 | პისტოიეზე — სავოია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 110 | რავენა — ატალანტა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 111 | ტერნანა — ვიჩენცა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 112 | ტრევიზო — ჩეზენა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### იტალია. სერია C1/A. II ტური

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 113 | ალბინოლეფე — სიენა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 114 | ბრეშელო — კომო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 115 | კარარეზე — სანდონა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 116 | ჩიტადელა — ლივორნო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 117 | კრემონეზე — ლუმეცანე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 118 | ლეკო — რეჯანა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 119 | ლუკეზე — მონტევარკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 120 | მოდენა — ვარეზე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 121 | პიზა — სპალ | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### იტალია. სარია C1/B. II ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 122 | არეცო — გუალდო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 123 | ასკოლი — პალერმო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 124 | ატლეტიკო — ფ. ანდრია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 125 | ბენევენტო — აველინო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 126 | კროტონე — ვიტერბეზე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 127 | ჯულიანოვა — ანკონა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 128 | ლოდიჯანი — კატანია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 129 | მარსალა — სტაბია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 130 | ნოჩერინა — დი სანგრო | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. III ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 135 | ბარსელონა — ესპანიოლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 136 | ვალენსია — ალავესი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 138 | დეპორტივო — ვალიადოლიდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 131 | რაიო — სოსიედადი (15$^{00}$) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 132 | ატლეტიკო — სელტა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 133 | სევილია — სარაგოსა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 134 | ოვიედო — რასინგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 137 | მალაგა — ბეტისი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 139 | ბილბაო — რეალი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 140 | მალიორკა — ნუმანსია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. IV ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 141 | ეიბარი — ესტრემადურა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 142 | ელჩე — ხეტაფე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 148 | ტოლედო — ლას პალმასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 150 | ატლეტიკო B — კომპოსტელა | 2,0 | 2,9 | 3,4 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 143 | ვილიარეალი — ბადახოსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 144 | ლევანტე — ალბასეტე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 145 | ტენერიფე — სალამანკა (14$^{00}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 146 | სპორტინგი — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 147 | უელვა — ლოგრონიესი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 149 | მერიდა — კორდობა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 151 | ლეგანესი — ოსასუნა (15$^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### პორტუგალია. III ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 156 | ბრაგა — პორტუ | 5,6 | 3,0 | 1,6 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 152 | ალვერკა — კამპომაიორენსე | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 155 | ჟილ ვისენტე — ლეირია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 157 | ფარენსე — სპორტინგი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| 158 | სეტუბალი — მარიტიმუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 159 | რიუ ავე — სალგეირუში | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 160 | სანტა კლარა — ბენფიკა | 5,6 | 3,0 | 1,6 |

### ჰოლანდია. IV ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 163 | სიტარდი — ვალვაიკი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 164 | ჰერენვენი — ტილბურგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 165 | მაასტრიხტი — კამბური | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 166 | ტვენტე — ვიტესი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 167 | გრააფსხაპი — პსვ | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 168 | სპარტა — უტრეხტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ბელგია. V ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 169 | სენტ ტრუიდენი — აალსტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 170 | ლოკერენი — ბეერსხოტი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 171 | მუსკრონი — გენტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 173 | ლიერსი — მეხელენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 174 | ლომელი — ჰარელბეკე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 175 | გეელი — სტანდარდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 176 | შარლერუა — გენკი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### ჩეხეთი. VI ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 187 | დუკლა — სლავია | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 193 | ტეპლიცე — ბრნო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 194 | სპარტა — ბუდეიოვიცე | 1,5 | 3,2 | 6,5 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 188 | სიგმა — ბლშანი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 189 | დრნოვიცე — ლიბერეცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 190 | ვიკტორია — ჰ. კრალოვე (13$^{15}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 191 | ოპავა — ბანიკი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### პოლონეთი. VIII ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 197 | ლკს — ჰალექსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 199 | ზაგლებე — გროცლინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 200 | ამიცა — რაძიონკოვი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 201 | ლეგია — ვიძევი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 202 | ოდრა — პლოცკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 195 | ლეხი — რუხი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 196 | ვისლა — პოლონია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 198 | გურნიკი — პოგონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### თურქეთი. III ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 204 | გალათასარაი — ანკარაგიუჯიუ | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 205 | ბეშიქთაში — დენიზლი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

12 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 206 | სამსუნი — ადანა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 207 | ერზურუმი — ქოჯაელი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 208 | ბურსა — გაზიანთეფი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 209 | გენჩლერბირლიგი — ვანი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 210 | ფენერბაჰჩე — ალთაი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 211 | გიოზთეფე — ისთანბული | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შოტლანდია. VI ტური

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 212 | დანდი იუნაიტედი — ჰიბერნიანი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 213 | ჰართსი — დანდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 214 | რეინჯერსი — აბერდინი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| 215 | სენტ ჯონსტონი — მოზერველი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 12 სექტემბერი | | | |
| 216 | კილმარნოკი — სელტიკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| | **ავსტრია. IX ტური** | | | |
| | 11 სექტემბერი | | | |
| 217 | აუსტრია — გრაცერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 218 | ლუსტენაუ — ზალცბურგი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 219 | რაპიდი — ტიროლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 220 | რიდი — ბრეგენცი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | **შვეიცარია. XI ტური** | | | |
| | 11 სექტემბერი | | | |
| 222 | არაუ — ბაზელი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 223 | ლოზანა — ივერდონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 225 | სერვეტი — სტ. გალენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 226 | ციურიხი — ქსამაქსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 12 სექტემბერი | | | |
| 224 | ლუცერნი — გრასჰოპერი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 227 | დელემონი — ლუგანო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | **დანია. VII ტური** | | | |
| | 12 სექტემბერი | | | |
| 228 | აკადემისკი — სილკებორგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 230 | ვიბორგი — ბრონდბიუ | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 231 | კოპენჰაგენი — ვეილე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 233 | აგფ — ოდენსე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 13 სექტემბერი | | | |
| 229 | ჰერფიოლგე — ესბიერგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | **რუსეთი. XXIII ტური** | | | |
| | 11 სექტემბერი | | | |
| 234 | ჩერნომორეცი — როტორი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 235 | ცსკა — როსტსელმაში | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3.0 | 2,8 |
| 236 | ზენიტი — ნ. ნოვგოროდი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 237 | შინიკი — სატურნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 238 | ურალანი — ჟემჩუჟინა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 239 | ალანია — ლოკომოტივი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 240 | კრილია — დინამო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | **შვედეთი. XX ტური** | | | |
| | 11 სექტემბერი | | | |
| 11.09 241 | ჰელსინგბორგი — ტრელებორგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 242 | გიოტებორგი — აიკ | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 12 სექტემბერი | | | |
| 244 | კალმარი — იორგრიტე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 13 სექტემბერი | | | |
| 245 | იურგარდენი — ელფსბორგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 246 | ნორჩიოპინგი — მალმიო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 247 | იორებრო — ჰალმსტადი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 243 | ჰამარბი — ფრიოლუნდა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | **ნორვეგია. XXII ტური** | | | |
| | 11 სექტემბერი | | | |
| 249 | ბრანი — რუსენბორგი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 252 | სტრიომსგოდსეტი — სტაბეკი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | 12 სექტემბერი | | | |
| 248 | ბოდიო გლიმტი — მოსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 250 | კონგსვინგერი — ლილესტრიომი | 3,0 | 3,3 | 2,0 |
| 251 | მოლდე — ვიკინგი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 253 | ტრომსიო — სკეიდი | 1,6 | 3,6 | 4,0 |
| 254 | ვოლერენგა — ოდ გრენლანდი | 2,1 | 3,3 | 2,8 |

### ჩემპიონთა ლიგა

| | I ადგ. | ჯგ. გასვლა | IV ადგ. | თასი |
|---|---|---|---|---|
| ლაციო | 1,2 | 1,02 | 25,0 | 4,0 |
| ლევერკუზენი | 3,0 | 1,4 | 6,0 | 10,0 |
| დინამო | 5,0 | 2,0 | 4,0 | 25,0 |
| მარიბორი | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| ბარსელონა | 1,7 | 1,3 | 15,0 | 2,5 |
| ფიორენტინა | 2,0 | 1,4 | 12,0 | 5,0 |
| არსენალი | 3,0 | 1,5 | 10,0 | 7,0 |
| აიკ | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| დორტმუნდი | 1,7 | 1,2 | 6,0 | 7,0 |
| ფეიენოორდი | 2,0 | 1,5 | 2,5 | 15,0 |
| რუსენბორგი | 4,0 | 2,0 | 1,8 | 25,0 |
| ბოავიშტა | 6,0 | 3,0 | 1,6 | 50,0 |
| მანჩესტერი | 1,15 | 1,01 | 25,0 | 2,5 |
| მარსელი | 3,0 | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| კროაცია | 6,0 | 3,0 | 2,0 | 25,0 |
| შტურმი | 25,0 | 10,0 | 1,2 | 100,0 |
| რეალი | 1,15 | 1,02 | 10,0 | 6,0 |
| პორტუ | 3,0 | 1,3 | 2,5 | 15,0 |
| ოლიმპიაკოსი | 8,0 | 3,0 | 1,5 | 50,0 |
| მოლდე | 10,0 | 4,0 | 1,2 | 100,0 |
| ბაიერნი | 1,8 | 1,3 | 8,0 | 5,0 |
| ვალენსია | 2,5 | 1,6 | 2,2 | 10,0 |
| პსვ | 4,0 | 2,0 | 1,7 | 15,0 |
| რეინჯერსი | 4,0 | 2,0 | 1,5 | 25,0 |
| ბორდო | 1,7 | 1,15 | 6,0 | 15,0 |
| სპარტაკი | 2,0 | 1,35 | 2,2 | 25,0 |
| სპარტა | 5,0 | 2,5 | 1,8 | 50,0 |
| ტილბურგი | 8,0 | 3,5 | 1,4 | 50,0 |
| მილანი | 1,7 | 1,1 | 8,0 | 2,5 |
| ჩელსი | 1,8 | 1,15 | 6,0 | 5,0 |
| ჰერტა | 4,0 | 2,0 | 2,0 | 15,0 |
| გალათასარაი | 10,0 | 4,0 | 1,1 | 50,0 |

### უეფას თასს მოიპოვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 |
| პარმა | 4,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 5,0 |
| ტოტენჰემი | 5,0 |
| აიაქსი | 5,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| ნიუკასლი | 7,0 |
| ვესტ ჰემი | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| მალიორკა | 10,0 |
| მონაკო | 10,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 |
| ვერდერი | 10,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ანდერლეხტი | 15,0 |
| ბრიუგე | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| ლოკომოტივი | 50,0 |
| ვიტესი | 50,0 |
| სელტიკი | 50,0 |
| სპორტინგი | 50,0 |
| გიოტებორგი | 100,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 100,0 |
| როდა | 100,0 |

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია**

(ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.

რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა 23

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". [illegible] მატჩის განაცხადში მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოე[illegible]ტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნა[illegible]ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გ[illegible]ის შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

*იანეს რაიგერი ლიუბლიანის „სლოვანის" საკალათბურთო კლუბის დირექტორია. ქართველებისთვის ეს ინფორმაცია არაფრისმთქმელი იქნებოდა, რომ არა...*

*„სლოვანში" ოთხი ქართველი კალათბურთელია...*

*ოთხივე მათგანი ევროპისთვის რაიგერმა აღმოაჩინა და სლოვენიურ კლუბებში სათამაშოდაც მანვე წაიყვანა.*

*რაიგერის ხელშია „სლოვანის" ფინანსური საქმეები, აქედან გამომდინარე, ჩვენი ბიჭების მატერიალური მდგომარეობაც...*

*რაიგერი ქართულ კალათბურთთან ურთიერთობის განყვეტას ამით არ აპირებს...*

*კეისარიაო, რომ ვთქვათ, ნამეტანი იქნება, მაგრამ რაიგერისთვის რამდენიმე საქმის ერთად კეთება ძნელი სულაც არ არის: ვარჯიშის ცქერა, კალათბურთელებზე დაკვირვება, კლუბის დოკუმენტებში კირკიტი, გაუთავებლად მოწკრიალე მობილურ ტელეფონზე საუბარი, კლუბის და დარბაზის მოხელეთათვის მითითებების მიცემა... რა ვქნა, სხვანაირად არ გამოდისო, მითხრა 50 წელს გადაცილებულმა, მაგრამ ჭაბუკივით მხნე და ცქვიტმა რაიგერმა. მერე კი მდივანს გასძახა, ცოტა ხანი არავინ შემაწუხოსო, მობილური ტელეფონი გამორთო და ცხოვრებაში პირველად გაესაუბრა ქართულ გაზეთს.*



იანეს რაიგერი

# ვიდრე სლოვანში ვარ, ქართველებს არ გაუჭირდებათ

**— საიდან მოგაფიქრდათ ქართველი კალათბურთელების სლოვენიაში გადმოყვანა?**

— სანამ „სლოვანის" დირექტორი გავხდებოდი, ლიუბლიანას „ოლიმპიაში" მენეჯერად ვმუშაობდი და კლუბისთვის ნიჭიერ ახალგაზრდებს ვეძებდი. იმხანად „ოლიმპიაში" ვლადიმერ სტეფანია თამაშობდა, სხვათა შორის, ერთადერთი ქართველი, რომელიც სლოვენიაში მე არ წამომიყვანია. ვლადიმერს ხშირად ვესაუბრებოდი და ვიცოდი, რომ საქართველოში ნიჭიერი კალათბურთელები იზრდებიან. ოღონდ, არავის გვარი არ ვიცოდით არც მე, არც სტეფანიამ, რომელსაც ქართულ ბავშვთა კალათბურთთან შეხება დიდი ხანია არ ჰქონდა.

სტეფანიას რჩევით დავესწარი 1981 წელს დაბადებულ კადეტთა ევროპის ჩემპიონატის ჯერ შესარჩევ, მერე კი ფინალურ ეტაპს, რომლებზეც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა. თქვენს გუნდში ყველასგან ვლადიმერ ბოისა გამოირჩეოდა. გავიგე მისი ბინის ტელეფონი და დავურეკე. თავადაც არ ვიცი, პირველად რა ენაზე ველაპარაკე — ეს იყო სლოვენიურის, ინგლისურის და რუსულის საშინელი ნაზავი. მერე საქართველოშიც ჩავედი და ბოისა „ოლიმპიაში" გადმოვიყვანე.

ვლადიმერი „ოლიმპიამ" ერთი წლით „პოსტოინაში" განათხოვრა. შარშან, დაახლოებით ამ დროს, „სლოვანის" დირექტორად დავინიშნე. შევიტყვე, რომ „ოლიმპია" კვლავ აპირებდა ბოისას ერთი წლით განათხოვრებას. მართალია, „პოსტოინა" დაიშალა, მაგრამ რომც არ დაშლილიყო, ბოისას მაინც „სლოვანში" გადმოვიყვანდი, ჩემს აღმოჩენილ ბიჭს სხვას რატომ დავუთმობდი...

**— ნიკა ცქიტიშვილს, დავით უგრეხელიძეს და ირაკლი კეიდიას როგორ მიაგენით?**

— მათ შესახებ ბოისამ მოგვაწოდა ინფორმაცია. ჯერ ცქიტიშვილით დავინტერესდით. ამ გაზაფხულზე მის სანახავად თბილისშიც ვიყავი. დავესწარი მისი გუნდის ვარჯიშებს, ცქიტიშვილის გარდა უგრეხელიძე და კეიდია მომივიდნენ თვალში. მერე მათი თამაში ვნახე კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე. შედეგს თავად ხედავთ, სამივე „სლოვანის" წევრია.

**— გამოდის, ლეგიონერების ლიმიტს ქართველებით ავსებთ?**

— არა მხოლოდ ქართველებით. მე აფრიკაშიც ვიმოგზაურე და მალიში აღმოვაჩინე ორი ნიჭიერი ბიჭი სამაილა სამაკე და ბაკარი კონატე. ეს მაშინ იყო, როცა „ოლიმპიაში" ვმუშაობდი და, ამიტომ ისინი ამ გუნდს ეკუთვნიან. ამ სეზონში „ოლიმპიამ" სამაკე გვათხოვა, იგი მალიში გაემგზავრა და ჯერ არ ჩამოსულა. არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ თუკი ის სლოვენიაში დაბრუნდება, „სლოვანის" მესამე ლეგიონერი გახდება.

**— მესამე თუ მეხუთე?**

— სლოვენიის ჩემპიონატში გუნდს სამი უცხოელის გამოყვანა შეუძლია. ჩვენ არჩევანი შევაჩერეთ ბოისაზე, ცქიტიშვილზე და სამაკეზე. თუკი ეს უკანასკნელი არ დაბრუნდა, მაშინ უცხოელი ცენტრის ძებნა მოგვიწევს.

**— უგრეხელიძე ცენტრიცაა და უცხოელიც, თქვენ კი იგი კრანის „ტრიგლავში" გაანათხოვრეთ...**

— უგრეხელიძე ძალიან ნიჭიერი და გონებაგახსნილი კალათბურთელია, მაგრამ ჩვენი გუნდის ხუთეულში სათამაშოდ მზად არ არის. შეგვეძლო მისი დატოვება, მაგრამ ცოტა თამაში მოუწევდა. ეს კი არც მისთვისაა კარგი და არც ჩვენთვის. „ტრიგლავში" იგი ხუთეულშია, ბევრს ითამაშებს და გაისად, ალბათ, „სლოვანში" დაბრუნდება.

კეიდიას განათხოვრება არ გამოგვივიდა. ყველა გუნდს მის ამპლუაში მოთამაშეები უკვე ჰყავს. მეორე ლიგის გუნდში თამაში მხოლოდ სლოვენიის მოქალაქეს შეუძლია. ამიტომ ირაკლი „სლოვანის" ახალგაზრდულ გუნდში იქნება და თანატოლებში სლოვენიის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

**— მოვიდა დრო, „სლოვანის" მიზნებზე გკითხოთ?**

— „სლოვანის" მოთამაშეთა საშუალო ასაკი 20 წელია, ყველაზე უფროსი 24 წლისაა. ოთხი-ხუთი წელიწადი დიდ წარმატებაზე არ ვფიქრებთ, ამასობაში ბიჭები წამოიზრდებიან, ერთმანეთთან შეთამაშდებიან და სერიოზულ მიზნებზეც მერე დაველაპარაკებთ.

**— კლუბის ფინანსური მდგომარეობა მყარია?**

— „სლოვანში" შარშან მოვედი და ფინანსების მხრივ საშინელი მდგომარეობა დამხვდა. კლუბი გადასარჩენი იყო. მივდექ-მოვდექი, ნაცნობ-მეგობრები დავიხმარე, პარტნიორები გამოვძებნე და „სლოვანმაც" თვალში გამოიხედა.

ამ სეზონისთვის ფინანსური მდგომარეობა გაცილებით უკეთესი გვაქვს. გაგვიჩნდა ახალი გენერალური სპონსორი „მობიტელი", მობილური კავშირის ფირმა. მის გარდა გვყავს რამდენიმე სერიოზული პარტნიორი და, ასე ვთქვათ, დამხმარე. ამ მდგომარეობამ საშუალება მოგვცა გუნდში მოგვეყვანა ძლიერი მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი, რომელიც ცხრა წელიწადი „ოლიმპიაში" ზმაგო საგადინის პირველი თანაშემწე იყო. ხოლო როგორი მწვრთნელია საგადინი, ამას სტეფანიაც გეტყოდათ და „ოლიმპიას" შედეგებიც.

ერთი სიტყვით, ფინანსურად ნორმალურად ვართ. არც „ოლიმპიასავით" გვილხინს, მაგრამ არც დაშლის საფრთხე გვემუქრება.

**— ესე იგი, ქართველ კალათბურთელებს ფინანსების მხრივ პრობლემები არ ექნებათ?**

— სანამ მე ამ კლუბში ვარ, ქართველ ბიჭებს არანაირი პრობლემა არ ექნებათ. ისინი მე აღმოვაჩინე, მე მოვიყვანე გუნდში და მათზე უნდა ვიზრუნო კიდეც. ასე რომ, მათ მშობლებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. აქვე გეტყვით, რომ ოთხივე ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარეა. მწვრთნელები კმაყოფილნი არიან. მინდა მათ ოჯახებს მადლობა ვუთხრა ასეთი ზრდილობიანი შვილების აღზრდისთვის.

ამ ბიჭებში ის მომწონს, რომ ისინი ჯერ კალათბურთის თამაშზე, სწავლაზე ფიქრობენ და მერე ფულზე. ასეთი აზროვნება მათ წარმატებებს მოუტანს. არაერთი ახალგაზრდა ტალანტი მინახავს, რომელიც პირველ რიგში ფულს გაეკიდა და ამის გამო ნიჭი ჩაიკლა. რაღა შორს წავიდეთ, აგერ, ახლახან სტამბოლის „ფენერბაჰჩე" იყო ჩვენთან სტუმრად. იქ ქართველი თამაშობს, ზაზა ენდენი. ამ მოთამაშეს ჭაბუკობისას კალათბურთზე მეტი რომ ეფიქრა, დღეს დიდი მოთამაშე იქნებოდა. ისე, „ფენერბაჰჩეს" მოვუგეთ და ბოისამ აშკარად დაჩაგრა ენდენი.

**— ბოისაზე მინდა გკითხოთ. მომავალზე ვფიქრობთო, ბრძანეთ, მაგრამ რა იცით, როდის მოგთხოვთ „ოლიმპია" ბოისას?**

— ამ სეზონში ბოისას ვერავინ მოგთხოვს, იგი კონტრაქტით ჩვენთანაა დაკავშირებული. სამომავლოდ ბოისა ძალიან გვჭირდება. ამიტომ, თუკი საშუალება გვექნება, მას აუცილებლად გამოვისყიდით. დიდი შანსია, არაფერი გამოგვივიდეს: ვლადიმერი იმხელა შესაძლებლობების მოთამაშეა, რომ არა მგონია, „ოლიმპიამ" იგი ვინმეს დაუთმობს. საკითხავი ისაა, „ოლიმპია" თუ შეინარჩუნებს მას...

**— თავად თქვენ, დიდი ხანია კალათბურთში საქმიანობთ?**

— კალათბურთის ქომაგი და მოყვარული ბავშვობიდან ვარ, მაგრამ სულ სხვაგან ვსაქმიანობდი. ერთხელ აღმოვაჩინე ნიჭიერი ბავშვი, რომელსაც ეტყობოდა, რომ დიდი კალათბურთელი დადგებოდა. ეს ბავშვი დღეს მარკო მილიჩია, პირველი სლოვენიელი, რომელმაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ითამაშა. მილიჩის მენეჯერი ვიყავი და როცა იგი „ოლიმპიამ" აიყვანა, მეც ამ კლუბში დავიწყე მუშაობა.

„ოლიმპიაში" რამდენიმე წელიწადი ვიმუშავე. 1994 წელს ევროპის საკლუბო თასი მოვიგეთ. მომდევნო წელს მწვრთნელი ზმაგო საგადინი ხორვატიის „სპლიტში" გადავიდა. „ოლიმპიაში" კრიზისი დაიწყო, ერთ სეზონში სამი მწვრთნელი შეიცვალა. მაშინ კლუბმა მე გამაგზავნა სპლიტში და მეც საგადინს იქამდე ვუტრიალე, სანამ „ოლიმპიაში" დაბრუნებაზე არ დავითანხმე. ამის შემდეგ „ოლიმპიამ" დიდ წარმატებებს მიაღწია. სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ვლადიმერ სტეფანია გუნდის ერთ-ერთ ლიდერად.

**— თქვენი ურთიერთობა ქართულ კალათბურთთან კიდევ გაგრძელდება?**

— ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი მაქვს და არა მგონია, რამემ ხელი შემიშალოს. საქართველოს რამდენჯერმე ვარ ნამყოფი და ვიცი, რომ კალათბურთს ძალიან უჭირს. თქვენი ნაკრებისა და კლუბების შედეგებს თავი რომ დავანებოთ, გაჭირვების გამო ვერ ხერხდება ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, მწვრთნელები ვერ ატარებენ ვარჯიშებს, არ არის დარბაზები... მე თუ მკითხავთ, დღევანდელი ქართული კალათბურთი არის ნიჭიერი ახალგაზრდობა და მეტი არაფერი. ამ ნიჭიერთაგან ოთხი აქ, სლოვენიაშია, ფაჩულია — თურქეთში, გვარი არ ვიცი, მაგრამ ერთი მოთამაშე ამერიკაშიც გყოლიათ. სხვებზე რა გითხრათ, მაგრამ ჩემს კლუბში მყოფ ბიჭებს არცერთი ის პრობლემა არ ექნებათ, რაც საქართველოში არსებობს. ისინი კარგ კალათბურთელებად ჩამოყალიბდებიან და მარტო კლუბს კი არა, პირველ რიგში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გამოადგებიან.

ვიცი, რომ თქვენთან ძალიან უჭირთ მწვრთნელებს. ამ მხრივ ბევრს ვერ დაგპირდებით, მაგრამ ერთ ქართველ მწვრთნელს, ვაჟა კვარაცხელიას მომავალ წელს სლოვენიაში სტაჟირებაზე მოვიწვევ. კიდევ მაქვს რაღაც-რაღაც გეგმები, მაგრამ მათზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევი მგონია.

**მერაბ რატიშვილი**
**ლიუბლიანა-თბილისი**

## სლოვენია

დღეს სლოვენიის ჩემპიონატი იწყება, რომელშიც ოთხი ქართველი კალათბურთელი მიიღებს მონაწილეობას. ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი და ირაკლი კეიდია ლიუბლიანის „სლოვანში" ითამაშებენ, ხოლო დავით უგრეხელიძე — კრანის „ტრიგლავში". გთავაზობთ ქართველი კალათბურთელების გუნდების მატჩების განრიგს:

I ტური, 11 სექტემბერი
**სლოვანი — პივოვარნა ლაშკო**
**მარიბორი — ტრიგლავი**

II ტური, 18 სექტემბერი
**ზაგორიე — სლოვანი**
**ტრიგლავი — კრკა**

III ტური, 25 სექტემბერი
**სლოვანი — როგლა ატრასი**
**კრაშკი ჟიდარი — ტრიგლავი**

IV ტური, 2 ოქტომბერი
**სლოვანი — მარიბორი**
**ტრიგლავი — ლოკა კავა**

V ტური, 9 ოქტომბერი
**კრკა — სლოვანი**
**სავინსკი — ტრიგლავი**

VI ტური, 16 ოქტომბერი
**სლოვანი — კრაშკი ჟიდარი**
**ტრიგლავი — ოლიმპია**

VII ტური, 27 ოქტომბერი
**ლოკა კავა — სლოვანი**
**ჰელიოსი — ტრიგლავი**

VIII ტური, 30 ოქტომბერი
**სლოვანი — სავინსკი**
**როგლა ატრასი — ტრიგლავი**

IX ტური, 6 ნოემბერი
**ოლიმპია — სლოვანი**
**ტრიგლავი — პივოვარნა ლაშკო**

X ტური, 13 ნოემბერი
**სლოვანი — ჰელიოსი**
**ზაგორიე — ტრიგლავი**

XI ტური, 4 დეკემბერი
**ტრიგლავი — სლოვანი**

XII ტური, 11 დეკემბერი
**პივოვარნა ლაშკო — სლოვანი**
**ტრიგლავი — მარიბორი**

XIII ტური, 18 დეკემბერი
**სლოვანი — ზაგორიე**
**კრკა — ტრიგლავი**

XIV ტური, 22 დეკემბერი
**როგლა ატრასი — სლოვანი**
**ტრიგლავი — კრაშკი ჟიდარი**

XV ტური, 29 დეკემბერი
**მარიბორი — სლოვანი**
**ლოკა კავა — ტრიგლავი**

XVI ტური, 8 იანვარი
**სლოვანი — კრკა**
**ტრიგლავი — სავინსკი**

XVII ტური, 15 იანვარი
**კრაშკი ჟიდარი — სლოვანი**
**ოლიმპია — ტრიგლავი**

XVIII ტური, 22 იანვარი
**სლოვანი — ლოკა კავა**
**ტრიგლავი — ჰელიოსი**

XIX ტური, 26 იანვარი
**სავინსკი — სლოვანი**
**ტრიგლავი — როგლა ატრასი**

XX ტური, 5 თებერვალი
**სლოვანი — ოლიმპია**
**პივოვარნა ლაშკო — ტრიგლავი**

XXI ტური, 12 თებერვალი
**ჰელიოსი — სლოვანი**
**ტრიგლავი — ზაგორიე**

XXII ტური, 19 თებერვალი
**ტრიგლავი — სლოვანი**

*საუკეთესო ექვსეული 4 მარტიდან 19 აპრილამდე ორ წრედ ითამაშებს. 26 აპრილიდან 20 მაისამდე საუკეთესო ოთხეულის პლეი ოფი გაიმართება.*

## ესპანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

II ტური

**კასერესი — ადეკო 92:77, ტდკ — ბრეოგანი [illegible] — [illegible] 93:48, გრან კანარია — ხიხონი 69:66, ბარსელონა — ლეონი 82:65, ტაუ — უნიკახა 59:74, კახა სან ფერნანდო — პამესა 63:73, ბადალონა — ხირონა 67:72, რეალი — ფუენლაბრადა 72:75**

წინა სეზონში „კახა სან ფერნანდომ" ჯერ ქვეყნის თასის გათამაშებიდან გააგდო ვალენსიის „პამესა", მერე ჩემპიონატის პლეი ოფიდან და, ამის წყალობით, ევროლიგაში დაიბევა ადგილი. ვალენსიელებს რევანშისთვის საკმაოდ წონიანი მიზეზები ჰქონდათ, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ისინი ერთიანად ამოვიდნენ მეტოქის ოთხში. პამესელმა როდილიამ (14 ქულა) კარგად დარაზმა თანაგუნდელები დაცვაში, ხოლო ალვარესმა (16 ქულა), ყველა ნასროლი ჩააგდო. ფარქვეშ ბერდი და ჰოპკინსი მძლავრობდნენ, ჰოდა, ახლა „პამესა" ორი მოგებით ცხრილის სათავეშია, ორწაგებიანი „კახა სან ფერნანდო" კი ოთხი უქულოს საზოგადოებაშია გარეული.

„ბარსელონამ" იოლად მოუგო არცთუ ძლიერ „ლეონს", რომელმაც პირველ ტაიმში მხოლოდ 23 ქულა გააკეთა, სანაცვლოდ კი 13 პერსონალური აიკიდა და 13-ჯერ დაკარგა ბურთი. „ბარსამ" ტაიმი 47:23 მოიგო, მეორე ნახევარში 65:36 იგებდა. მერე „ლეონმა" ერთი მონაკვეთი 23:3 ამოქაჩა და სხვაობა 9 ქულამდე შეამცირა. ბარსელონელები გააბრაზა მეტოქის თავხედობამ და დიგბომ (15 ქულა) ოთხ წუთში ხუთი სამქულიანი ჩააგდო.

დამარცხდა მადრიდის „რეალი", რომელსაც „ფუენლაბრადას" ხორვატმა ველიმირ პერასოვიჩმა (25 ქულა) და კორნეგაიმ (17 ქულა) გამოუყვანეს წირვა. გამარჯვებულმა გუნდმა ლიდერთა კომპანიაში დაიმკვიდრა ადგილი.

მეოთხე დაუმარცხებელი კი „ხირონაა", რომელიც პირველ ტაიმს 33:37 აგებდა „ბადალონასთან". მეორე ტაიმში ბადალონელთა უკანა ხაზმა ცუდად ითამაშა და ცხრიდან მხოლოდ ერთი სამქულიანი ჩააგდო. სამაგიეროდ იმძლავრა ხირონელთა ამერიკელმა მილტონმა (21 ქულა, 11 მოხსნა), რომელმაც პირველი ტურის საუკეთესო მოთამაშის ტიტული მოიპოვა.

მოულოდნელი იყო მადრიდის „ადეკოს" მარცხი სტუმრად, „კასერესთან". სტუმართა სასტარტო ხუთეულის ყველა წევრმა ათზე მეტი ქულა გააკეთა, მათგან განსაკუთრებით ამერიკელი დენია აბრამსი (28 ქულა, 10 მოხსნა) გამოირჩა, რომელმაც თამაშიდან ნასროლი 14 ბურთიდან 11 ჩააგდო. ლოგიკურია, რომ აბრამსი მეორე ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. შემადგენლობის მხრივ გაცილებით ძლიერი „ადეკოს" რიგებში მხოლოდ ტულსონმა (24 ქულა), ვანდივერმა (16 ქულა) და ალფონსო რეიესმა (15 ქულა) ითამაშეს სათანადოდ, დანარჩენები არაფრად ვარგოდნენ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 156:127 | 4 |
| პამესა | 2 | 2 | 0 | 165:148 | 4 |
| ფუენლაბრადა | 2 | 2 | 0 | 164:151 | 4 |
| ხირონა | 2 | 2 | 0 | 154:142 | 4 |
| ფორუმი | 2 | 1 | 1 | 143:99 | 3 |
| ტდკ | 2 | 1 | 1 | 164:143 | 3 |
| რეალი | 2 | 1 | 1 | 166:157 | 3 |
| კასერესი | 2 | 1 | 1 | 171:166 | 3 |
| უნიკახა | 2 | 1 | 1 | 136:133 | 3 |
| ხიხონი | 2 | 1 | 1 | 117:119 | 3 |
| გრან კანარია | 2 | 1 | 1 | 138:144 | 3 |
| ადეკო | 2 | 1 | 1 | 153:161 | 3 |
| ლეონი | 2 | 1 | 1 | 143:151 | 3 |
| კანტაბრია | 2 | 1 | 1 | 131:168 | 3 |
| ბადალონა | 2 | 0 | 2 | 149:166 | 2 |
| სან ფერნანდო | 2 | 0 | 2 | 138:155 | 2 |
| ტაუ | 2 | 0 | 2 | 144:166 | 2 |
| ბრეოგანი | 2 | 0 | 2 | 129:165 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონებს ოფისი დაუღუქეს

# ვითელები არც ვარჯიშობენ და არც ლაპარაკობენ

მეცხრე ჩემპიონატი კლუბებს კარს მოსდგომია და, ვფიქრობ, ახლა ყველაზე ნაკლებადაა უქმობის და დასვენების დრო. არადა, რა გინდა რომ თქვა, როცა ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი, თბილისის „ვითა" აგერ უკვე მესამე კვირაა, სალათას ძილს მისცემია — არ ვარჯიშობს.

ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს ვითელებმა ახალი ჩემპიონატისთვის მზადება. კლუბის თავკაცობამ მთაგორიან ბაკურიანში კალათბურთელებს მოსალონიერებელი შეკრებაც მოუწყო. თბილისში დაბრუნებულებმაც ივარჯიშეს ერთხანს და...

ორიოდ დღის წინ სპორტის სასახლეში „აზოტი"—სტუ-ს ამხანაგური მატჩის სანახავად მოსულ „ვითასა" და ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს უვარჯიშებლობის მიზეზს რომ დავეკითხე, ბევრიც ვერაფერი მიპასუხა. მიუხვედრელიც რაღა იყო, უმალ ვითელთა ფინანსური პრობლემები ვიგუმანე და რაკი ამ საკითხზე კლუბის მეპატრონესთან საუბარი უფრო უპრიანი იქნებოდა, ტომარაძე დიდად აღარ შემიწუხებია. თემურ დათიკაშვილთან დაკავშირება ვცადე, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ბოლოს „ვითას" პრეზიდენტ გია გაგნიძის მოხელთებაღა შევძელი და მხოლოდ ის გავიგე, რომ გუნდი ორშაბათიდან ისევ განაახლებს წვრთნას. მათი ოცდღიანი უმოქმედობის მიზეზებს რომ ჩავეძიე, გაგნიძემ მიპასუხა: „ეს კლუბის საიდუმლოა".

ვერ გეტყვით, რა იგულისხმა ამაში ბატონმა პრეზიდენტმა, თუმცა „ვითას" თავს შავი ღრუბლები რომ მოქუჩდა, იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ კლუბს ოფისი დაულუქეს.

არა, არა, ავის ნიშანია, ღმერთმანი...

**გიორგი ბიძაშვილი**

# მეცხრე ეროვნული გორშიც გაივლის?

საქართველოს მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რაღაც ოციოდ დღეღა რჩება, თუმცა ჩვენც და გულშემატკივარსაც იმდენი უპასუხო კითხვა დაგვიგროვდა, რაოდენობით ორივე ხელის თითებს ბევრად რომ აღემატება. გაურკვევლობა და გაუგებრობა მარტო ჩვენში კი არა, ფედერაციაშიც დაბუდებულა: ქართული კალათბურთის მმართველმა ორგანომ ელემენტარულად ისიც კი არ იცის, რამდენი გუნდი ჩაებმება მეცხრე ეროვნულში.

ჰოდა, არც ის გაგიკვირდეთ, რომ წინასწარ ნათქვამი თორმეტგუნდა პირველობა ნაკლული გამოდგეს, ან კიდევ... ჭარბი.

ეგ როგორღაო, გაიკვირვებს მკითხველი. ახლავე მოგახსენებთ.

ჰორიზონტზე გამოჩნდა გორის საკალათბურთო კლუბი, რომელსაც თურმე უმაღლეს ლიგაში თამაშის სურვილი კლავს. ქართლელებმა ყოველივე ფედერაციასაც გაანდეს და საქმესაც ისეთი პირი უჩანს, რომ ახალი გათამაშება გორსაც გასწვდება. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ჩნდება კითხვა: საიდან, როგორ, ეკუთვნით კი ქართლელებს უმაღლეს ლიგაში თამაში?

ამავე კითხვით ფედერაციასაც მივმართეთ. გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ ასე გვიპასუხა:

„არ გამოვრიცხავთ, რომ ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადახდა ყველა კლუბმა ვერ შეძლოს. ამიტომ დავიჭირეთ თადარიგი. მით უფრო, რომ გორელებს ძალიან უნდათ უმაღლეს ლიგაში თამაში. ქართლელები თანახმა არიან, ჩვენგან მოთხოვნილი თანხა ვადამდე გადაიხადონ და ეგეც რომ არა, ამით ხომ რეგიონებში კალათბურთის პოპულარიზაციას შევუწყობთ ხელს. ამ საკითხზე კიდევ ვიფიქრებთ, მოგვიანებით, ალბათ, ფედერაციის აღმასკომიც შეიკრიბება და იქნებ გორელები მეცამეტე გუნდადაც დავუშვათ".

მაშ ასე, ფედერაცია გორელთა წისქვილზე ასხამს წყალს. ახლა კი, მოდით, ვნახოთ გორი.

ეს კლუბი მესამე წელია არსებობს. გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა და პირველივე წელს სტუდენტურ ლიგაში ოთხეულში შეაღწია. მთავარ მწვრთნელ ზურაბ კარტოზიასა და გორის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ალექსანდრე იაშვილს ამავე ინსტიტუტის ახალგაზრდობის საქმეთა ხელმძღვანელი, მეგი მაზმიშვილი შეეშველა და გუნდის მოვლა-პატრონობაც მან ითავა.

გასულ სეზონში გორელებმა პირველ ლიგას შეუტიეს და უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვებამდე სულ ცოტა დააკლდათ — მესამე ადგილზე გავიდნენ.

სულ ახლახან გუნდი შიდა ქართლის სამხარეო რეგიონის საკალათბურთო კლუბად გადაკეთდა და შეფობაც ამ რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულმა, ირაკლი ბოჭორიძემ იკისრა.

ზურაბ კარტოზიას თქმით, გუნდი მთლიანად ადგილობრივი კადრებით ყოფილა დაკომპლექტებული, რომელთა შორის მეტ-ნაკლებად ცნობილი სახელებიც მოიხსენიება. მერვე ეროვნულში მანველიშვილი — „დინამოს", ფსუტური და გრძელიშვილი — ასკ-ის, ნინოშვილი კი თსუ-ს ღირსებას იცავდნენ. ქართლელები თურმე ვითელი გულივერ ახალკაცის გადაბირებასაც ლამობენ და ამ საქმიდან რაც გამოვა, ამასაც მალე შევიტყობთ.

და ერთიც. მათ მეტოქე გუნდების მასპინძლობა შინ, გორის სპორტსკოლის საკალათბურთო დარბაზში განუზრახავთ.

აფერუმ, გორელებო!

**გიორგი ბიძაშვილი**

## ევროპული ამბები

### საბერძნეთი

## მიწისძვრის გამო ჩემპიონატი გადადო

საბერძნეთის ჩემპიონატი 18 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ათენში მომხდარმა მიწისძვრამ გეგმები არია. საბერძნეთში გადაიდო თითქმის ყველა სპორტული ღონისძიება და კალათბურთიც გამონაკლისი არ გახდა. საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ჩემპიონატი 25 სექტემბერს დაიწყება. ამ შაბათ-კვირას კი ქვეყნის თასის გათამაშების სამი მატჩი გაიმართება, ოღონდ არა ათენში, არამედ სალონიკში.

### თურქეთი

## პირველი ლიგა არც ამას უნდა

თურქეთის კალათბურთის ფედერაციამ პირველ ლიგაში ასპარეზობაზე უარის მთქმელი „ემლაქბანკის" ადგილი „ითუ ისთნბულს" კი დაუთმო, მაგრამ არაა გამორიცხული, ამ უკანასკნელმაც იგივე ჩაიდინოს, ანუ უსახსრობის გამო პირველ ლიგაში თამაშზე უარი თქვას. „ითუ" წარსულში ძალიან მდიდარი და ძლიერი იყო, ჩემპიონობაც არაერთხელ მოუპოვებია, მაგრამ ბოლო წლებში უფულობა მიეძალა და მეორე ლიგაში მყარად დაფუძნდა.

ამ სეზონში „ითუს" ყველა გეგმა მეორე ლიგას უკავშირდებოდა. კლუბი მოთამაშეებს ყიდდა და ასე ცდილობდა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასე გაიყიდა ახალგაზრდა უკანახაზელი მურათჯან გიულერი „ბეშიქთაშში", ხოლო მისი კბილა ფორვარდი ჯომერთ ქუჩე — „ფენერბაჰჩეში". ახლა „ითუს" პირველ ლიგაში ასპარეზობის შანსი, და ამასთანვე, საფიქრალიც გამოუჩნდა.

# ბრაზილიელი ლეგენდა ოჯახზე წუხს



ოსკარ შმიდტი

სარბიელის არქივიდან

სამხრეთ ამერიკის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ოსკარ შმიდტი სან პაულოდან რიო დე ჟანეიროში გადაბარგდა და „ფლამენგოსთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 41 წლის შმიდტმა წინა სეზონი „ბარუერიში" გაატარა და მატჩში საშუალოდ 38,2 (!) ქულას აკეთებდა. ყოფილი კლუბი მისი გამშვები არ იყო, მაგრამ ორი მთავარი სპონსორი დაკარგა და კალათბურთელი ველარ შეინარჩუნა.

ოსკარს თითქმის 30-წლიანი კარიერის განმავლობაში პირველად უწევს რიოში თამაში. კალათბურთელი უკმაყოფილოა, რადგან სან პაულუში დარჩა ცოლი და ორი შვილი, 13 წლის ვაჟი და 8 წლის ქალიშვილი. ცოლი კვირაში ერთხელ კი მოახერხებს რიოში ჩასვლას, მაგრამ ბავშვები სკოლაში დადიან და ასე ხშირად მგზავრობა არ გამოუვათ. თანაც, რიოსა და სან პაულუს შორის 429 კილომეტრია. ოჯახის რიოში გადაყვანა შმიდტმა არ ისურვა, ბავშვებს სან პაულუში მეგობრები ჰყავთ და მათ ვერ დავაშორებო.

ოსკარი 1982-1995 წლებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში თამაშობდა. 1995 წლის მაისში სამშობლოში დაბრუნდა და „ბარუერიში" დაიწყო თამაში. ამ ხნის განმავლობაში კალათბურთელი ოჯახი სულ გვერდით ჰყავდა და ახლა ამბობს, თავს უცნაურად ვგრძნობ, რადგან ცოლი და შვილები მენატრებაო. შმიდტი 20 წლის განმავლობაში იცავდა ბრაზილიის ნაკრების ღირსებას, არაერთი ტიტულიც მოუგია. იგი დღესაც ერთ-ერთი უძლიერესია მოქმედ ბრაზილიელ კალათბურთელებს შორის, ოღონდ, ატლანტის ოლიმპიადის მერე ნაკრებში თამაშს თავი დაანება.

რიო დე ჟანეიროს ჩემპიონატი ბრაზილიაში უძლიერესია. იქ 8 გუნდი თამაშობს. ხოლო „ფლამენგო" მატჩებს სახელგანთქმული „მარაკანას" საკალათბურთო დარბაზში გამართავს.

### რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. [illegible] ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს [illegible] უკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**ოთარ ქორქია**

**კალათბურთი**

დაიბადა 1923 წლის 10 მაისს ქუთაისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის სამგზის (1950, 1953, 1954) ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონი (1947) და ორგზის (1948, 1952) ბრინჯაოსმედალოსანი, საკავშირო თასის ორგზის (1949, 1950) მფლობელი, ევროპის სამგზის (1947, 1951, 1953) ჩემპიონი, სტუდენტთა მსოფლიო თამაშების ორგზის (1949, 1951) და ახალგაზრდობის I საერთაშორისო თამაშების (1953) ჩემპიონი, ჰელსინკის ოლიმპიადის (1952) ვიცე-ჩემპიონი, იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი 1953-55 წლებში, მისი თავკაცობით მოიგო თბილისის „დინამომ" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი 1962 წელს



1. მოგონებებს უსიამოვნოთი დავიწყებ. ხრუშჩოვმა ხელისუფლებაში მისვლისთანავე საკუთარი პოლიტიკური იდეების გატარება დაიწყო სპორტში. მწვრთნელმა კონსტანტინ ტრავინმა მისი მითითებებით მაშინდელი საბჭოთა კავშირის ნაკრები ეროვნული ნიშნის მიხედვით დააკომპლექტა. გუნდში ძირითადად რუსები შეიყვანეს, მათზე ძლიერი ბალტიისპირელები და ქართველები კი — არა. ჩვენგან იქ ერთეულები მოვხვდით. იმ წელს ევროპის პირველობაზე მესამე ადგილი დავიკავეთ, უძლიერესი შემადგენლობით კი მეტი შეგვეძლო.

ყველაზე ტკბილად მაგონდება 1962 წელი, თბილიხის „დინამოს" გამარჯვება ევროპის ჩემპიონთა თასზე. იმ გუნდს ხომ მე ვწვრთნიდი.

2. დღევანდელ სპორტს უნარიანი ხელმძღვანელი სჭირდება. ნიჭიერები საქართველოში ყოველთვის იყვნენ, მაგრამ დღეს მაინც განსაკუთრებით ნიჭიერი თაობაა. თუნდაც კალათბურთი ავიღოთ. ჩემს დროს რომ ასეთი თაობა ყოფილიყო, ალბათ პროფესიონალებსაც არაფერს დავუთმობდით. სამწუხაროდ, მწვრთნელთა კვალიფიკაციაც დაბალია. ამას ემატება ქიშპიც, რომელიც ღუპავს სპორტს.

3. რომან რურუა, ვიქტორ სანეევი, ბორის პაიჭაძე;
ნინო დუმბაძე, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი, ზინა შევცელიოვა.



# ბებრები რქებით

**კაცები. მეოთხედფინალი: სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — გუსტავო კუერტენი (5, ბრაზილია) 4:6, 7:6 (8:6), 7:6 (16:14), 7:6 (10:8); ტოდ მარტინი (7, აშშ) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:3, 5:7, 6:4, 6:4**

ქალებისგან განსხვავებით, კაცებში წლევანდელ „ოუფენზე“ ვეტერანები ლაღობენ: ოთხი ნახევარფინალისტიდან სედრიკ პიოლინი 30 წლისაა, ტოდ მარტინი და ანდრე აგასი — 29-ის, ახალგაზრდა კი, ისიც დიდი გაჭირვებით, 25 წლის ევგენი კაფელნიკოვს თუ ეთქმის.

„თუ ბებერი სხეული ჯანზე და ფორმაში გყავს, წარმატებების მიღწევაში ამ ასაკშიც ვერაფერი შეგიშლის ხელს, ამასთან გამოცდილება და ცოდნა გვარიანად გეხმარება“ — მიაჩნია მარტინს.

კაცებს შორის წლევანდელი ტურნირის საუკეთესო შეხვედრაც თაობათა ჯახი იყო — სედრიკ პიოლინსა და როლან გაროსის ჩემპიონ გუსტავო კუერტენს შორის მატჩზე არტურ ეშის სახელობის ცენტრალური კორტი შოვინისტმა ამერიკელებმა სანახევროდ გაავსეს, არადა, თამაში ბრწყინვალე გამოდგა.

„გუგა“ უპირატესობას სეტ-ნახევრის მანძილზე ფლობდა და უკანა ხაზიდან შეუცდომლად ბომბავდა ფრანგის პოზიციებს, მაგრამ პიოლინმა წამგებიანი ტაქტიკა დროულად შეცვალა, ბადესთან ხშირ გასვლას მიჰყო ხელი და, როგორც წესი, იქ იოლადაც ითვლიდა ქულებს.

მესამე ხელის ოცდაათქულიანი ტაიბრეიკი პატარა საჩოგბურთო შედევრი იყო: სწრაფი და ლამაზი გათამაშებები, მოულოდნელი გადაწყვეტილებები. განსაკუთრებით თავი პიოლინმა გამოიჩინა, რომელმაც რამდენიმე ისეთი ბურთი ჩააგდო, სეზონში ერთხელ-ორჯერ რომ იხილავ.

ფრანგმა ერთი მართლაც წარმოუდგენელი ფორჰენდი დაარტყა — კორტის მეორე ბოლოდან გამოიქცა, ბურთს ძლივს მიუსწრო და მართალია, წაიბორძიკა, მაგრამ ბადესთან გავარდნილი „გუგას“ გვერდის ავლით ზედ გვერდითა ხაზს დაასვა.

გათამაშებამ კუერტენზე იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა, ჩოგანი ხელიდან გააგდო, მეტოქეს ქედი მოუხარა და მისალოცად ბადის მეორე მხარეს გაეშურა: „საოცარი დარტყმა იყო, მეგონა, მოვიგე და რომ ჩააგდო, თვალებს არ დავუჯერე. ხალხიც აღფრთოვანდა, სწორედ ასეთი მომენტების გამო უყვართ ჩოგბურთი.“

მისკენ წამოსული „გუგა“ რომ დაინახა, თვალებს უკვე პიოლინმა არ დაუჯერა — ჩოგბურთში ასეთი ჟესტი დანებებას ნიშნავს: „ძალიან გამიკვირდა, მეგონა, ტრავმა მიიღო და თამაშს ველარ აგრძელებდა, მან კი ხელი ჩამომართვიო, შემაქო... საყურებლად ასეთი გათამაშებები იქნებ მართლაც კარგია, მაგრამ თავად ჩოგბურთელისთვის ძალიან დამღლელიც.“

საბოლოოდ პიოლინმა სამივე ხელში ორქულიანი უპირატესობით იმარჯვა და „ტაი-ბრეიკის მეფის“ ტიტულიც მოირგო: „ოუფენზე“ გადამწყვეტი გეიმები მან ექვსჯერვე მოიგო, სეზონის მაჩვენებელი — 26:9-თან კი საუკეთესო აქვს კოლეგათა შორის.

პიოლინის მომავალი მეტოქე ტოდ მარტინის თამაშიც კი გუშინ სათუო იყო — მერვედფინალში გრეგ რუზეცკის დამარცხებას მან იმდენი ენერგია შეალია, ორი დღე ვენაში ჰემოდეზს იშხაპუნებდა და ექიმები მეთვალყურეობდნენ.

„მატჩის დროს გაცილებით უკეთ ვიგრძენი თავი. გუშინ ვარჯიშის დროს ძალიან მიჭირდა მოძრაობა. ამ დილით ნახევარსაათიანმა მოთელვამაც კი სასტიკად გამასავათა. არ ვიცოდი, რა მეშველებოდა, მაგრამ ცოტა სიგრილე და ქარი დამეხმარა“.

მარტინის საბედნიეროდ, მას არც მეტოქე ჰყავდა მაინცდამაინც მრისხანე — 29 წლის სლავა დოსედელი კლასიფიკაციით 95-ეა და ხანგრძლივი კარიერის მანძილზე დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში ჩერქელად მონაწილეობდა.

— ჩემმა თავმა არ შეარცხვინა და ამერიკელს ფორმულური წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა მთელი მატჩის მანძილზე მან მეტოქეს ერთადერთი აართვა მიწოდება და ეს მხოლოდ მისთვის აღმოჩნდა საკმარისი, რომ შეხვედრა ორსაათნახევარს გაეწელა.

„მაინც ძალიან დავიღალე, თუმცა, იმედია, შაბათისთვის სედრიკთან შეხვედრის წინ კარგად დასვენებას და ფერზე მოსვლას მოვასწრებ“ — განაცხადა ამერიკელმა, რომელმაც ამ გამარჯვებით ორშაბათიდან კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილზე აინაცვლა.



სედრიკ პიოლინი



REUTERS ნიუ იორკიდან

გუსტავო კუერტენი

**კაცების წყვილები. ნახევარფინალი: სებასტიან ლარო (კანადა) და ალექს ობრაიენი (აშშ, 11) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) და ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე, 7) 6:4, 7:6 (7:3); მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი (1, ინდოეთი) — ანდრეი ოლხოვსკი (რუსეთი) და დევიდ პრინოშილი (გერმანია) 6:4, 6:3.**

**შერეული წყვილები. ფინალი: მაჰეშ ბჰუპატი და აი სუგიამა (2, იაპონია) — კიმბერლი პო და დონალდ ჯონსონი (აშშ) 6:4, 6:4.**

„იაპონელ გოგონებს ჩემთვის იღბალი მოაქვთ“ — იხუმრა წლევანდელი აშშ-ს ღია პირველობის პირველმა ჩემპიონმა მაჰეშ ბჰუპატიმ შერეული წყვილების ფინალში გამარჯვების შემდეგ. ინდოელს ლოგიკას ვერ დაუწუნებ: კარიერაში ორი ასეთი დიდი სლემის ტიტული მოიგო და ორივე ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად — 1997-ში როლან გაროსზე მან რიკა ჰირაკისთან დუეტში იმარჯვა.

* * *

წარმატებით მიიწევს წინ აშშ-ის ღია პირველობაზე ჩვენებური ირაკლი ლაბაძეც. 18 წლის თბილისელმა, რომელიც ტურნირზე მეორედაა განთესილი, დაძაბულ ბრძოლაში სამხრეთაფრიკელი პეტერ ჯონ ნომდო დაამარცხა — 6:4, 7:6 (11:9).

მეოთხედფინალში ირაკლის მეტოქე მეშვიდედ განთესილი ფინელი, იარკო ნიმინენი იქნება.

**ავთანდილ სვანიძე**

## სხვადასხვა

**კოლივუდში** წელიწადში 5-6 ფილმს მაინც იღებენ ამერიკელთა საყვარელ თამაშებზე — კეტბურთსა და ამერიკულ ფეხბურთზე და მათში მონაწილეობას ისეთი დიდი ვარსკვლავებიც არ თაკილობენ, როგორც კევინ კოსტნერი (ამ დარგის რეკორდსმენი), ტომ ჰენქსი, ტომ კრუზი და ძმანი მათნი არიან.

აი, ჩოგბურთი კი დღემდე დაჩაგრულია და უახლოეს ხანებში, ალბათ, არც უნდა ელოდეს საქმის გამოსწორებას (თუ ვინმეს ბრუკ შილდსის ბიოგრაფიის გადაღება არ მოუვა აზრად). სანამ ლოსანჯელესელი მილიონერები უყურადღებოდ ტოვებენ, ჩოგბურთელები თავად ცდილობენ, თავს უშველონ — ჰავაელი მარკ კილი „ოუფენზე“ წყვილებში თამაშის გარდა დოკუმენტურ ფილმ „უკანა ხაზს მიღმას“ იღებს.

სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ფილმში ATP ტურის მოთამაშეების კულისებს მიღმა ცხოვრებას აღწერს მსოფლიოს სხვადასხვა ტურნირებზე: „ეს ერთწლიანი ოდისეაა ჩემთვის, საუკეთესო ჩოგბურთელებს სასტუმროდან დაწყებული გასახდელებსა და წვეულებების ჩათვლით ვაფიქსირებ“.

კილს, რომელმაც 1991-ში დღეისთვის წარმოუდგენელი გმირობა ჩაიდინა და პიტ სამპრასი „ქუინზ კლაბში“ მისთვის საყვარელ ბალახის კორტებზე დაამარცხა, ფილმის გადაღების იდეა გასულ შობას ენდი უორჰოლის ავტობიოგრაფიის წაკითხვისას გაუჩნდა. უორჰოლი წიგნში თურმე ვიდეოკამერი ცხოვრების რაც შეიძლება მეტი ნაწილის გადაღებას ქადაგებს.

* * *

**ავსტრალიის** ღია პირველობაზე გამარჯვების შემდეგ ევგენი კაფელნიკოვმა მსოფლიოს პირველ ჩოგან პიტ სამპრასს მადლობა გადაუხადა მელბურნში ჩაუსვლელობისთვის და განაცხადა, რომ ჩემპიონად გახდომაში სწორედ „პისტოლ პიტის“ ტურნირზე არყოფნა დაეხმარა.

„ოუფენის“ ნახევარფინალში გასვლის შემდეგ 25 წლის რუსს თავისი ნათქვამი გაახსენეს.

— დიახ — მიუგო ჟენიამ.

— სამპრასი ისევ არ არის — შეახსენეს კაფელნიკოვს.

— დიახ, დიახ — მიუგო ჟენიამ.

— არ ფიქრობთ, რომ ეს თქვენს შანსებს ზრდის? — არ შეეშვა ჟურნალისტი.

— დიახ, დიახ, დიახ — გაიბადრა კაფელნიკოვი.

* * *

**რიჩარდ** კრაიჩეკთან მეოთხედფინალურ შეხვედრაში კაფელნიკოვი ერთობ შეაწუხა თვითმფრინავების ხმაურმა, რომლებიც ლუი არმსტრონგის სტადიონის თავზე წამდაუწუმ დაფრინავდნენ. იგი ხშირად ბურდღუნებდა თავისთვის და რუსულ მაგარ სიტყვებსაც არ იშურებდა, მაგრამ ერთხელაც კორტის გარედან ისეთი ჰანგები მოვიდა, ჩოგბურთელს მისი საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

მეორე სეტის ბოლოს მახლობელი „გრენდსტენდ“ კორტიდან აშშ-ის ეროვნული ჰიმნი გაისმა, რომლის შესრულებაზეც ვიღაც მომღერალი ქალი ჯახირობდა.

მოულოდნელად კაფელნიკოვმა თეთრი კეპი მოიხადა, მკერდზე მიიდო და თვალები ცისკენ აღაპყრო. როდესაც მაყურებლებმა სიცილი შეწყვიტეს და კრაიჩეკმა მოწოდების განახლება დააპირა, ჟენიამ შეაჩერა, ჯერ ჰიმნი დასრულდესო.

ხმა მიწყდა თუ არა, მაყურებლებმა ტაში დაუკრეს, ჰოლანდიელმა კი მომდევნო ორი ქულა სწრაფად მოიგო და 6:5 დაწინაურდა.

* * *

**როგორც** გუშინ გაუწყეთ, ზემოხსენებულ მატჩში კრაიჩეკმა 48 ეისი მიაწოდა და გორან ივანიშევიჩის ძველი მსოფლიოს რეკორდი 2-ით გააუმჯობესა, თუმცა ეს მაჩვენებელი მთლად ზუსტი არ გამოდგა.

მეხუთე ხელის უკანასკნელ გეიმში ჰოლანდიელის დარტყმული გვერდითმა მსაჯმა აუტად ჩათვალა, მთავარმა მისი გადაწყვეტილება შეცვალა და ქულა კრაიჩეკს მიუთვალა, მაგრამ თავის ელექტრონულ წიგნაკში ეისის ჩაწერა დაავიწყდა.

მატჩის ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ შეცდომა გამოსწორდა და ახალი რეკორდი დაფიქსირდა — 49.

ეისების წვიმამ უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონს შეხვედრის მოგებაში ვერ უშველა, თუმცა ეს ანომალია კი არა, კანონზომიერება უფრო გამოდგა: ისტორიაში დაფიქსირებული ეისების ხუთი საუკეთესო მაჩვენებლის პატრონებმა ოთხ შემთხვევაში წააგეს.

ერთადერთი, ვინც მარცხს დაუძვრა, მარკ ფილიპუსისია. „სკადმა“ 1995-ში კუალა ლუმპურის ტურნირზე 44 ეისი მოაწოდა და მატჩშიც იმარჯვა.



REUTERS ნიუ იორკიდან

ვინუს უილიამსი

* * *

**ვინუს** უილიამსს წლევანდელ აშშ-ის ღია პირველობაზე მეტოქეების დამარცხებასთან ერთად სხვა პრობლემებიც აწუხებს.

შავკანიანი ამერიკელი „ოუფენზე“ თავისი ახალი კაბების კოლექციის წარმოდგენას აპირებს. იგი ყველა მატჩში სხვადასხვა ტანისამოსს გამოამზეურებს. ვინუსს დიზაინი მშვენივრად ეხერხება, სამაგიეროდ თავისი პირმშოების მორგების დროს იხვითქება — იგი ხომ უპირატესობას ტანზე შემოჭერილ და ზურგ-ჭიპამოჭრილ „მინის“ ანიჭებს.

„მათი ჩაცმა მართლაც ძნელია... სწორედ ამიტომ ძალიან ბევრს ვვარჯიშობ კორტზე, რომ ცოტა დავიკლო და კაბებში მოხერხებულად ვიგრძნო თავი“.

* * *

**ცხენების** დიდ მოყვარულ მარტინა ჰინგისს კი მინი-კაბებს მძიმე ჩექმები ურჩევნია: აგვისტოში კანადის ღია პირველობის მოგების შემდეგ მსოფლიოს პირველი ჩოგანი აღაფრთოვანეს ფეხსაცმელებმა, რომლებსაც კანადის სამეფო საცხენოსნო პოლიციელები ატარებდნენ.

„რა ლამაზია!“ — განაცხადა ჰინგისმა, როცა ტორონტოს ტურნირის მთავარი ჯილდოს მიღების დროს სიტყვას წარმოთქვამდა.

დამსწრე ორი პოლიციელი რომ ნამდვილი ჯენტლმენები ყოფილიყვნენ, ფეხთ მაშინვე გაიხდიდნენ, მაგრამ სამსახურეობრივმა მოვალეობის გრძნობამ თავისი გაიტანა და მარტინას ცოტა ხანი მოცდა მოუხდა. რამდენიმე დღის წინ კი ტორონტოს ტურნირის დირექტორმა თავისი სიტყვა შეასრულა და ჰინგისს რის ვაი-ვაგლახით ნაშოვნი მისი ზომის ჩექმები ჩაახუტა.

„ისინი საპატიო ადგილს დაიკავებენ ჩემს კოლექციაში და მალე საქმეშიც აუცილებლად გამოვცდი“ — აღნიშნა მარტინამ.

* * *

**როდესაც** ფრანგმა ნიკოლა ესკუდემ მეათედ განთესილი მარსელო რიოსი დაამარცხა და აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში გასული პირველი კვალიფიკაციაგავლილი ჩოგბურთელი შეიქნა, „ოუფენის“ ერთადერთი ქართული რეკორდიც გაგვიუქმა.

ადრე ტურნირზე კვალიფიკაციით მოხვედრილმა რვა ჩოგბურთელს მოეხერხებინა მერვედფინალში გაღწევა, რომელთა შორის თეიმურაზ კაკულია იყო (1976-ში).

* * *

**როგორც** ჩანს, საქართველო ერთადერთი ქვეყანა სულაც არ არის, სადაც ჩოგბურთს ფინანსურად მაინცდამაინც არ ულხინს: ეკონომიკურად ჩვენზე გაცილებით მძლავრ ჩეხეთში ერთბაშად ორი ტურნირი გაუქმდა.

როგორც ყოველდღიური გაზეთი „ლიდოვე ნოვინი“ იუწყება, თანხების ნაკლებობის გამო შემოდგომაზე არ ჩატარდება ჩეხეთის სადარბაზო პირველობა. მილიონდოლარიანი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირის მოთხოვნებს, რომელიც 18 ოქტომბერს ოსტრავაში უნდა დაწყებულიყო, მთავარი სპონსორი, ფირმა „ტელეაქსისი“ ვერ აუვიდა.

ასევე გაუქმდა WTA ტურის 180-ათასიანი ქალთა ტურნირიც, რომელიც მომდევნო კვირას ბრნოში უნდა ჩატარებულიყო.

რა დონის მეტოქენი არიან დანიელები და რა ურთულესი საქმეა ჩვენი ხელბურთელებისთვის მათი ჯობნა, საქართველოს ნაკრების წევრებმა კარგად იციან. ამიტომაც ემზადებიან თავდაუზოგავად. გუნდში პანიკური განწყობა ნამდვილად არაა, მაგრამ არც ეიფორიაა. ბიჭებმა საკუთარი თავის ფასიც იციან და მეტოქისაც, ამიტომ რეალურად მსჯელობენ. ყველაზე მეტად კი მაყურებელთა მხარდაჭერის იმედი აქვთ. სურთ, რაც შეიძლება მეტი ხალხი მივიდეს სპორტის სასახლეში მათ საქომაგოდ. უნდათ, ჩვენთანაც ისეთივე ატმოსფერო იყოს თამაშზე, როგორიც პორტუგალიაში დახვდათ. იმედია, არც გულშემატკივრები გაანბილებენ ხელბურთელებს. მით უფრო, დასწრება უფასოა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფი. პირველი მატჩი

## საქართველო — დანია

11 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18.30 საათი



მეკარე შოთა თევზაძე თავდამსხმელებს „ამეცადინებს“

# დღეს ჩვენი დღე იყოს!

საქართველოს ნაკრებმა, დანიელებთან შესახვედრად მზადება გუშინაც ჩვეულ რიტმში განაგრძო — ორჯერ ივარჯიშა.

პირველი ვარჯიში 12 საათზე დაიწყო. მცირეოდენი გახურების მერე მთავარმა მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ შეგირდები წყვილებად დაყო და პასების სიზუსტეში ავარჯიშა. ამას ყველაზე მეტი დრო დაეთმო, რადგან ამ მხრივ ბიჭები მთლად უნაკლოდ ვერ გამოიყურებიან. ამიტომაც არ დაზოგა ისინი მწვრთნელმა. განივი პასები მოკლე გადაცემებმა შეცვალა. მერე ბიჭებმა მეკარეები გაინაწილეს და მათ „დაბომბვას“ მიჰყვეს ხელი. მაგრამ ამ დროს მთავარი მაინც სხვა იყო — თანდათან თავდამსხმელები და მცველები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ და სათამაშო კომბინაციების დამუშავებას მიჰყვეს ხელი. ორივე ხაზი თავის მოვალეობას ასრულებდა — წინა უტევდა, უკანა თავს იცავდა. მწვრთნელიც იქვე იდგა და აქტიურად ერეოდა ვარჯიშში. ტაქტიკური ვარიანტების დამუშავებისას დოლიძე ზოგიერთი მოთამაშის მთლად კმაყოფილი ვერ დარჩა. ვარჯიში კარში ტყორცნებით დასრულდა.

საღამოს ვარჯიშზე ზაზა დოლიძემ ბიჭები ჯერ ტექნიკურ-ტაქტიკურად დამოძღვრა, მერე კი გააფრთხილა, თამაშისას ემოციები დაეოკებინათ და პროვოკაციებს არ აჰყოლოდნენ. მწვრთნელმა ჯემალ ბარამიძემ კი ამ სიტყვებით მიმართა გუნდს — მოვიგებთ თუ წავაგებთ, ახლა ამას ვერავინ იტყვის. ყველაფერი გავაკეთოთ, რათა ხვალ ჩვენი დღე იყოს. მთავარია, კარგად და თავდაუზოგავად ვითამაშოთ, უბრძოლველად არაფერი დავთმოთ. ჩვენ თუ შესარჩევ ეტაპს დავძლევდით, არავის ეგონა, მაგრამ დამაჯერებლად მოვიგეთ. ხვალაც ასე უნდა ვითამაშოთ.

თეორიული მეცადინეობა დამთავრდა თუ არა, ბიჭები ფიზმომზადების სპეციალისტმა, იური სტადუხინმა ჩაიბარა, მერე კი ისევ ბურთით ვარჯიში დაიწყო — კვლავ კომბინაციების დამუშავება. მეკარეებად ირაკლი კენჭაძე და შოთა თევზაძე იდგნენ. ძირითადი მეკარე როლანდ ერაძე მათ სკამიდან ადევნებდა თვალს, რადგან ხელისა და ფეხის უმნიშვნელო ტრავმები აწუხებს. როგორც გუნდის ექიმი იური გოგიაშვილი და თავად როლანდიც გვარწმუნებენ, საშიში არაფერია და დღეს ერაძე აუცილებლად ითამაშებს. ბოლოს ისევ სტადუხინმა წაავარჯიშა ბიჭები.

გუნდში ტრავმირებული ერთადერთი ტიტე კალანდაძეა, რომელმაც აპენდიციტის ოპერაცია გაიკეთა და ჯერ მხოლოდ მსუბუქად ვარჯიშობს. დანარჩენები ჯანმრთელად არიან. ჩამოვიდა გარი თურქიაც, რომელსაც, როგორც თავად მითხრა, ათი დღეა, არ უვარჯიშია წელის ტკივილების გამო, მაგრამ გუშინ ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა. წინა ხაზში დათუკაშვილი, მეიფარიანი და გელაშვილი კარგად არიან შეთამაშებული. მწვრთნელი ახლა იმაზე ფიქრობს, გამთამაშებლად მეიფარიანი დააყენოს თუ თურქია. ამაზე ამ საღამოს ვიფიქრებ და საბოლოო შემადგენლობას მერე დავასახელებო, მითხრა.

როცა ბიჭებს დანიელებთან თამაშზე გავესაუბრე, ყველამ ხაზგასმით აღნიშნა, ძნელი მატჩი გველისო. გარი თურქიამ ჩვენების კოზირად საკუთარი მოედნის ფაქტორი დაასახელა. ერაძემ ამას გუნდის კარგი ფიზიკური მომზადება და სისწრაფე დაამატა. თან დაგვპირდა, რომ თვითონ უფრო უკეთ ითამაშებდა, ვიდრე კვიპროსელებთან. მეიფარიანმა კი თქვა, მოსაგებად უნდა ვითამაშოთო. ვარჯიშის მერე ზაზა დოლიძე კმაყოფილი გამოიყურებოდა. გარი თურქიას ჩამოსვლით დიდი ძალა შეგვემატაო, აღნიშნა და დაამატა, დანია ზუსტად იმ შემადგენლობით ჩამოდის, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ითამაშესო. ბოლოს მწვრთნელმა ის თორმეტეულიც დაგვისახელა, რომელიც დღეს დანიელებს დაუპირისპირდება: როლანდ ერაძე, ირაკლი კენჭაძე; ირაკლი კეკელიძე, გიორგი გვაზავა, ომარ ყიფიანი, ბექა ორჯონიკიძე, გიორგი ქობელაშვილი, ალექსანდრე ბოყოჩაძე, ლევან გელაშვილი, ვახტანგ მეიფარიანი, გარი თურქია, სერგო დათუკაშვილი.

ირაკლი თავაძე



ზაზა დოლიძე: დაიოკეთ ემოციები, არ აჰყვეთ პროვოკაციებს!

# ხელბურთის შვილთაშვილები

### ეს პოპულარული სახეობა ბუნებრივად ჩაისახა: ბატონმა ნილსენმა ქალებთან საქმე დაიჭირა...

ყველას და ყველაფერს ჰყავს მშობელ-შემქმნელი. ხელბურთისა ჰოლგერ ნილსენია — დანიელი კაცი, გიმნაზიის მასწავლებელი, თავის „გიმნაზისტკებს“ სალაღობოდ და საცქრიალოდ მსუბუქად სათამაშო, საქალებო ბურთაობა რომ მოუგონა. ეს ამ, ჰა-ჰა, გასრულებულ საუკუნემდე მოხდა. ასე ჩაიპნა ახლანდელი ხელბურთის თესლი, ჩაიპნა დანიის მიწა-წყალზე და, როგორც ხდება ხოლმე, მერე და მერე ნაყოფი საყოველთაო გახდა. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ხელბურთის ასეთნაირად ანუ ბუნებრივად — ქალებთან საქმის დაჭერით ჩასახვის აქტი დანიელებს გენებში დარჩათ — ამათი ხელბურთელი ქალები ვაჟებზე უფრო ყოჩალობენ საერთაშორისო სარბიელზე და რა შეჯიბრიც უნდა იყოს, მუდამ ფავორიტებად ითვლებ[illegible]ნ.

ისე, ცხადია, არც ყოჩალი დანიე[illegible]ლების ძმები, ქმრები, შვილები თუ სხვა ახლობელ-ნათესავი კაცები გ[illegible]ლავან ხელწამოსაკრავნი.

ესენი, როგორც ყველა ჩრდილოევროპელი, ცნობილნი არიან იმით, რომ ნებისმიერ ვითარებაში, იგებენ თუ აგებენ, ნერვს არ იტოკებენ, მწვრთნელის დარიგებანი და ტაქტიკური მითითებანი ყოველწამს საკუთარი გვარ-სახელივით ახსოვთ, არც კი იციან, რა არის თავის დაზოგვა, მუდამ ბოლომდე იბრძვიან და მეტოქეს თუ ანგარიშში ჩამორჩებიან, ჟინში ნურას უკაცრავად. საფინალო სირენაც მათთვის მხოლოდ მომდევნო მატჩისთვის მზადების დაწყების ნიშანია. ჯანიც ხომ, იცოცხლეთ და, ამიტომაც ბურთის ლონივრად, ზუსტად ტყორცნას ეძალებიან. აკი თექვსმეტი მსოფლიოს ჩემპიონატიდან მხოლოდ ორს დააკლდნენ და მათზე უკეთესნი ამ მხრივ მარტო შვედები არიან. შვედეთის ხსენება აქ ერთხელაც მოგვიწევს: სწორედ აქ და 1967 წელს იყო, დანიელმა ხელბურთელმა კაცებმა მსოფლიოს ჩემპიონატებში ყველაზე უკეთესი — მეორე ადგილი რომ დაიკავეს. აი, ბოლო წლებში კი, ფაქტია, საქმე ისე ველარ მისდით. სამაგალითოდ 1995 წელი გავიხსენოთ, ისლანდია, მსოფლიოს ჩემპიონატი. რა იყო №1 სენსაცია? ალჟირელთაგან დანიელთა ძლევა და ამათი ჯგუფში ჩარჩენა. ამის მერე დანიელი კაცები თითქოს წელში ველარ გაიმართნენ და უჩვეულოდაც მიჩუმათდნენ. მიჩუმათდნენ არათუ მსოფლიოს, ევროპის დონეზეც. სანიმუშოდ ევროჩემპიონატების ამ ცხრილებს ჩავხედოთ:

**პირველი ჩემპიონატი.**
ლისაბონი. პორტუგალია. 3-12 ივნისი, 1994

ფინალურ ეტაპი, 12 გუნდი ორი ჯგუფად

| B ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 0 | 0 | 114-91 | 10 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 107-99 | 7 |
| ესპანეთი | 3 | 0 | 2 | 114-101 | 6 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 3 | 100-107 | 4 |
| სლოვენია | 1 | 1 | 3 | 94-111 | 3 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 5 | 96-116 | 0 |

| | |
|---|---|
| დანია — პორტუგალია | 24:17 |
| სლოვენია — დანია | 19:19 |
| შვედეთი — დანია | 22:16 |
| დანია — ესპანეთი | 25:22 |
| დანია — უნგრეთი | 23:19 |
| *ნახევარფინალი* | |
| რუსეთი — დანია | 29:20 |
| *მატჩი მე-3 ადგილისთვის* | |
| ხორვატია — დანია | 24:23 |

**მეორე ჩემპიონატი.**
სევილია, სიუდად რილი. ესპანეთი. 24 მაისი-2 ივნისი, 1996

ფინალურ ეტაპი, 12 გუნდი ორი ჯგუფად

| B ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 0 | 1 | 124-116 | 8 |
| შვედეთი | 4 | 0 | 1 | 124-106 | 8 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 2 | 129-125 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 2 | 130-120 | 6 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 4 | 117-134 | 2 |
| დანია | 0 | 0 | 5 | 108-131 | 0 |

| | |
|---|---|
| დანია — საფრანგეთი | 22:25 |
| ესპანეთი — დანია | 28:22 |
| შვედეთი — დანია | 23:21 |
| დანია — ჩეხეთი | 22:28 |
| დანია — რუმინეთი | 21:27 |
| *მატჩი მე-11 ადგილისთვის* | |
| სლოვენია — დანია | 27:24 |

**მესამე ჩემპიონატი.**
მეხუთე საკვალიფიკაციო ქვეჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 4 | 1 | 1 | 147-138 | 9 |
| შვედეთი | 4 | 0 | 2 | 156-135 | 8 |
| დანია | 3 | 1 | 2 | 133-134 | 7 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 6 | 128-153 | 0 |

| | |
|---|---|
| შვედეთი — დანია | 28:21 |
| დანია — შვედეთი | 26:21 |
| დანია — უნგრეთი | 21:21 |
| უნგრეთი — დანია | 22:17 |
| პოლონეთი — დანია | 19:22 |
| დანია — პოლონეთი | 26:23 |

მაგრამ... თუ დღეს მავან ევროპელ სპეციალისტს დანიელებზე დაეკითხეთ და ჯერ ეს გაიგეთ, რა გითხრათ, უცნაური გუნდია, შეუძლია გაცილებით სუსტთანაც წააგოსო, თავს ნუ დაიმშვიდებთ, იცოდეთ, ამ სიტყვებს ესენიც აუცილებლად მოჰყვება: თუმცა მაგათსას რას გაიგებ, ნებისმიერი მსოფლიო გრანდის ბეჭებზე გაკვრაც შეუძლიათ...

შეუძლიათ თუნდაც იმიტომ, რომ დანიის ნაკრებში თამაშობს ოსტატობით გამორჩეული და საყოველთაოდ აღიარებული ორი ფრთის მოთამაშე, გერმანული „ფლენსბურგის“ ლიდერები — ლარს კრისტიანსენი და კრისტიან ჰიერმინდი. აი, ამათ იციან თუ იციან მეტოქეთათვის თავის ატკიება და ჩვენებიც ძალიან ფრთხილად და ყურადღებით უნდა მოეკიდნონ — უპირველესად ამათ უნდა „უწამლონ“. ისე კი, იმ მავანი ევროპელი სპეციალისტისა არ იყოს, ზემოთ რომ ჭკუას დავეკითხეთ, ძალიანაც არ გაუკვირდებათ სახელბურთო სამყაროში, ქართველთაგან დანიელების დამარცხების ამბავი თუ შეიტყვეს, ყოველ შემთხვევაში, აქ, თბილისში და იმ შემთხვევაში, თუ ყველა კარგად გაისარჯა — ჩვენი ხელბურთელებიც და ჩვენი ქომაგებიც.

## მაიკლ გერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ორმოცდამესამე

# გამოძიების ოქმი

მე რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელი ვყოფილიყავი, ჩემს უფროსობას ამგვარ მოხსენებას წარვუდგენდი: „1964 წლის 25 თებერვალს მაიამიში მძიმე წონის მოკრივეთა საჩემპიონო ორთაბრძოლა გაიმართა. დაუმარცხებელ მსოფლიოს ჩემპიონ სონი ლისტონს შეხვდა პრეტენდენტი, 1960 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ქვემძიმე წონაში კასიუს კლეი. ბრძოლა დასრულდა მეექვსე რაუნდის შემდეგ. ჩემპიონი ლისტონი აღარ გამოვიდა მეშვიდე რაუნდზე და გამარჯვება კლეის დარჩა, რომელმაც მედიდური ფრაზებით დაიწყო თავის ქება. ლისტონმა დანებების მიზეზად ნეკნის დაზიანება გამოაცხადა.

ამ ბრძოლაში მრავალი რამ იყო საეჭვო.

კერძოდ, სონი ლისტონი ცნობილია, როგორც არაადამიანური ძალის მოკრივე. მას ეს ძალა ბრძოლაში არაერთხელ გამოუყენებია. ტოტალიზატორები 7-1-ზე ფავორიტად მას თვლიდნენ. ექსპერტები აცხადებდნენ, რომ კლეის ოთხ რაუნდში მოუღებდა ბოლოს. ამასთანავე, ლისტონი ცნობილია, როგორც დანაშაულებრივ ცხოვრებასთან წილნაყარი კაცი, კლეი კი შავი მოძრაობის აქტივისტია.

არც ერთ გარეშე ექიმს არ შეუმოწმებია ლისტონის ტრავმა. ბრძოლის ფირის ნახვისას ვერ აღმოჩნდა სერიოზული ტრავმის მიღების მომენტი. ლისტონი აცხადებს, რომ პირველ რაუნდში გულის ფიცარში მიღებულმა დარტყმამ თავბრუ დაახვია და ამის შემდეგ იგრძნო ტკივილი ნეკნებთან. ლისტონი შეამოწმა შვიდმა საკრივო ექიმმა და არსებობს მათ პატიოსნებაში ეჭვის შეტანის საფუძველი. ნეკნის კუნთის დაზიანებამ ყოფილ ჩემპიონს არ მისცა ბრძოლის გაგრძელების საშუალება. ამავდროულად, ნებისმიერი საკრივო წესის დაცვით, ექვსი რაუნდის შედეგები ლისტონის სასარგებლოდაა. ჩატარებული ექვსიდან მან პირწმინდად მოიგო ხუთი მაინც.

ჩვენი ბრძანებით, შეჩერებულია ლისტონის კუთვნილი ჰონორარის გაცემა, მაგრამ ნეკნის კუნთის ტრავმა განეკუთვნება ტრავმათა ისეთ კატეგორიას, რომ მისი არსებობა-არარსებობა თითქმის დაუმტკიცებელია.

ჩვენი კამერა იღებდა დარბაზის პირველ რიგებს. აგენტთა მონაცემები ადასტურებს თაღლითობას, რომელიც ორგანიზებულია მენეჯერთა მიერ.

კლეის არც ერთხელ(!) არ დაურტყამს ლისტონისთვის ისე, რომ ამ კლასის მოკრივეს ბრძოლის გაგრძელება არ შეძლებოდა. ლისტონის მენეჯერი ჯეკ ნაილონი აცხადებდა, რომ სონიმ ვარჯიშისას დაიზიანა ნეკნის კუნთი. ბრძოლის შემდეგ მან ჩვენება შეცვალა და თქვა, რომ მოკრივე პირველ რაუნდში დაშავდა.

საიდუმლო ინფორმაციით, კლეის არ აუღია ჰონორარი, ეს ფული მენეჯერებმა გაინაწილეს.

ლისტონის ჰონორარი კი ასე განაწილდა:

მილიონ 384 ათასიდან 396 ათასი ერგო ჯეკ ნაილონს, 160 ათასი — ლისტონის მეგობარ სემ მარგოლისს, 88 ათასი — მწვრთნელ რედიშს, 42 ათასი — ბენ ბარონეს, ლისტონის ყოფილ მენეჯერსა და ბლინკი პალერმოს მარჯვენა ხელს და 35-35 ათასი — ადვოკატებს სალვატორე ავენასა და ჯერალდ ჩერის, ფირმა „ინტერკონტინენტალ პრომოუშენ ინკორპორეიტიდის" დამაარსებელსა და მდივანს.

თავად ლისტონს შეხვდა 540 ათასი. მას აქედან უნდა გადაეხადა სავარჯიშო ბანაკის, სპარინგ პარტნიორების, ტრანსპორტისა და რეკლამის ფული.

თანხის ამგვარი განაწილება კი მეტად საეჭვო ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ ლისტონსა და კომპანიას სხვა რამ შემოსავლის ლის იმედიც უნდა ჰქონოდათ.

ამ კითხვაზე კი პასუხს გვცემს ფირმა „ინტერკონტინენტალ პრომოუშენი".

ხსენებულმა ფირმამ ჯერ კიდევ ლისტონ-კლეის საჩემპიონო ბრძოლამდე 50 ათას დოლარად შეისყიდა მათივე მატჩ-რევანშის ორგანიზების უფლება. აქ გასაკვირი არაფერი იქნებოდა, მაგრამ „ინტერკონტინენტალის" პრეზიდენტი არის თავად... სონი ლისტონი.

აქედან კი იბადება ეჭვი, რომ ლისტონმა და კომპანიამ ჯერ კიდევ მატჩამდე გადაწყვიტეს ხელის მოთბობა. ძნელად, რომ თავად ლისტონი ყოფილიყო იდეის ავტორი, მაგრამ მას, როგორც იატაკქვეშა ბიზნესის გამოცდილ კაცს, მოეწონებოდა ხელის მოთბობის ამგვარი წინადადება — საკუთარ მოწინააღმდეგეზე შესულიყო ფულს. თუმც კი, ლისტონს ვერანაირად დაითანხმებდნენ რაიმე მისთვის დამამცირებელი ფორმით დამარცხებაზე. ეს გახლავთ მოკრივე, რომელიც აქამდე ნოკდაუნშიც კი არ ყოფილა. ტრავმა კი ყველაზე მისაღები ფორმა გახლავთ. ლისტონი არ დამარცხებულა, უბრალოდ, შემთხვევითობის გამო ვერ გააგრძელა ბრძოლა.

ამის პარალელურად ლისტონის ხელშია მატჩ-რევანში, როგორც ფინანსური, ასევე სპორტული კუთხით. ლისტონი დარწმუნებულია, რომ უეჭველად დაამარცხებს ალის. უბრალოდ, [illegible] ძლიერია ალიზე, მორჩა და გათავდა. ამიტომ სონი სამგზის მოგებულია. აბა, ვინ [illegible] რომ წააგო? ნეკნი ეტკინა და მორჩა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ფლოიდ პატერსონმა აღნიშნა, რომ ლისტონს ძალუძს, ათ წელიწადს იყოს ჩემპიონი. ამიტომ, ლისტონის ბანაკი ახორციელებს პირველ ეტაპს და ამისთვის ალის შოუმენურ თვისებებსაც იყენებს. ბრძოლა სრულდება თუ არა, ნაილონი და „ინტერკონტინენტალი" მატჩ-რევანშისთვის მზადებას იწყებენ. მაგრამ წამოწყებული ფედერალური გამოძიება და პრესა მათ წისქვილზე არ ასხამს წყალს.

გახმაურებული სკანდალი და სონი ლისტონის უარყოფითი იმიჯი ოპერაციის მეორე ეტაპს თითქოს შლის. ამის მიუხედავად, კლეი და ლისტონი ხელს აწერენ მატჩ-რევანშის კონტრაქტს, მაგრამ ბრძოლამდე ორი დღით ადრე კლეი ბრმანაწლავის ოპერაციას იკეთებს. ეს კი თარიღის შეცვლას იწვევს.

პრესა ხმაურით აღწერს ამ ამბავს და საბოლოოდ ბრძოლა ინიშნება მენის შტატის ქალაქ ლუისტონში, 1965 წლის 25 მაისს.

მაგრამ სონი ლისტონი ხელფეხშებორკილია. თუ ის ეფექტურად დაამარცხებს კლეის, საზოგადოებრივი აზრი საბოლოოდ დარწმუნდება — პირველი ბრძოლა თაღლითობა იყო. ეს კი ჩვენს დოკუმენტაციას სასამართლოსკენ უხსნის გზას. ეს იქნება ყველაზე სერიოზული სასამართლო, რომლის წინაშეც წარმდგარა ოდესმე ლისტონი.

აქედან გამომდინარე, მან უნდა წააგოს და ფინანსურ მოგებას უნდა დასჯერდეს. მაგრამ პირველი ბრძოლის მსგავსი წაგება არ გამოდგება. არ გამოდგება თხუთმეტ რაუნდში განცდილი მარცხიც. ძალიან სასაცილო იქნება, როგორ მოუთმენს ლისტონი კლეის 45 წუთის განმავლობაში.

რჩება ნოკაუტი.

სონი უარზეა, მაგრამ თანხმდება და პირველსავე რაუნდში წაიქცევა. კლეი ღია ხელთათმანით ურტყამს. რეფერი ჯერსი ჯო უოლკოტი დუმს. კლეი ურტყამს. ლისტონი გაიშხლართება. ჩემპიონი წაქცეულისკენ იწევს. რეფერი მას აკავებს და არ ითვლის. ლისტონი კი არ დგება. ბოლოს უოლკოტი დაუთვლელად წყვეტს ბრძოლას კლეის სასარგებლოდ.

კლეის ჰონორარს ლისტონისა და მისი მენეჯერები ინაწილებენ".

აი, ასე დავწერდი, ფედერალური ბიუროს გამომძიებელი რომ ვიყო. მაგრამ საკრივო მიმომხილველის პირობაზე, განვაცხადებ, რომ სონი ლისტონი დიდი მოკრივე და ყაჩაღანა კაცი გახლდათ. კასიუს კლეი კი შემდგომში შეიქნა დიდი მოკრივე და ლეგენდარული მებრძოლი. დასანანი ეს არის მხოლოდ, რომ ლისტონს შეეძლო უფრო დიდხანს ყოფილიყო ჩემპიონი. მაგრამ სონი თავად წყვეტდა საკუთარ ბედს. მას არ შეეძლო სხვანაირად. იატაკქვეშეთს ჩაბმული კაცი იყო.

ამით კი ვასრულებთ სონისა და კასიუსის სამნაწილიან ისტორიას.



კიდევ ერთხელ ვაქვეყნებთ ამ ფოტოს — კლეი-ლისტონი, მატჩ-რევანში



ინტერვიუ ლისტონის დამარცხების შემდეგ



გამარჯვებული



მეფე კასიუს კლეი

# სანამ მთები გამოჩნდება

გუშინ „ვუელტაზე“ ინდივიდუალური რბოლის დღე იყო. სპორტსმენები სტარტზეც თითო-თითო იყვნენ და ფინიშსაც მარტოობაში უწიეს. მათ უძველესი საუნივერსიტეტო ქალაქის სალამანკას გარშემო 46,4 კილომეტრი გაიარეს. საუკეთესო შედეგი აბრაამ ოლანომ აჩვენა. მისი გამარჯვება მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, რადგან „ონსეს“ ლიდერი მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტულის მფლობელია ინდივიდუალურ რბოლაში. საერთო ჩათვლაში ლიდერობა და ოქროსფერი მაისურაც მანვე შეინარჩუნა.

ახლა ოლანო გუშინ მეორე ადგილზე გასულ გერმანელ იან ულრიხს ჯამში წუთზე მეტით უსწრებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ტურნირის გამარჯვებულის ბედი გარკვეულია. მალე მთიანი ეტაპებიც დაიწყება, აღმართ-აღმართ სიარული ოლანოს უჭირს, ულრიხს კი არა. ამიტომაც გერმანელს უკეთესი შანსები აქვს საბოლოო წარმატების მიღწევისა. თუმცა არც სხვა ფავორიტები არიან ჯერჯერობით ჩამოსაწერნი.

ბევრი რამე გაირკვევა მე-8, ხვალის ეტაპზე.

| მეექვსე ეტაპი, ინდივიდუალური რბოლა, სალამანკა, 46,4 კმ |
|---|
| 1. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — 53წთ 32წმ |
| 2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +57 წმ |
| 3. ანხელ კასერო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +2წთ 17წმ |
| 4. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +2წთ 18წმ |
| 5. უილიამ მაკრეი (აშშ, მაპეი) — +2წთ 41წმ |

| საერთო ჩათვლა |
|---|
| 1. აბრაამ ოლანო — 24სთ 41წთ 57წმ |
| 2. იან ულრიხი — +1წთ 07წმ |
| 3. იგორ გონსალეს გალდეანო — +2წთ 33წმ |
| 4. ანხელ კასერო — +2წთ 54წმ |
| 5. ინიგო კუესტა (ესპანეთი, ონსე) — +3წთ 17წმ |


REUTERS სალამანკადან

აბრაამ ოლანო




# ჯოჯოხეთური აღმართი

„ვუელტას“ პელოტონი ხვალ ნამდვილად ჯოჯოხეთური სიძნელის აღმართს შეუტევს — მას ალტო დე ანგლირუს მწვერვალამდე 13 კილომეტრის გავლა მოუწევს. ალაგ-ალაგ გზა 23,6-პროცენტიანი დახრილობისაა.

„არასოდეს მინახავს მსგავსი რამ, არც „ტურ დე ფრანსში“ და არც „ჯირო დიტალიაში“. ბოლო ექვსი კილომეტრი საშინლად რთული გასავლელია“ — თქვა მთებში რბოლის ერთ-ერთმა ოსტატმა, ესპანელმა ფერნანდო ესკარტინმა (კელმე) ესპანურ გაზეთ „მარკასთან“ საუბრისას.

ალტო დე ანგლირეს გზა, რომელიც ადრე მსხვილფეხა საქონლის საძოვარი იყო, ორიოდ წელია, რაც მოაასფალტეს და იქ ჯერჯერობით არც ერთი ტურნირის ეტაპი არ ჩატარებულა. მერვე ეტაპის ბოლო 13 კილომეტრის საშუალო დახრილობა 9,6 პროცენტია. საწყისი 5 კილომეტრის მერე (8-პროცენტიანი დახრილობა) დაახლოებით ერთი კილომეტრი სწორი გზაა, ბოლო მონაკვეთი კი მართლაც ციცაბო აღმართია საშუალოდ 12-პროცენტიანი დახრილობით.

სავსებით შესაძლებელია, ფინიშამდე ორი-სამი კილომეტრით ადრე მრბოლთა ჩამოქვეითდეს უმრავლესობა და ველოსიპედი ხელით წაიღოს. სწორედ ამ დროსაა ყველაზე საშინელი აღმართები, რომელთაგან ერთის — ლაკუენა ლას კაბრესის დახრილობა 23,6 პროცენტს აღწევს.

ჯამში სპორტსმენებს 13 კილომეტრში 1264 მეტრით მაღლა ასვლა მოუწევთ. ამ ურთულეს აღმართამდე კი მათ ორი „შედარებით იოლი“ მთა აქვთ დასაძლევი — ლა კობერტორია (9 კმ, 7,5 პრ) და კორდალი (5,5 კმ, 9,1 პრ). ამ ადგილებს ყველაზე უკეთ ფერნანდო ესკარტინი იცნობს, რომელსაც გასულ ზამთარში აქ უვარჯიშია კიდეც. მაშინ „კელმეს“ ლიდერს ორჯერ მოუხდა ველოსიპედიდან ჩამოხტომა და გზის ფეხით გაგრძელება.






მარკო პანტანი

# პანტანი ისევ ორჭოფობს

თანამედროვე მრბოლთაგან ერთ-ერთი უძლიერესი, იტალიელი მარკო პანტანი (მერკატონე უნო) კვლავინდებურად ორჭოფობს და ვერ გადაუწყვეტია, როდის დაუბრუნდეს შეჯიბრებებს. შეგახსენებთ, რომ „მეკობრედ“ წოდებული პანტანი წლევანდელი „ჯიროს“ დამთავრებამდე რამდენიმე ეტაპით ადრე მოკვეთეს ტურნირიდან, მაშინ, როცა საბოლოო გამარჯვება, ფაქტობრივად, განაღდებული ჰქონდა. მას დოპინგის მიღება დააბრალეს, თუმცა შემდგომ ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ დაადგინა, რომ 1998 წელს „ჯიროსა“ და „ტურის“ მომგები უბრალო ყოფილა. მას მერე პანტანის არც ერთ ტურნირში არ უასპარეზია და შეიძლება ოქტომბერში იტალიურ ვერონაში გასამართი საგზატკეცილო მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოტოვოს.



F1

მეცამეტე ეტაპი | იტალიის დიდი პრიზი

## მონცა

*მონცა, 12 სექტემბერი*




| | |
|---|---|
| ტრასის სიგრძე | 5.77 კმ |
| რბოლის დისტანცია | 53 წრე — 305.548 კმ |

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17.00 საათზე*

### შარშანდელი შედეგები

1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ირვინი (ფერარი) 3 რ. შუმახერი (ჯორდანი); 4 ჰაკინენი (მაკლარენი); 5 ალეზი (ზაუბერი); 6 ჰილი (ჯორდანი)

კვალიფიკაცია შუმახერი (ფერარი) 1:25.289

### წინა წლების პრიზიორები

1993 — ჰილი (უილიამსი), ალეზი (ფერარი), ანდრეტი (მაკლარენი); 1994 — ჰილი (უილიამსი), ბერგერი (ფერარი), ჰაკინენი (მაკლარენი); 1995 — ჰერბერტი (ბენეტონი), ჰაკინენრი (მაკლარენი), ფრენცენი (ზაუბერი); 1996 — მ. შუმახერი (ფერარი), ალეზი (ბენეტონი), ჰაკინენი (მაკლარენი); 1997 — კულჰარდი (მაკლარენი), ალეზი (ბენეტონი), ფრენცენი (უილიამსი)

### რეკორდები

**ტრასის რეკორდი** ჰაკინენი 1:24.808 (მაკლარენი, 1997)
**პოულის რეკორდი** ალეზი 1:22.990 (ბენეტონი, 1997)

# არსად ისე არ დაქრიან...


REUTERS მონცადან

ჩვენ, ბრაზილიელები... გუშინდელ ვარჯიშზე მონცას თვით რონალდო ესტუმრა და თვისტომ ბარიკელოს ებაასა. ამანაც პატივი სცა და ძვირფასი სტუმარი ბოლიდში ჩასვა

ფორმულის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში სულ ორადორი დიდი პრიზია — იტალიისა და დიდი ბრიტანეთის, რომლებიც პირველივე ჩემპიონატიდან თამაშდება და ერთხელაც არ გამცდარა.

მილანიდან ოციოდე კილომეტრით დაშორებულ მონცას ტყეპარკის ტერიტორიაზე აგებული „აუტოდრომო ნაციონალე“ ხვალ 49-ედ უმასპინძლებს მთელ დუნიაზე უსწრაფეს მრბოლებს (1980 წელს პრიზისთვის „იმოლაზე“ ირბოლეს). პირველი რბოლა 1950 წელს იტალიელთა იმედმა ჯუზეპე ფარინამ (ალფა რომეო) მოიგო და პირველი ჩემპიონიც გახდა.

77 წლის „მონცას“ თითქმის ექვსკილომეტრიანი წრე ფორმულაში ყველაზე ჩქაროსნულია და ამასთანავე მეტად სახიფათოც. იქ ოთხი გრძელი მონაკვეთია, სადაც შესაძლებელია 300 კმ-სთ სიჩქარის განვითარება, ხოლო სტარტ-ფინიშის სწორის ბოლოს 340-ისაც (!) კი. ეს მონოპოსტების პრაქტიკულად ზღვრული სიჩქარეა და ამგვარად სხვაგან ვერსად ნავარდობენ.

სწორედ „მონცაზე“ მოხდა 1961 წელს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე სისხლიანი კატასტროფა. გათამაშების ლიდერის, გერმანელი ბარონის — ვოლფგანგ ფონ ტრიპსის „ფერარი“ ერთ-ერთ ყველაზე რთულ მოსახვევში (პარაბოლიკა) შოტლანდიელი ჯიმ კლარკის „ლოტუსს“ შეეჯახა და მართვადაკარგული მაყურებლებში შევარდა. ამ საშინელმა შემთხვევამ თავად ფონ ტრიპსთან ერთად კიდევ 14 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რბოლა კი მაინც ჩატარდა, გამარჯვებაც და მასთან ერთად ჩემპიონობაც „ფერარის“ მეორე პილოტს, ამერიკელ ფილ ჰილს დარჩა.

სისხლისფერი ბედაურები მშობლიურ ავტოდრომზე მაინცდამაინც ვერ ბრწყინავენ. 1996 და 98 წლებში მიხაელ შუმახერის წარმატებებმა ოდნავ გამოასწორა სიტუაცია, თორემ ბოლო 30 წელიწადში ოთხადოთხი მოგება იტალიელთა ეროვნული სიამაყისთვის აბა, რა საკადრისია. სხვათა შორის, შუმიმ კარიერაში პირველი ქულები სწორედ „მონცაზე“ მოიპოვა 1991 წელს (მეხუთე ადგილი — 2 ქულა).

შარშანდელი რბოლა ტიფოზებს ალბათ მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ. შუმახერმა და ედი ირვინმა პრაქტიკულად უშეცდომოდ, ბრწყინვალედ იასპარეზეს და დუბლიც (პირველ-მეორე ადგილები) გააზერხეს, რაც მანამდე „ფერარის“ 10 წელი არ ღირსებოდა.

იტალიური ეტაპი დღემდე დაუძლეველ ზღუდედ რჩება მიკა ჰაკინენისთვის, თუმცა სამჯერ კი იდგა პოდიუმზე. ამასთან ტრასის რეკორდიც მას ეკუთვნის — 244,3 კმ/სთ და შარშანწინაა დამყარებული.

„მონცაზე“ მოგებებით კი რეკორდსმენია სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ბრაზილიელი ნელსონ პიკე — მან ოთხჯერ (1980, 83, 86, 87) მიაღწია წარმატებას.

ეს რვა წელია „მონცაზე“ უჩვეულო ტრადიციაც დამკვიდრდა — აქ ბოლო რვა რბოლის მომგები იმ წელს ჩემპიონი ვერ გახდა. ამ ზეჩქაროსნულ ტრასაზე ხვალაც „მაკლარენებს“ ექნებათ უპირატესობა. თუმც საკუთარ მოედანზე ირვინი, თუ მიკა სალო შეუწყობს ხელს, ცხადია, მოგებასაც ეცდება და წინა ეტაპზე ჰაკინენისგან ჩამორთმეული ლიდერობის დაბრუნებასაც. ჰაკინენ-ირვაინის [illegible]ვაში ხვალინდელი რბოლა [illegible]დამწყვეტი არაა, რადგან [illegible] შორის სხვაობა მხოლოდ [illegible] ქულაა და მდგომარეობის [illegible]მოსასწორებლად კიდევ სამი ეტაპი რჩება. აი, კონსტრუქტორთა თასისთვის დავაში კი [illegible] ყველაფერი სწორედ „მონცა[illegible] გაირკვევა. თუ „მაკლარენი“ [illegible]-ქულიანი უპირატესობის გაზრდას შეძლებს, „ფერარის“ პრაქტიკულად არანაირი შანსი აღარ ექნება.

იტალიელთა უმთავრესი იმედი შუმახერი კი, სამწუხაროდ, ხვალ ვერ შეძლებს სტარტზე გამოსვლას. მიზეზი, მოგეხსენებათ, კვლავაც ავარიის დროს დაშავებული ფეხია. ასე რომ, „ფერარის“ ბანაკში განწყობა მთლად ოპტიმისტური ვერ უნდა იყოს.

ირაკლი ნიკოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

IV ტური

არმინია 0:0 ვოლფსბურგი

ჰანზა 2:1 ულმი

1:0 ოსვალდი (4), 1:1 გორა (79), 2:1 აგალი (90)

II ბუნდესლიგა

IV ტური

ვალდჰოფი 1:1 კარლსრუე

ბერლინი 2:0 ზანქტ პაული

ოფენბახი 0:2 ჰანოვერი

## ინგლისი

I დივიზიონი

VII ტური

ბარნსლი 2:1 სტოკპორტი

## ჩეხეთი

VI ტური

იაბლონეცი 1:2 ბოჰემიანსი

## თურქეთი

III ტური

ანთალია 0:2 ტრაბზონი

## ავსტრია

IX ტური

შტურმი 0:0 ლინცერი

## ჰოლანდია

IV ტური

აიაქსი 2:2 ფეიენოორდი

ალკმარი 1:2 როდა

## დანია

VII ტური

ოლბორგი 0:2 ლიუნგბიუ

## კასპაროვი — მსოფლიო






1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კ:d4

## ხმა ინტერნეტით



REUTERS კარაკასიდან

ბეისბოლის გიჟებო! აბა უყურეთ, რა ხდება. ვენესუელის პრეზიდენტი, პოლკოვნიკი უგო ჩავესი ინტერნეტით აწვდის ხმას საუკუნის ბეისბოლის გუნდის შემდგენ ჟიურის. ჩავესი ხმას აძლევს ამერიკის ლიგის „ოლ სტარზში" რვაგზის მოხვედრილ თანამემამულეს ლუის აპარისიოს. პოლკოვნიკი ჩავესი დიდი მოყვარეა ბეისბოლისა. შარშან ჰავანაში, იბერო-ამერიკელ ლიდერთა შეხვედრაზე მან თამამად მიიღო ამგვარივე გიჟის, კომანდანტე ფიდელის გამოწვევა და გაეთამაშა კიდეც.

## წვიმამ გადაიღო

შრი ლანკაში, როგორც იყო და, გახურდა იქაურთა და ავსტრალიელთა ოთხდღიანი საკრიკეტო ტესტი. ხანგრძლივი წვიმები მზემ შეცვალა და მოთამაშენიც „ასგირიას" მინდორზე გავიდნენ კენდიში. მეორე საუზმის შესვენებისას ავსტრალიელები შეინ ვორნი და მაიკლ სლეიტერი „ასგირიას" ტერასაზე ჩამოსხდნენ და ასე ისვენებენ. ლანკელი კომანდოსები კი თვალის ჩინივით უფრთხილდებიან ვარსკვლავთან სიცოცხლეს.



REUTERS კენდიდან




REUTERS ვენიდან

## პოლიტიკაში გადაეშვნენ

ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრიელი მოთხილამურე პატრიკ ორტლიბი (მარცხნივ) პოლიტიკოსებს დაკავშირებია. გუშინწინ, ვენაში გამართულ პრესკონფერენციაზე მას მხარი დაუმშვენებია ულტრამემარჯვენე თავისუფლების პარტიის ლიდერ იორგ ჰაიდერისთვის და უთქვამს, ოქტომბერში რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, მე და ამან უნდა მოვიგოთ და ავსტრია ვმართოთო.

## ახალი იახტა

იახტსმენთა ამერიკის თასისთვის ახალზელანდიელებს ახალი ნავი „ბლექ მეჯიქი" გაუმზადებიათ. ეს იახტა ახლა ოკლენდის ახლო, ვაიტამატას ნავსადგურის ახლო ეჩევა წყალს. იგი უფრო ვიწროა, ვიდრე ის ნავები, ამერიკის თასის წინა გათამაშებებზე რომ გაუყვანიათ ავსტრალიელებს. მის გაწყობასა და დიზაინს გვარიანი ჯაფა დასჭირდა. აბა, როგორ, ზელანდიელებმა ხომ უნდა დაიცვან მსოფლიოს უძველესი სპორტული ჯილდო, რომლის ფლობითაც დიდად ამაყობენ.




REUTERS ოკლენდიდან



REUTERS მონაკოდან

## დაჰკა, ბორის...

მონტე კარლოს გოლფ კლუბში რაღაც გვარიანი პროფ ტურნირი მიმდინარეობს, თუმც მოყვარულებიც იქვე ტრიალებენ და თავის ჭკუაზე სცემენ პატარა ბურთებს. გამოჩენილთაგან აქ უკვე დააფიქსირეს განთქმული ჩოგბურთელი ბორის ბეკერი და კინოვარსკვლავი კევინ კოსტნერი, რომელსაც ახალი მიჯნური, მსახიობი კეროლ არტი ახლავს. ბეკერისა არ იყოს, კოსტნერიც გოლფის გიჟია. კინოშიაც კი უთამაშია ერთი უილბლო, ბოლოს· კი გამარჯვებული მეგოლფის როლი.

REUTERS მონაკოდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli